საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი

სამსახურებრივი სარგებლობისათვის
ეგზ. № _____

ნამდვილად სახალხო

პრაქტიკული კონფერენციის—„საჯაროობა—სოციალისტური კონტროლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლენინური პრინციპი“—მასალებიდან

თბილისი
1978

შესავალი

სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომელთა საქმიანობაში მილიონობით მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე მონაწილეობს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის სისტემაში. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელშიც კანონმდებლურად განმტკიცებულია სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანები, მათი დიდი უფლებები და მოვალეობანი.

ეფექტიანობისა და მასობრიობის უზრუნველყოფაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯაროობას.

„საჯაროობა, — ამბობდა ლენინი, — არის მახვილი, რომელიც კურნავს მის მიერვე მიყენებულ ჭრილობებს“.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები მუდმივად ზრუნავენ ჩატარებულ ღონისძიებათა საჯაროობაზე, რისთვისაც ფართოდ იყენებენ პრესას, რადიოს, ტელევიზიას; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით აცნობენ შრომით კოლექტივებს, მშრომელთა ფართო მასებს შემოწმებების, რეიდების, დათვალიერებების შედეგებს, მათ გამო მიღებულ ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ შემოწმებების, ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ორგანულ ერთიანობას.

საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯაროობის საშუალებათა გამოყენებას მიეძღვნა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მომზადებული მეთოდური გამოცემები — მეთოდური ბიულეტენი „საჯაროობა — კონტროლის ქმედითობის უმნიშვნელოვანესი პირობა“, ბროშურები — „მარჯვედ გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯა-

როობის საშუალებები“, „სახალხო კონტროლის ორგანოთა ძლიერების წყარო“, „საჯაროობის საშუალებათა არსენალიდან“ და სხვა, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ სახალხო კონტროლიორებს. ეს მუშაობა დადებითად შეფასდა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებაში „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯაროობის საშუალებათა გამოყენების შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ამავე საკითხზე.

1977 წლის მარტში მოეწყო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საჯაროობა — სოციალისტური კონტროლის უმნიშვნელოვანესი ლენინური პრინციპი“. კონფერენციამ გააცნო რესპუბლიკის მშრომელებს სახალხო კონტროლის საუკეთესო კომიტეტებისა და ჯგუფების მუშაობის გამოცდილება, საჯაროობის პრაქტიკული შედეგები, რომლებიც ხელს უწყობენ X ხუთწლედის დავალებათა, სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

კონფერენციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დამატების სახით შეტანილია წინამდებარე გამოცემაში.

კრებული (გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის, სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების თავმჯდომარეების, საგუშაგოების ხელმძღვანელების, შტატგარეშე ინსპექტორების, სახალხო კონტროლიორებისათვის.

პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით კრებული გვასწავლის ორგანიზაციული და საკონტროლო მუშაობის წარმართვას, მისი როლის ამაღლებას სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, ადამიანთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

ვიმედოვნებთ, რომ კრებული დაეხმარება სახალხო კონტროლის კომიტეტებს, ჯგუფებსა და საგუშაგოებს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში, საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯაროობის საშუალებათა უფრო ეფექტურ გამოყენებაში.

I. კონტროლი—ქმედითი, მასობრივი, საჯარო

როგორ იბრძვიან საქართველოს სახალხო კონტროლის ორგანოები მასობრივი, ქმედითი და საჯარო კონტროლის ორგანიზაციის ლენინურ პრინციპთა განხორციელებისათვის „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე

ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული დებულებები სახალხო კონტროლის ორგანოების, მათი საქმიანობის პრინციპებისა და ფორმების შესახებ იყო და არის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუდმივი სამუშაო პროგრამა ჩვენი სახელმწიფოს, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში მშრომელთა კონტროლის განხორციელებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე კომუნისტური პარტია ცდილობდა ხორცი შეესხა ლენინური იდეებისათვის სახალხო კონტროლის შესახებ და ისტორიული ვითარების შესაბამისად შემოქმედებითად ავითარებდა მათ. საქმითა და დროით გამოცდილი სახალხო კონტროლი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მებრძოლი იარაღია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელების, სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

ცნობილ დადგენილებაში „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული

ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა სახალხო კონტროლიორთა მრავალმილიონიანი არმიის მუშაობის გაუმჯობესების ფართო პროგრამა.

დადგენილებაში მოცემულია თანამედროვე ეტაპზე კონტროლის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, გამოაშკარავებულია განსაკუთრებით დამახასიათებელი ნაკლოვანებები და ნაჩვენებია მათი აღმოფხვრის გზები. საპროგრამო დოკუმენტის დებულებები და დასკვნები საფუძვლად დაედო სახალხო კონტროლის ორგანოთა საქმიანობის გაუმჯობესების და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, რაც აისახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის მდგომარეობის და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ „ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე“.

პარტიის მიერ წამოყენებული მზარდი მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებულია სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, რომელთა სწორი ურთიერთშეხამება უზრუნველყოფს კონტროლის ეფექტიანობას, მუდმივობას და ყოვლის მომცველობას, სახალხო კონტროლიორებს კი ხდის პარტიის ქმედით თანაშემწეებად. სამეურნეო და სოციალურ მშენებლობაში პარტიის თანაშემწის ფუნქცია წითელ ზოლად გასდევს სახალხო კონტროლის ორგანოების მთელ ისტორიას. ამასთან ერთად, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე პარტია ვარაუდობს შესრულების კონტროლისა და შემოწმების შერწყმას შესრულების ორგანიზაციასთან, ე. ი. აფართოებს სახალხო კონტროლის ორგანოების ფუნქციებს, რაც ახალი, სერიოზული ნაბიჯია მათი განვითარების გზაზე.

შესრულების კონტროლის სრულყოფისათვის სახალხო კონტროლის ორგანოები მარჯვედ იყენებენ შემოწმების მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდიკას, ისეთ ქმედით საშუალებებსა და ფორმებს, როგორიც არის, მაგალითად, მიღებული დადგენილების შესრულებაზე პირადი პასუხისმგებლობის დაწესება, სისტემატური შე-

შემოწმება უშუალოდ ადგილებზე, ზევიდან კონტროლის შეხამება ქვევიდან კონტროლთან, გადაწყვეტილებათა შესრულების მასებამდე დაყვანა, საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა გამოყენება და ა. შ.

წარმოშობის დემოკრატიულობით, შემადგენლობით, მუშაობის ფორმებითა და მეთოდებით კონტროლის ორგანოები ჭეშმარიტად სახალხოა. ეყრდნობა რა საყოველთაო, მასობრივი კონტროლის ლენინურ პრინციპს, პარტია საკონტროლო მუშაობაში იზიდავს საზოგადოების ყველა ფენის საუკეთესო წარმომადგენლებს.

აქედან გამომდინარე, სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის ხარისხობრივ ცვლილებებს საფუძვლად უნდა ედოს აქტიური საკადრო ღონისძიებები. რესპუბლიკაში ყველა პირობაა შექმნილი კონტროლის მუშაობაში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმისათვის. 234 ათასზე მეტი კონტროლიორია გაერთიანებული სახალხო კონტროლის 15.855 ჯგუფში და 19.725 საგუშაგოში. მათ 60 პროცენტს მუშები და კოლმეურნეები შეადგენენ.

კომიტეტებთან მუშაობს 621 შტატგარეშე განყოფილება, რომლებშიც 5343 შტატგარეშე კონტროლიორი თანამშრომლობს. მარტო 1976 წელს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის მოწინავე ჯგუფებმა 122 ათასი შემოწმება და რეიდი ჩაატარეს. ეს ციფრები ნათლად მეტყველებს რესპუბლიკაში კონტროლის მუშაობის მასშტაბზე. მაგრამ სრული სურათის მისაღებად საკმარისი არ არის მარტო კონტროლის ორგანოებში არჩეულთა და შტატგარეშე კონტროლიორთა რაოდენობის გათვალისწინება. სახალხო კონტროლის რესპუბლიკური ორგანოები საქმიან კონტაქტებს ამყარებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და კონტროლის სხვა ორგანოებთან. სახალხო დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებთან, პროფკავშირების საზოგადოებრივ კონტროლიორებთან, „კომკავშირული პროჟექტორის“ რაზმებთან ერთად შემოწმებებში, რეიდებში, დათვალიერებებში ჩაბმული გვყავს ასიათასობით თანაშემწე.

სახალხო კონტროლიორები აქტიურად მონაწილეობენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმების, საქალაქო და რაიონული საბჭოების სესიებისათვის საკითხების მომზადებაში, ორგანიზატორული და საკონტროლო საქმიანობის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებაში.

შემოწმების მასობრიობა უნივერსალურობას ანიჭებს კონტროლს, შესაძლებელს ხდის საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიან შესწავლას, კოლექტივის ძალის გამოყენების მეშვეობით საქმის ვითარებაზე გადამწყვეტ ზემოქმედებას.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებზე აღინიშნა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის და შრომის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის განსაკუთრებული აქტუალობა. X ხუთწლედის დავალებათა წარშატებით შესრულებისათვის კონტროლის ორგანოებმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ თავიანთი მუშაობის ქმედითობა და შედეგიანობა.

კონტროლის მუშაობის ეფექტიანობა და ქმედითობა გაპირობებულია სახალხო კონტროლიორთა ყოველდღიური საქმიანობის თანამიმდევრულობითა და პრინციპულობით. კონტროლიორისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ნაკლოვანებათა გამოაშკარავება და დამნაშავეთა დასჯა. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სასურველი შედეგი მოაქვს მხოლოდ მუდმივ კონტროლს, როგორც პარტიისა და მთავრობის, ასევე საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე. პრობლემის არაერთგზის შესწავლა, კონკრეტული სიტუაციის სისტემატური ანალიზი საშუალებას აძლევს კონტროლიორებს მუდამ საქმის კურსში იყვნენ, შეძლონ მის შედეგზე ზემოქმედების მოხდენა.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახალხო კონტროლის საგუშაგოებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ ჩვენი ორგანოების ძირითადი ბირთვის — სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების აქტივიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სახალხო კონტროლის სწორედ ეს, ყველაზე მასობრივი რგოლები უნდა გახდეს სანიმუშო დისციპლინის, შრომის ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლის შტაბი. რესპუბლიკაში ბევრია ნამდვილად მებრძოლი ჯგუფი და საგუშაგო, რომელთა წევრები იჩენენ პრინციპულობას, საქმისადმი ერთგულებას, იძლევიან პირად მაგალითს შრომაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს თბილისის სა-

წარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატისა“ და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სახალხო კონტროლიორების ინიციატივას — სამაგალითო შრომით, მუდმივი კონტროლითა და შესრულების შემოწმებით, სახელმწიფო, საწარმოო და შრომითი დისციპლინის ამაღლებით ყოველმხრივ დაეხმარონ შრომით კოლექტივებს და პარტიულ ორგანიზაციებს მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

ეს ინიციატივა წინ უძღოდა რუსთავის მეტალურგთა მოძრაობას, რომელსაც მთელმა რესპუბლიკამ დაუჭირა მხარი და რომელშიც აქტიური პოზიცია დაიკავეს სახალხო კონტროლიორებმაც.

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ამოცანები მოითხოვენ კონტროლის პრაქტიკის შემდგომ სრულყოფას, შემოწმების, ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ორგანული ერთიანობის უზრუნველყოფას. აქ გვინდა მოვიყვანოთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ კონტროლის ორგანოების მუშაობაში მთავარია „... არა მარტო და არა იმდენად, „დაჭერა“, „მხილება“... რამდენადაც გამოსწორების უნარი“[1]. სწორედ ამ ძირითადი მიმართულებით უნდა წარმართონ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა თავიანთი საქმიანობა, მიაღწიონ ცხოვრების ყველა სფეროში თავისი როლისა და გავლენის ამაღლებას.

„მთლიანად კონტროლის ორგანოების ორგანიზატორული ფუნქციების ამაღლება სერიოზული პრობლემაა, — თქვა საქართველოს კომპარტიის V პლენუმზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, — რადგან როგორც ეს, სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება ხოლმე, არ შეიძლება მათი ფუნქციების გაიგივება იმასთან, რომ მხოლოდ აღმოაჩინონ რაიმე დარღვევები, აღრიცხონ ისინი და მოახსენონ, სადაც ჯერ არს. ამოცანა ის არის, რომ ეს სამსახურები თან აკონტროლებდნენ და თან ეხმარებოდნენ სხვებს ნაკლოვანებების აღმოფხვრაში. საკითხი ასე უნდა დაისვას: ყველგან, სადაც კი მივლენ, ყველა სამსახურისა და ყველა სახეობის კონტროლის მუშაკები არ უნდა წავიდნენ იქიდან, სანამ სრულ წესრიგს არ დაამყარებენ“.

ეს მოთხოვნა, პირველ რიგში ეხება სახალხო კონტროლის ორგანოებს, კომიტეტების, ჯგუფების და საგუშაგოების საქმიანობის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., IV გამოც., ტ. 33, გვ. 27.

ნორმად უნდა იქცეს რეალური დახმარება ჩამორჩენილი საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი. ასეთი მაგალითი ახლაც ბევრია კომიტეტების მუშაობაში და ისინი უდავოდ გამოდგებიან კონტროლის ქმედითობის ამაღლების ორიენტირად.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კონტროლის შედეგიანობა საგრძნობლად იზრდება, როდესაც გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის კომიტეტი იბრძვის შესამოწმებელი ობიექტების ხელმძღვანელებთან და სახალხო კონტროლის ჯგუფებთან ერთად. საინტერესოა მუშგლეხინის ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელის ვ. ვ. კუიბიშევის სიტყვები ამ საკითხზე. „ჩვენ ვცდილობთ დავადგეთ ჩვენი პოპულარობისთვის ნაკლებად ხელსაყრელ, მაგრამ არსებითად უფრო სწორ გზას, ე. ი. შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას ვცდილობთ სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელთან ერთად. ნაკლოვანებათა კონსტატაციას ჩვენ ვახდენთ არა ჩვენი საქმეების საცავში, არა ჩვენს აპარატში, არამედ ვეუბნებით მათ შესახებ ორგანოს ხელმძღვანელს და მასთან ერთად აღმოვფხვრით ამ ნაკლოვანებას. ამ, გარე სამყაროსთვის ნაკლებშესამჩნევ და ძნელად შესაჯამებელ სამუშაოს მიაქვს ჩვენი საქმიანობის ძალიან დიდი დრო“.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოები ცდილობენ სწორედ ასე წარმართონ საქმე. თავიანთ უპირველეს ამოცანად, ისინი თვლიან არა „სამეურნეო ხელმძღვანელებზე ზედამხედველობას“, არამედ მათს დახმარებას და ერთიანი ძალებით საქმის გამოსწორებას.

მაგალითად, სახალხო კონტროლის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა შეამოწმა საკონდიტრო ფაბრიკის მუშაობა. კომიტეტის სხდომამდე მოეწყო სახალხო კონტროლიორების შეხვედრა საწარმოს კოლექტივთან, სადაც მოისმინეს დირექტორის ინფორმაცია, კომისიის წევრთა გამოსვლები. საკითხის განხილვისას მოწინავე მუშებმა, საამქროს უფროსებმა წამოაყენეს წინადადებები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ტექნოლოგიის სრულყოფის, შრომითი დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე. ეს წინადადებები აისახა კომიტეტის დადგენილებაში. გადაწყვეტილება იყო საქმიანი, კონკრეტული, მასზე დაწესდა ზუსტი კონტროლი. ფაბრიკაში მუშაობა გამოსწორდა.

კიდევ ერთი მაგალითი. შარშან სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ სატყეო და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კომპლექსურმა შემოწმებამ გამოავლინა გამოშვებული პროდუქციის უაღრესად დაბალი ხარისხი. ნაწარმის ხარისხზე და ასორტიმენტზე დიდი პრეტენზიები წაუყენეს, კერძოდ, საწარმოო გაერთიანება „განთიადს". საკმარისია ითქვას, რომ კონტროლიორებმა შერჩევითი შემოწმებისას პროდუქციის 266 სახეობიდან ნახევარი დაიწუნეს. ერთი წლის განმავლობაში გაერთიანებამ 27 ათას მანეთის პროდუქციაზე მიიღო რეკლამაციები. შემოწმებისას გააკრიტიკეს საწარმოს სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც არ ატარებდნენ სათანადო მუშაობას, ურიგდებოდნენ საწარმოში შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევას. სადღეისოდ გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გამოასწორეს მდგომარეობა. მათი ინიციატივით „განთიადის" ფაბრიკებში დანერგილია ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემა. ხარისხის ამაღლების მიზნით ცვლილებები შეიტანეს შრომის სანარდო-პრემიალური ანაზღაურების დებულებაში და სხვ.

შედეგებმაც არ დააყოვნა: პროდუქციის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

რესპუბლიკური კომიტეტი გაეცნო პირობებს, რომლებიც შეუქმნა ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ჯგუფებსა და საგუშაგოებს წარმატებით მუშაობისათვის, შეისწავლა მათი წინადადებებისა და რეკომენდაციების განხორციელების მიმდინარეობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ აქ ყურადღებით იხილავენ ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ დაყენებულ საკითხებს, რომ კომიტეტი სწორად, პრინციპულად აფასებს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებებს, სახავს მათი აღმოფხვრის გზებს. ქუთაისელთა გამოცდილება უნდა შევისწავლოთ და გავავრცელოთ, რადგან ჯგუფებისა და საგუშაგოების წინადადებებისადმი მუდმივი ყურადღება, მათი როლის ამაღლება ნაკლოვანებებთან ბრძოლაში ყველა კომიტეტის მუშაობის აუცილებელი პირობაა. ასეთია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნა, რომელიც მოცემულია დადგენილებაში „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ".

სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან წარმოებასთან, კონკრეტულ შემსრულებელთან, მუდმივად უნდა აწარმოებდნენ შრომისა და საწარმოო დისციპლინის შესრულებას, ავლენდნენ გამოუყენებელ რეზერვებს, ებრძოდნენ უყაირათობას, მფლანგველობას, სოციალისტური საკუთრების ხელყოფას. თუ უყურადღებოდ იქნა დატოვებული მცირედი ხარვეზები, თუ არ შეიქმნა მათდამი შეუწყნარებლობის ატმოსფერო, ისინი სერიოზულ დარღვევებში გადაიზრდებიან. სამწუხაროდ, სწორედ ამგვარ პროფილაქტიკურ მუშაობას არ ატარებს სახალხო კონტროლის ბევრი ჯგუფი და საგუშაგო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ საწარმოების, ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები მხარში ედგნენ სახალხო კონტროლიორებს, დაუყოვნებლივ ეხმაურებოდნენ მათ მოთხოვნებსა და წინადადებებს. ხელმძღვანელთა უმრავლესობა ასეც იქცევა. მაგრამ არიან ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელები, სამინისტროებისა და უწყებების მუშაკები, რომლებიც ბიუროკრატიულად უდგებიან სახალხო კონტროლიორების წინადადებებს. ზოგიერთი ხელმძღვანელი ყურადღებით ისმენს სახალხო კონტროლის აქტივისტთა გამოსვლებს, იწონებს მათ მოქმედებასა და რეკომენდაციებს, ჰპირდება მათ, რომ ზომებს მიიღებს, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს აკეთებს. ზოგიერთები კი იმის ნაცვლად, რომ აღიარონ ნაკლოვანებანი და ოპერატიულად აღმოფხვრან ისინი, ცდილობენ უარყონ შემოწმების დასკვნები, დაიცვან დამნაშავეები, ზოგჯერ კი კონტროლიორებსაც კი ადანაშაულებენ, „შინაურულ“ ამბებს რატომ ახმაურებთო. ბოლო ხანებში საქართველოს სსრ პარტიულმა ორგანოებმა, სახალხო კონტროლის კომიტეტმა მკაცრი ზომები მიიღეს ბიუროკრატებისა და ფორმალისტების მიმართ, ზოგიერთი მათგანი თანამდებობიდანაც კი მოიხსნა. ვფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რადგანაც ნაკლოვანებათა კრიტიკისათვის სახალხო კონტროლიორთა დევნა საბჭოთა დემოკრატიის საფუძვლების ხელყოფაა.

სახალხო კონტროლის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლენინური პრინციპია საჯაროობა. „თუ არ არის საჯაროობა,

სასაცილო იქნებოდა დემოკრატიზმზე ლაპარაკი"[2], — წერდა ვ. ი. ლენინი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს ლენინის მოთხოვნას საჯაროობის შესახებ. „საჯაროობა, ის, რომ პარტიულ მასებსა და ყველა მშრომელს ვაცნობთ პარტიის საქმიანობას, ჩვენი პარტიული ცხოვრების პრინციპია" — აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი[3].

რესპუბლიკაში სათანადო სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად ჩატარებული ღონიძიებების საჯაროობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ დადებით შედეგებზე ლაპარაკი, რომლებსაც დღეისათვის მივაღწიეთ.

ყოველი წამოწყება, ზემოქმედების ყველა საშუალება უფრო მეტ ძალას იძენს, როცა უფრო მეტმა ადამიანმა იცის მათ შესახებ, როცა ისინი ხორციელდებიან ყველას თვალწინ, საჯაროდ. კონტროლის მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველვყოთ შრომითი კოლექტივების წინაშე დასმული ამოცანების სწორი გაგება, გავაცნოთ მშრომელებს არსებული დარღვევები და წარვმართოთ საზოგადოებრივი აზრი, თითოეული მშრომელის ძალღონე მათი აღმოფხვრისაკენ. საჯაროობა არის მთელი საკონტროლო მუშაობის საწყისი და საბოლოო პუნქტი. საიდან იწყება შესრულების კონტროლი და შემოწმება? საჯაროობიდან, რომელიც მოცემულ შემთხვევაში კონტროლის ორგანიზაციის აუცილებელი საშუალებაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის მარჯვედ გამოყენებას. რესპუბლიკაში ჩატარებულ ღონისძიებათა საჯაროობის უზრუნველსაყოფად სახალხო კონტროლის ბევრი კომიტეტი ტრადიციულ ფორმებსა და საშუალებებს იყენებს, მაგრამ შემოქმედებითად უდგება მათ, შეაქვს მათში სიახლე.

კონტროლის საჯაროობაზე ლაპარაკისას ლენინი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ მასებმა უნდა იცოდნენ არა მარტო შემოწმების შედეგები და ამა თუ იმ ნაკლოვანების კონკრეტულ დამნა-

---

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., გამოც., IV, ტ. 5, გვ. 607.

3 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. ლენინური კურსით, სიტყვები და სტატიები, ტ. II, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1971 წელი, გვ. 215.

შავეთა ვინაობა, არამედ ისიც, თუ როგორ აღმოიფხვრება გამოვლენილი უარყოფითი ფაქტები, რა უშლის ხელს იმ პროცესს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი დღენიადაგ ზრუნავს ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ მიწოდებული ინფორმაციის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ საკითხს ჯგუფებსა და საგუშაგოებში. ისინი ავლენენ დარღვევებს საწარმოს ყველა უბანზე, მართვისა და მომსახურების ყველა სფეროში, აცნობებენ მათ შესახებ ადმინისტრაციას, საჭიროების შემთხვევაში კი, — სახალხო კონტროლის კომიტეტებსაც. კომიტეტები თავიანთ მხრივ აძლიერებენ კავშირს ჯგუფებთან და საგუშაგოებთან, უფრო შეთანხმებულად, მოქნილად მოქმედებენ, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მათდამი უფრო კვალიფიციურ ხელმძღვანელობას.

ფართო საჯაროობა აუცილებელი პირობაა, რომ კადრებმა თავიდან აიცილონ შეცდომები და დარღვევები. დაუდევარ მუშაკს ყველაზე მეტად იმის ეშინია, მისი არასახარბიელო საქმიანობა არ გახმაურდეს. ამიტომ ყოველგვარ დისციპლინარულ სასჯელს უფრო ადვილად იტანს, ვიდრე საჯარო გაკიცხვას.

ნაკლოვანებათა პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის საჯაროობის გამოყენების ბევრი ფორმა და მეთოდი არსებობს. სახალხო კონტროლიორების გამოსვლები კოლექტივების კრებებზე, მათი მუშაობის შედეგთა გაშუქება სპეციალურ სტენდებზე, შეცდომებისა და დაუდევრობის კრიტიკა სატირულ ფურცლებზე — ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მშრომელებს, უკეთ გაერკვნენ საწარმოს მდგომარეობაში, უკეთ ჩაწვდნენ ნაკლოვანებათა მიზეზებს, უფრო აქტიურად იბრძოლონ საქმის გამოსასწორებლად. შემოწმების შედეგების განხილვა ჯგუფების კრებებზე და კომიტეტებში, აგრეთვე დამნაშავეთა განმარტებების მოსმენა ზრდის შრომითი კოლექტივების სიფხიზლეს, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას, სახალხო დოვლათისადმი ნამდვილად მზრუნველ დამოკიდებულებას.

მაგალითად, ბათუმის საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა ქალაქის ზოგიერთი საწარმოს მუშაობის პრაქტიკა და გამოავლინა, რომ გემთმშენებელი ქარხნის, გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორის“, საკონსერვო მრეწველობის კომბინატის, რეზინატექნიკური ნაწარმის

ქარხნის და სხვა საწარმოთა ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ შეუქმნან მუშებს შრომის აუცილებელი პირობები, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. კომიტეტმა დაავალა მათ ანგარიშით წარსდგნენ კოლექტივების კრებებზე. ამან კი ორგანიზაციულ ღონისძიებათა სასწრაფოდ ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია. ბევრი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა თვეობით ჭიანურდებოდა, ხელმძღვანელთა კოლექტივების წინაშე ანგარიშით წარდგომამდე გადაიჭრა.

გვინდა მოვიყვანოთ იმის კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ საჯაროობა პროფილაქტიკის იარაღად, თუ. მას შემოქმედებითად, საქმისთვის რეალური სარგებლიანობის თვალსაზრისით მივუდგებით. სახალხო კონტროლის სამტრედიის რაიონულმა კომიტეტმა, რომელსაც რესპუბლიკური კომიტეტის დავალებით საბარგო ავტოტრანსპორტის მუშაობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა უნდა შეემოწმებინა, რაიონის სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, აქტივის, სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირი ჩაატარა. თათბირის მონაწილეები გაეცნენ რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამის დადგენილებას და შემოწმების გეგმას. ამის შესახებ ვრცელი ინფორმაცია დაიბეჭდა რაიონულ გაზეთში.

შემოწმების მსვლელობამ დაგვანახა, რომ ჩატარებულმა ღონისძიებებმა არა მარტო ხელი შეუწყო მშრომელთა მობილიზებას ნაკლოვანებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობაც იქონია. ბევრი ხარვეზი გამოსწორდა შემოწმებამდეც და შემოწმების პროცესშიც, შემუშავდა მომავალში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების ეფექტური ღონისძიებები.

საჯაროობა ნაკლოვანებათა კრიტიკის უმნიშვნელოვანეს საშუალებაა. იგი ავლენს უყაირათობის, მფლანგველობის, ბიუროკრატიზმის, საქმისადმი ვიწრო უწყებრივი მიდგომის ფაქტებს, ერთი სიტყვით — ყოველივე ნეგატიურს და ანტიპოდურს; გვეხმარება აქტიურად ვიმოქმედოთ სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევებზე, ავამაღლოთ საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა ეფექტიანობა.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, როგორც წესი, უფრო ეფექტიანი მაშინ ხდება, როდესაც საჯაროობის დახმარებით აქტიურად იყენებენ საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმებს. კომიტეტებს ამის გარკვეული გამოცდილება აქვთ დაგროვილი.

1976 წელს სახალხო კომიტეტის ადგილობრივმა ორგანოებმა 840 კაცის მიმართ გამოიყენეს საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვადასხვა ზომა, მათ შორის 301 კაცის საკითხი კომიტეტების გადაწყვეტილებით განიხილეს მშრომელთა კოლექტივებში. ნაკლოვანებათა მიზეზების, მათი აღმოფხვრის საკითხებზე მშრომელთა წინაშე ინფორმაციით გამოვიდა 923 თანამდებობის პირი, ხოლო რესპუბლიკური საოლქო და ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე — 563 ხელმძღვანელი.

საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯაროობის საშუალებათა გამოყენების მხრივ გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სახალხო კონტროლის ჯგუფებმაც.

როგორც აღვნიშნეთ, 1976 წელს სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფებმა 122 ათასზე მეტი შემოწმება და რეიდი ჩაატარეს. მაგრამ აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია შემოწმების შედეგებზე რეაგირების სტრუქტურა: 58 ათასზე მეტი შემოწმების საფუძველზე, ჯგუფებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება და დასახეს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის ღონისძიებები; 17 ათასზე მეტი შემოწმების შედეგები განიხილეს მშრომელთა კოლექტივების კრებებზე, ხოლო 47 ათასამდე შემოწმების მასალები განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს და სახალხო კონტროლის შესაბამის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს. ჯგუფებმა მოისმინეს 27 ათასზე მეტი დამნაშავის ახსნა-განმარტება. აქედან 10 ათასი კაცი სახალხო კონტროლის ჯგუფის წინადადებით კოლექტივების წინაშე გამოვიდა ინფორმაციით ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ, 6 ათასამდე თანამდებობის პირს გამოეცხადა საზოგადოებრივი გაკიცხვა, ხოლო 9 ათასზე მეტი თანამდებობის პირი ადმინისტრაციამ დასაჯა.

მარჯვედ იყენებენ თავიანთ უფლებებს თბილისის საავიაციო

ქარხნის, გაერთიანება „ელექტროაპარატის“, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ბოჭკოს ქარხნების, ბათუმის მანქანამშენებელი და ელექტრომექანიკური ქარხნების, სამტრედიის რაიონის ღანირის საბჭოთა მეურნეობის, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ნელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახ. კოლმეურნეობის, თელავის რაიონის რუისპირის კოლმეურნეობის და სხვათა სახალხო კონტროლის ჯგუფები. ამ ორგანიზაციებში კარგად არის დაყენებული სამეურნეო მუშაობაც, სრულდება გეგმები ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, აღმოფხვრილია ფინანსური დისციპლინის უხეშ დარღვევათა ფაქტები.

საინტერესოა სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის გამოცდილება საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა გამოყენებაში. კომიტეტმა შეისწავლა რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მუშაობა და გამოავლინა დანაშაულთა და სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევის ფაქტები. შემოწმების შედეგები გამოცხადდა საავადმყოფოს კოლექტივის კრებაზე, რომელსაც სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის გარდა ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე. კრების შემდეგ კომიტეტმა თავის სხდომაზე განიხილა შემოწმების მასალები, დასაჯა დამნაშავეები, საავადმყოფოს მთავარ ექიმს კი დაავალა მოეხსენებინა კოლექტივისათვის ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ.

საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობამ ჩაატარა ქალაქის სამედიცინო დაწესებულებათა სახალხო კონტროლის ჯგუფების წევრთა სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

სემინარზე სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფების თავმჯდომარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

იმისათვის, რომ ეფექტიანად გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმები, უნდა შეგვეძლოს, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „უშეცდომოდ განვსაზღვროთ მასის განწყობილება ნების-

მიერი საკითხის მიმართ, ნებიმიერ მომენტში, მისი ნამდვილი მოთხოვნილებანი, მისწრაფებები და აზრები". ე. ი. აუცილებელია ღრმად და ყოველმხრივ შევისწავლოთ საზოგადოებრივი აზრი, ამასთან, არა ეპიზოდურად, არამედ მოფიქრებულად, სისტემატურად, მეცნიერული მეთოდიკის გამოყენებით. საზოგადოებრივი აზრი სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის უტყუარი ორიენტირია.

დღეისათვის ჩვენ ინფორმაციის მრავალი არხი მოგვეპოვება: ეს არის სტატანგარიშების სხვადასხვა ფორმები; სხდომებისა და თათბირების ოქმები; სხვადასხვა თათბირებსა და კრებებზე ჰშროძელთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები; მოქალაქეთა წერილები და საჩივრები, შემოწმებების, ადგილებზე მიღების თუ კომიტეტებში ჯგუფური მიღებისაგან დარჩენილი პირადი შთაბეჭდილებები და ა. შ.

მაგრამ დრო მოითხოვს, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში დაინერგოს სოციოლოგიური კვლევები, გამოკითხვები, ანკეტირება, და სხვ. ინფორმაციის შესწავლასა და ანალიზში, მისი ახალი, უფრო მასობრივი წყაროების ძიებაში აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის საბჭო. ამჟამად საბჭო შეისწავლის საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების მეთოდთა გამოყენების აქტუალურ საკითხებს. დღის წესრიგშია ბევრი სხვა საჭირბოროტო და მტკივნეული საკითხი. საზოგადოებრივი აზრის წყაროებს ფართოდ იყენებენ თავიანთ მუშაობაში თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საქალაქო კომიტეტები. ვფიქრობთ, დადგა დრო, სახალხო კონტროლის ჯგუფებიც დაეუფლონ საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეცნიერულ მეთოდებს.

კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა დადებითი როლი უნდა შეასრულონ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში, საზოგადოებაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საყოველთაო შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნაში.

რესპუბლიკური კომიტეტი იყენებს სახალხო კონტროლის აქტივის ინფორმირების, მისი კომპეტენტურობისა და ქმედითუნარიანობის ამაღლების საინტერესო ფორმას — ეს არის მომსახურების სფეროს ობიექტების სახალხო კონტროლის ჯგუფების ხელმძღვანელთა

შეხვედრები ვაჭრობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრებთან, „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარესთან.

ამ შეხვედრებზე ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მიერ მომსახურების სფეროს მუშაკებისადმი წაყენებულ ამოცანათა, მომსახურების ეფექტიანობის, ხარისხისა და კულტურის ამაღლებისათვის ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ. სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება. თვითკრიტიკულად ილაპარაკეს დარღვევებზე. შეხვედრებმა ხელი შეუწყო მომსახურების სფეროს კონტროლიორთა შემდგომ აქტივიზაციას, რესპუბლიკურ კომიტეტს კი უკარნახა მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა განხილვის აუცილებლობის შესახებ. ასეთი განხილვა მოეწყო ქ. სოხუმის მომსახურების სფეროს სახალხო კონტროლის ჯგუფთა მუშაობის მაგალითზე. საჭიროა კომიტეტებმა დეტალურად გააანალიზონ განხილვის მასალები და დასახონ ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ქმედითი კონტროლის ამაღლების ღონისძიებები.

ასრულებენ რა პარტიის მითითებებს კონტროლის საჯაროობისა და შესრულების შემოწმების გაძლიერების თაობაზე, სახალხო კონტროლის ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თავიანთი მუშაობის ანალიზს, ცდილობენ ახლებურად გაიაზრონ საჯაროობის გამოცდილება, მიიღონ გაკვეთილი შეცდომებიდან.

ამ მიზნით რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეისწავლა და განიხილა შემდეგი საკითხები: „სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების სახალხო კონტროლის გვერდების გამოყენების პრაქტიკა“, „ნაკლოვანებები საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ზოგიერთი კომიტეტის მიერ თავისი უფლებების გამოყენებაში“, „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიტხელსაწყოს“ სათავო ჯგუფის მიერ საჯაროობის გაუმჯობესებისათვის ჩატარებული მუშაობა „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე“, „საზოგადოებრივი ზემოქმედე-

ბის და საჯაროობის საშუალებათა გამოყენება ბათუმის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტისა და ჯგუფების მიერ“ და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კონტროლის პოპულარიზაცია, რის მიღწევაც შეიძლება პირველ რიგში საჯაროობის მეოხებით: მშრომელთა ინფორმირებით, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოქვეყნებით, საზოგადოებრივი აზრის შექმნით და სახალხო კონტროლიორების მობილიზებით შეცდომების გამოსასწორებლად.

„ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, რესპუბლიკური პრესა და ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ საკონტროლო მუშაობის ორგანიზაციის, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხთა გაშუქებას.

აღნიშნული დადგენილებებიდან გამომდინარე ამოცანები განხილული იყო საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელთა და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციების მუშაკთა შეხვედრაზე.

მთელ რიგ ღონისძიებათა ჩატარების შედეგად კონტროლის ორგანოების საქმიანობის გაშუქება რესპუბლიკური და ზოგიერთი ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე შესამჩნევად გაუმჯობესდა. თუ ადრე მას აშუქებდნენ ეპიზოდურად, არათანამიმდევრულად, ზოგჯერ ფორმალურადაც კი, ამჟამად პუბლიკაციები უფრო კვალიფიცირებული, საგნობრივი და სისტემატური ხასიათისაა.

გაზეთების სახალხო კონტროლის გვერდებზე დაბეჭდილი მასალების უმრავლესობა შეიცავს აქტუალური საკითხების ანალიზს, ობიექტურად ასახავს შემოწმებათა, ჩატარებულ ღონისძიებათა რეალურ შედეგებს, მიუთითებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებზე. გარდა „სახალხო კონტროლის გვერდისა“ რედაქციები ცალკე აქვეყნებდნენ კომიტეტების დადგენილებებს და სხვა კორესპონდენციებს სახალხო კონტროლის მასალებიდან.

რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურც-

ლებზე ხშირად იბეჭდება მასალები სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ სახალხო მეურნეობის რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, სოციალისტური საკუთრების გაფლანგვისა და მიტაცების შესახებ.

კონტროლის საჯაროობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას" და „სოფლის ცხოვრების", ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის ჟურნალების „სახალხო კონტროლის ეკრანის" და „შოლტის" რედაქციებთან ერთად შეიმუშავა ერთობლივი სამუშაო გეგმები. ანალოგიური გეგმები ადგილობრივი გაზეთებისა და ტელევიზიის რედაქციებთან ერთად შექმნეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა კომიტეტის მუშაობაში როდი შეინიშნება საჯაროობის ელემენტი.

საჯაროობის სექტორებში შექმნილია გაზეთების და რადიოს რედაქციებთან კავშირის ჯგუფები, სტენდების, მრავალტირაჟიანი გაზეთების ჯგუფები და პრესჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ 400-მდე შტატგარეშე აქტივისტს. ფაქტიურად ეს ჯგუფები შექმნილია ყველა კომიტეტთან, მაგრამ ყველა ერთნაირად ვერ მუშაობს. ზოგიერთ სექტორს არა აქვს არც საკუთარი სამუშაო გეგმა, არც ადგილობრივ გაზეთებთან და რადიომაუწყებლობის რედაქციებთან ერთად შემნილი ერთობლივი გეგმები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეისწავლეს, თუ როგორ შუქდება სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობა რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში. ერთობლივი სარეკომენდაციო წერილი შესაბამისი ზომების მისაღებად დაეგზავნა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს. ეს არის რეალური მხარდაჭერა სახალხო კონტროლის ორგანოებისა, რომლებმაც აქტიურად უნდა გამოიყენონ ახალი დოკუმენტის ძალა, გამოიჩინონ მეტი მონდომება და ინიციატივა.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის საჯაროობისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ისეთი საშუალებები, როგორიც არის

სახალხო კონტროლის ჯგუფების სტენდები, ხელნაწერი ფურცლები, მრავალ- და მცირეტირაჟიანი გაზეთები, კედლის და ფოტოგაზეთები, „ელვა“-ფურცლები, მოწოდებები, „სიგნალები“, „განგაში“, პლაკატები, ფოტობრალდებები, „წუნის მკეთებელთა ვიტრინები“, „სატირული სარკმელი“ და სხვ. ბოლო ხანებში ფართოდ იყენებენ სამოყვარულო ფოლმის შესაძლებლობებსაც.

სახალხო კონტროლის საჯაროობის შემდგომ გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი საჯაროობის საშუალებათა საქალაქო და რაიონულმა დათვალიერებებმა, რომლებიც 1976 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოეწყო.

ამ დათვალიერებების მაღალი იდეურ-ორგანიზაციული დონე უზრუნველყვეს სახალხო კონტროლის ჯგუფების, საგუშაგოების და აქტივისტების ინსტრუქციულმა თათბირებმა, რომლებზეც შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, სულ რესპუბლიკის მასშტაბით დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო სახალხო კონტროლის 3964 ჯგუფმა. მათ წარმოადგინეს 5000-მდე სტენდი, პლაკატი, ალბომი, „ელვა“-ფურცელი და სხვა მასალა, რომლებშიც ასახული იყო სახალხო კონტროლიორების ბრძოლა გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის. საჯაროობის საშუალებათა გამოფენა 70.000 კაცმა დაათვალიერა.

მრავალი სასარგებლო და შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინეს ამ საქმეში ქ. თბილისის კიროვის, პირველი მაისის და 26 კომისრის სახელობის რაიონების, ქალაქების — რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის, ტყიბულის, გორის, ჭიათურის, მახარაძის, სამტრედიის და რესპუბლიკის სხვა რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებმა.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის კონტროლიორებმა დათვალიერებისათვის შეარჩიეს ბევრი საინტერესო თემატური სტენდი, წარმოდგენილი იყო სახალხო კონტროლიორების ხელით დამზადებული „ხარისხის ნიშნით“ აღნიშნული პროდუქცია, მასალები გამოვლენილი რეზერვების გამოყენების, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სამტრედიის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოაწყო

საჯაროობის საშუალებათა გამოფენა თემაზე: „რუსთაველთა წამოწყებას — ფართო მხარდაჭერა“. გამოფენა დაათვალიერეს ქ. ფოთის კონტროლიორებმა, მეზობელი რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეებმა.

დათვალიერების პერიოდში სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვის მიზნით სახალხო კონტროლის ყველა კომიტეტში ჩატარდა სპეციალური სემინარები. დათვალიერების შედეგები გააშუქეს ქ. ჭიათურის, მახარაძის, ჩოხატაურის, სამტრედიის და სხვა რაიონების გაზეთებმა, რომლებმაც ამ საკითხს მიუძღვნეს თემატური გვერდები, საინტერესო სტატიები და კორესპონდენციები.

მახარაძის რაიონში სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა მონაწილეობით გაიმართა პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საჯაროობის საშუალებათა დათვალიერების შედეგები და კონტროლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები სკკპ XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე. კრებაზე ილაპარაკეს სახალხო კონტროლის ორგანოების ნაყოფიერ საქმიანობაზე, მათ მიერ გატარებულ ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლებაზე.

სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის საჯაროობის დათვალიერებამ ცხადყო. რომ გუშაგთა ხელშია მათი საქმიანობის გაშუქების საშუალებათა მდიდარი არსენალი. გაზეთებში გამოქვეყნებული მასალა, სპეციალური რადიო და ტელეგადაცემები. სტენდები, „ელვა“, „განგაში“, „სიგნალები“, ფოტობრალდებები, „სატირული სარკმელი“ — ყველაფერი ფართო ინფორმაციას აძლევს კოლექტივებს შემოწმების შედეგების შესახებ, იწვევს მშრომელთა ახალი წინადადებების წამოჭრას, ახდენს მათ მობილიზებას ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

თავისი განვითარების ყველა ეტაპზე პარტია ინფორმაციას განიხილავდა და განიხილავს, როგორც ხელმძღვანელობის მძლავრ იარაღს, მაღალი შეგნებულობის სულისკვეთებით ადამიანის აღზრდის ნაცად საშუალებას. გამოცდილება გვასწავლის, რომ დროული და ობიექტური ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია კონტროლის გაძლიერება და შესრულების შემოწმება, მათი ქმედითობის ამაღ-

ლება, ამიტომ კომიტეტების მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სახალხო კონტროლის ორგანოთა საინფორმაციო სამსახურის გაუმჯობესება.

რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებში საინფორმაციო-მეთოდური მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მხრივ სათანადო მხარდაჭერის მეოხებით ამ საქმეში გარდატეხის მაუწყებელი გახდა.

დიდი ხანი არ არის, რაც რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შეიქმნა საინფორმაციო-მეთოდური მუშაობის სექტორი, რომლის დანიშნულებაც არის აქტივზე დაყრდნობით სტატისტიკური ანგარიშებისა და სხვა წყაროების მიხედვით შეიმუშაოს განზოგადებული ინფორმაციები, გაავრცელოს კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, მოაწყოს აქტივის სწავლება, გააძლიეროს მეთოდური ინფორმაციის ნაკადი, დაეხმაროს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს სახალხო კონტროლიორების მუშაობის გაშუქებაში.

სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემასთან ერთად რესპუბლიკურ კომიტეტში იხვეწება მუშაობა სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების დასახმარებლად. რეგულარულად ტარდება თათბირები, სემინარები, კონსულტაციები; სახალხო კონტროლიორების წინაშე გამოდიან რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 25 ნოემბრის დადგენილების მიხედვით შემუშავებულ ღონისძიებათა გეგმის თანახმად თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის და ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტებში შეიქმნა მეთოდური კაბინეტები.

კაბინეტების ძირითადი ამოცანაა მეთოდური დახმარება გაუწიონ ჯგუფების თავმჯდომარეებს და საგუშაგოების ხელმძღვანელებს, რათა მათ მოაგვარონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების

შესრულების შემოწმება, სრულყონ კონტროლის ფორმები და მეთოდები.

ამ მიზნით მეთოდკაბინეტები არჩევენ და ახარისხებენ მასალას დადებითი გამოცდილების შესახებ, აცნობენ მას კომიტეტების მუშაკებს და სახალხო კონტროლიორებს, რომლებიც საკონსულტაციოდ მიმართავენ მათ; გარდა ამისა სისტემაში მოჰყავთ მასალები და დოკუმენტები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში საკონტროლო მუშაობის გამოცდილების შესახებ.

მეთოდკაბინეტებში ინახება მასობრივი და სხვა შემოწმებების, რეიდების, დათვალიერებების გეგმები, ჩანაწერები განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღონისძიებათა შედეგებზე, საჭირო ცნობარები და მეთოდური მასალები.

დიდი სასარგებლო მუშაობა ტარდება ქუთაისისა და ბათუმის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტების მეთოდკაბინეტებში. ქუთაისში და მახარაძის რაიონში შეიქმნა მეთოდური კაბინეტებისა და კუთხეების მთელი სისტემა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თბილისის საქალაქო კომიტეტის მეთოდკაბინეტი — იგი საბაზოა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებისათვის. რესპუბლიკური კომიტეტი აქ ატარებს სხვადასხვა სემინარებს, სახალხო კონტროლის აქტივის მეცადინეობებს.

მეთოდკაბინეტები და კუთხეები უნდა გადაიქცეს ჩვენი მრავალათასიანი აქტივისათვის საკონტროლო მუშაობის სწავლების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის ცენტრად. საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტები ამჟამად დიდ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოების გამოცემას.

კონტროლის საჯაროობის უზრუნველყოფა მჭიდროდ არის დაკავშირებული აქტივის სწავლებასთან, კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი საქმიან, კონკრეტულ დახმარებასთან.

კონტროლის საჯაროობის ლენინური პრინციპების შესწავლის მიზნით მახარაძის, სამტრედიის, ზესტაფონის, მცხეთის, თელავის რაიონული, გორის, ტყიბულის და სხვა საქალაქო კომიტეტების სასწავლო გეგმებში შეტანილია შემდეგი თემები: „საჯაროობა კონტროლის მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის, შემოწმების ქმედითობის ამაღლების, კადრების მუშაობაში შეცდომებისა და

დარღვევების თავიდან აცილების საშუალება“, „კონტროლის საჯაროობა მისი ქმედითობისა და მასობრიობის აუცილებელი პირობაა“, „სახალხო კონტროლის ჯგუფების მიერ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საჯაროობის საშუალებათა ფორმებისა და მეთოდების გამოყენების შესახებ“, როგორ უზრუნველვყოთ საკონტროლო მუშაობის საჯაროობა“, „საჯაროობის ფორმები და საშუალებები“ და სხვ.

კონტროლის საჯაროობის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მისი გავლენის თემა ძირითადია სახალხო კონტროლის ორგანოთა სხვადასხვა კატეგორიის მუშაკების შტატგარეშე აქტივის სასწავლო პროგრამებში.

აქტივისათვის საჯაროობის ფორმებისა და მეთოდების სწავლებას დიდ ყურადღებას უთმობს თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი. უკვე მეორე წელია ამ რაიონში მუშაობს სამართლებრივი ცოდნის უნივერსიტეტი. მეცადინეობები ტარდება რეგულარულად, თვეში ერთხელ. რაიონული კომიტეტი ზრუნავს, რომ მეცადინეობები საინტერესო იყოს, შინაარსიანი, შემოქმედებითი ხასიათისა, ეხმარებოდეს კონტროლიორებს სრულყონ კონტროლის საჯაროობისათვის მუშაობის ჩვევა.

მაგალითად, მაღალ დონეზე ჩატარდა მეცადინეობა თემაზე: „საჯაროობის ფორმები და საშუალებები“. ამ მეცადინეობაზე დიდი ინტერესი გამოიწვია სახალხო კონტროლის ჯგუფების ხელმძღვანელების ა. ბაღდასაროვის (სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიტხელსაწყო“, ლ. დოლის (ცხიმკომბინატი), ი. რუხაძის (ტრიკოტაჟის № 1 ქარხანა) გამოსვლებმა. მათ გამოავლინეს საქმის ღრმა ცოდნა, თეორიული საკითხების პრაქტიკულ მუშაობასთან დაკავშირების უნარი. მეცადინეობებზე მიწვეული იყვნენ საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები, საქალაქო კომიტეტის კონტროლის მუშაკები, პარტიის რაიკომისა და რაიალმასკომის ხელმძღვანელები.

აქტივისათვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სკკპ XXV ყრილობა და შესრულების შემოწმების ფორმები და მეთოდები“. კონ-

ფერენციაზე განიხილეს კონტროლის საჯაროობის, საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა სრულყოფის, პრაქტიკაში დანერგილი სიახლეების გამოყენების საკითხები. მოისმინეს მოხსენებები: „შემოწმების ქმედითობისა და შედეგიანობის ამაღლებისათვის კონტროლის საჯაროობის და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა გამოყენება“, „სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ მათთვის მინიჭებულ უფლებათა გამოყენების ფორმები და მეთოდები“, „პრესა და საჯაროობა სახალხო კონტროლის ორგანოთა საქმიანობაში“ და სხვ.

იმის გამო, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქტივის ინფორმირებას, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით შარშანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე სახალხო კონტროლის მუშაობის პრაქტიკაში პირველად მოისმინეს კომიტეტების ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ. ამ სიახლემ ხელი შეუწყო კრიტიკულ მსვლელობას საკონტროლო ორგანოების ამოცანების შესახებ და დაანტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. ამჟამად, პრაქტიკაში ფართოდ მოიკიდა ფეხი აქტივის წინაშე საკონტროლო ორგანოების ყოველწლიურ ანგარიშთა მრავალსაფეხურიანმა სისტემამ.

კრებებზე სახალხო კონტროლის ადგილობრივი კომიტეტები მშრომელთა წინაშე გამოდიან ერთი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის ანგარიშით. ასეთი სისტემატური ანგარიში ორ მიზანს ისახავს: ერთის მხრივ კოლექტივი ახლოს ეცნობა ჯგუფის მუშაობას, ხოლო აქტივი იღებს ინფორმაციას კომიტეტების მუშაობის შესახებ და კრიტიკული პოზიციებიდან განიხილავს მას, მეორეს მხრივ — ანგარიშები ეხმარება თვით კომიტეტებს სწორად გაერკვნენ აქტივის მოთხოვნებსა და სურვილებში და მათ შესაბამისად წარმართონ საქმიანობა.

რეგიონალური კომიტეტები სისტემატურად აწვდიან შრომით კოლექტივებს ინფორმაციას მათი კრიტიკული შენიშვნების გამო მიღებული ზომების შესახებ. ეს „უკუინფორმაცია“ — ინფორმაცია კომიტეტებიდან კოლექტივებში კონკრეტული და შინაარსიანი უნდა იყოს, ხელს უნდა უწყობდეს მასების ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას.

ეს საკითხი შემთხვევით არ წამოჭრილა. ამ მხრივ საქმე ყველგან კარგად ვერ არის დაყენებული.

რესპუბლიკურ კომიტეტთან შექმნილმა საზოგადოებრივი აზრის საბჭომ შეისწავლა რესპუბლიკის სამი ქალაქისა და ხუთი რაიონის მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი საკონტროლო ორგანოების მიერ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესრულების შესახებ. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები დამაფიქრებელია. გამოკითხულთა აზრით კონტროლიორებმა უყურადღებოდ დატოვეს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე წამოჭრილი საკითხების დიდი ნაწილი. რა თქმა უნდა, ეს საშუალო მაჩვენებელია. ზოგან საქმე უკეთ არის დაყენებული, ზოგან უარესად; და ეს დაუშვებელია სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში. კომიტეტებმა მკაცრად უნდა მოთხოვონ პასუხი იმათ, ვისთვისაც სიტყვა და საქმე ერთი არ არის, ვინც შრომითი კოლექტივების საზრუნავს არ აღიქვამს როგორც თავის საკუთარ, სისხლხორცეულ საჭიროებას.

სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის აქტივიზაციამ, მათმა პრინციპულობამ და შეუპოვრობამ სახალხო, სახელმწიფო ინტერესებისათვის ბრძოლაში, გაზარდა მშრომელთა ნდობა მათდამი. მშრომელები უფრო ხშირად მიმართავენ სახალხო კონტროლის ორგანოებს, რადგან დარწმუნდნენ, რომ კონტროლიორთა ჩარევით შეიძლება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში წესრიგის დამყარება.

პროფკავშირთა XVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპი ახლებურად აყენებს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების ბევრ ამოცანას, მოითხოვს პარტიისა და ხალხის საქმიანობის ზოგიერთი მხარის ძირეულ გარდაქმნას. იმისათვის, რომ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების სტრატეგიამ, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში დააყენა, შეინარჩუნოს წამყვანი, მამობილიზებელი მნიშვნელობა, საჭიროა, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „ყოველდღიუ-

რად, გულმოდგინედ შეამოწმო შენი თავი, ყველაფერი კეთდება თუ არა ცხოვრებაში მისი ხორცშესხმისათვის"[4].

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის საქმიანი, პრინციპული და პროდუქტიული სტილის განმტკიცების განსაკუთრებული მნიშვნელობა, მიგვითითა შაბლონის, ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის საშიშროებაზე, რაც ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთი ხელმძღვანელის და სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობაში და დიდ ზიანს აყენებს საქმეს. „ღონისძიებათა რაოდენობას ნუ გამოვედევნებით, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — მოდით ჩავუფიქრდეთ, ძალიან ხშირად, ძალიან დიდხანს ხომ არ ვსხედვართ სხდომებზე? მეტისმეტად ხომ არ ვამრავლებთ ნაირ-ნაირ ქაღალდებს — განკარგულებებს, გადაწყვეტილებებს, დადგენილებებს, — და ზოგჯერ ხომ არ გვავიწყდება ხოლმე იმის შემოწმება, თუ რას ცვლიან ეს ქაღალდები თვითონ ცხოვრებაში? ქაღალდების სიმრავლე კი არა, მოჭარბებული და გახანგრძლივებული სხდომები კი არა, არამედ ზუსტი პოლიტიკური მიმართულება, გერგილიანობა, პრაქტიკული შედეგები — აი, ეს არის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით შეიძლება შევაფასოთ და კიდევაც უნდა შევაფასოთ საზოგადოებრივი მუშაობა"[5].

ეს სიტყვები მიმართულია სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკებისადმი, რომლებიც მოწოდებული არიან სახელმწიფო მართვაში ხალხის სახელით ახორციელებდნენ კონტროლის და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმებას. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული აზრები და დასკვნები დაეხმარება სახალხო კონტროლის ორგანოებს უკეთ გაიგონ ქვეყანაში შექმნილი ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციის არსი და მაშასადამე, უფრო აქტიური, მოწინავე

---

4 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, საბჭოთა პროფკავშირები ჩვენი საზოგადოების გავლენიანი ძალაა. სიტყვა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობაზე 1977 წლის 21 მარტს, თბ. გამ. „საბჭოთა საქართველო", 1977, გვ. 17.

5 ი ქ ვ ე.

პოზიციებიც დაიკავონ X ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ო. მელქაძე,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის
კომიტეტის თავმჯდომარე

სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის ბრძოლის გაძლიერება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

სახალხო კონტროლის ორგანოთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ვ. ი. ლენინი თვლიდა სოციალისტური საკუთრების, სახალხო დოვლათის დაცვას გაფლანგვისა და დატაცებისაგან. ლენინის აზრით ის, ვინც ხელყოფს საზოგადოებრივ საკუთრებას, ითვისებს და ანიავებს სახელმწიფო ქონებას, არაეკონომიურად ხარჯავს სახელმწიფო თანხებს, მკაცრად უნდა დაისაჯოს. ლენინი მოითხოვდა უწინარეს ყოვლისა, ყოველ საწარმოსა და უწყებაში სახელმწიფო დოვლათის ისეთი აღრიცხვისა და კონტროლის დაწესებას, რომ ვერც ერთ უპატიოსნო ადამიანს ვერ შესძლებოდა სახალხო ქონების ხელყოფა, სახელმწიფო სახსრების მითვისება, ან განიავება.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩაატარეს სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, მისი გაფლანგვისა და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

1976 წლის 28 მაისს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღო დადგენილება სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობაზე კონტროლის უზრუნველყოფისათვის, გაფლანგვისა და განიავების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ამავე დადგენილებით რესპუბლიკურ კომიტეტში შეიქმნა სო-

ციალისტური საკუთრების დაცვაზე კონტროლის უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო კომისია.

ეს იყო სახალხო კონტროლის ორგანოების ღონისძიებათა და შესაძლებლობათა ერთ სპეციალურ ქვეგანაყოფში თავმოყრის პირველი ცდა. წინასწარ ძნელი იყო იმის თქმა, გაამართლებდა თუ არა ის იმედებს.

მოკლე დროში შემუშავდა და 1976 წლის 25 ივნისს დამტკიცდა დებულება კომისიის შესახებ, მისი მუშაობის პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები. მათი შემუშავება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც ამგვარი დოკუმენტები ჩვენს ქვეყანაში პირველად იქმნებოდა. განსაკუთრებით რთული იყო კომისიისა და დარგობრივ განყოფილებათა ურთიერთკავშირის საკითხის მოგვარება. საჭირო იყო საქმის ისე დაყენება, რომ მათ კი არ შეეცვალათ ერთმანეთი, არამედ, პირიქით, ერთობლივი მუშაობით უზრუნველეყოთ სოცსაკუთრების დაცვა.

კომისია დიდი ხანი არ არის, რაც შეიქმნა, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ მისი ორგანიზაციის ცდამ იმედები გაამართლა. კომისიის ინიციატივით კომიტეტმა დააყენა საკითხი სოციალისტური საკუთრების დაცვის რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ. 1976 წლის 22 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტებზე სოცსაკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ. დათვალიერების მთავარი მიზანი იყო სოცსაკუთრების დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერება, რესპუბლიკის მშრომელთა მიერ X ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. დათვალიერება მიმდინარეობდა 1976 წლის 20 მარტიდან 20 აპრილამდე. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახალხო კონტროლიორებმა.

დათვალიერების ხელმძღვანელობისა და მისი შედეგების შეჯამებისათვის შეიქმნა რესპუბლიკური კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოთავეობით. ანალოგიური კომისიები შეიქმნა ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში. დათვალიერების წარმატებით ჩატარებას ხელი შეუწყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის, სახალხო დოვლათის დატაცებისა და განიავების ყველა არხის მოსპობისათვის, უყაირათობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში არსებული გამოცდილების შესწავლამ და გავრცელებამ.

1976 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს სსრ პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების მონაწილეობით კომისიამ დაამთავრა დატაცებითა და დანაკლისებით გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულების კომპლექსური შემოწმება. გამოვლინდა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები და დაისახა ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

საკმარისია აღინიშნოს, რომ აუნაზღაურებელმა ზარალმა 1976 წლის 1 იანვრისათვის 19,3 მილიონ მანეთს მიაღწია. შემოწმების შედეგები აცნობეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მინისტრთა საბჭოს. ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1977 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით კომიტეტის მოხსენებითი ბარათი დაეგზავნა პარტიის ყველა საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მათ სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და განიავების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების, მატერიალური ზარალის სრული ანაზღაურების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება. მიღებული დოკუმენტი ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხის წარმატებით გადაწყვეტის სერიოზული წანამძღვარია.

1977 წლის 21 იანვარს კომიტეტმა განიხილა კომისიის მიერ მომზადებული საკითხი რესპუბლიკაში სოციალისტური საკუთრების დაცვის მეცნიერულ და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შე-

სახებ. ჩატარებული მუშაობის მასშტაბზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების 250-მდე დაწესებულებისა და ორგანიზაციის მასალები. ამჟამად ზოგიერთი საკვანძო საკითხი შეტანილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

კომისიის მიერ ჩატარებული სხვა ღონისძიებებიდან უნდა აღინიშნოს სოცსაკუთრების დაცვის კონტროლის დარგში ქ. თბილისის ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტთა მუშაობის გამოცდილების შესწავლა.

რესპუბლიკური, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ცხინვალის საქალაქო, მახარაძის, ზუგდიდის, სამტრედიის, თელავის, ჩოხატაურის რაიონული კომიტეტები, სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კონტროლის საგუშაგოები სისტემატურ პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებენ სოცსაკუთრების გაფლანგვისა და დატაცების წინააღმდეგ. ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაჭრას, ბუნებრივია, ხელს უწყობს რესპუბლიკის სხვა საკონტროლო ორგანოებთან კონტაქტები. სხვადასხვა ორგანიზაციების შემოქმედებითი თანამშრომლობა განაპირობებს კონტროლის და შესრულების შემოწმების მაღალეფექტიანობას და შედეგიანობას სახსრებისა და დროის ნაკლები დანახარჯებით. გარდა ამისა, ასეთი კონტაქტების წყალობით შესაძლებელი ხდება პარალელიზმისა და დუბლირების თავიდან აცილება. ამ მხრივ სახალხო კონტროლის კომიტეტებმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს. ერთობლივ რეიდებში, შემოწმებებში, დათვალიერებებში მონაწილეობენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სახელმწიფო არბიტრაჟის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების ფასების კომიტეტის, პროფორგანიზაციების, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის, დეპუტატთა ჯგუფების და სხვ. წარმომადგენლები. ვლინდება სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, მიწერების, თვალის ახვევის, ფულადი და მატერიალური სახსრების დატაცების და სახელმწიფოს მოტყუების სხვა ფაქტები. პრინცი-

პული შეფასება ეძლევა გამოვლინებულ დარღვევებს, ხოლო კონ-
კრეტული დამნაშავეები მკაცრად ისჯებიან.

1976 წელს კომიტეტებმა სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად ჩაატარეს 457 შემოწმება, 131-ით მეტი, ვიდრე 1975 წელს. გაფლანგულმა თანხამ თითქმის 1 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც თითქმის 300 ათასი მანეთით მეტია 1975 წელთან შედარებით.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს სოციალისტური საკუთრების დაცვას. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამაზე, ჩამოვთვალოთ რესპუბლიკური კომიტეტის მიერ შესწავლილი ზოგიერთი საკითხი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეისწავლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 1 ოქტომბრის № 124 დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. მიღებულ იქნა დადგენილება „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ სისტემაში დატაცებისა და კერძომესაკუთრულ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“.

„საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ სამმართველოს ობიექტებზე შემოწმების ორგანიზაცია და სოცსაკუთრების დაცვის სხვა ძირითადი საკითხების შესწავლა ხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სოცსაკუთრების დატაცებასთან ბრძოლის სამმართველოს მუშაკებთან ერთად. შემოწმების ვადების, სამუშაოს მოცულობის, შესამოწმებელი ობიექტების და მონაწილეთა რაოდენობის დასადგენად შეადგინეს ერთობლივი სამუშაო გეგმა, რომელიც დამტკიცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელობამ.

მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ შემოწმების სწორი ორგანიზაცია და მომზადება იძლევა საკითხის ყოველმხრივი, ღრმა შესწავლის საშუალებას, უზრუნველყოფს მის ქმედითობას და სრულფასოვნებას. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ სისტემის შემოწმებისას, რომელმაც გვიჩვენა, რომ სამმართველოს ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო აპარატის მობილიზება სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა, და

სოცსაკუთრების დატაცების, მექრთამეობის და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში კადრების მომთხოვნელობის ამაღლების შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ჩატარებული მოულოდნელი ინვენტარიზაციის დროს გურჯაანის, მახარაძის, მარნეულის, თბილისის, საგარეჯოს, ბათუმის, ზუგდიდის ნავთობის ბაზებზე, ბენზინის ჩასასხმელ სადგურებში გამოვლინდა დანაკლისები, ნამეტი ნავთობპროდუქტების განზრახ შექმნის, ანგარიშსა და ზომაში მომხმარებელთა მოტყუების, დიდი ფულადი თანხის მითვისების ფაქტები.

შემოწმების მომენტში გურჯაანის ნავთობის ბაზიდან შესაბამისი საბუთების გაუფორმებლად გადიოდა ავტოცისტერნა 1600 ლიტრი სადიზელე სათბობით. ამასთან მატერიალურად პასუხისმგებელ პირს — ბაზის ოპერატორს — აღმოაჩნდა 12 ტონა ზედმეტი სადიზელე სათბობი. საგარეჯოს ნავთობბაზაზე წლობით ირიცხებოდა 11,6 ათასი ლიტრი ა-72 მარკის ბენზინი, რომელიც სინამდვილეში სადიზელე სათბობი აღმოჩნდა.

ნავთობბაზებზე და ბენზინის ჩასასხმელ სადგურებში საწვავ-საპოხი მასალის მიღებისა და შენახვის წესები უხეში დარღვევის შედეგად ნავთობპროდუქტების ხარისხის გაუარესებამ სისტემატური ხასიათი მიიღო, აღებული სინჯების ანალიზმა გვიჩვენა ოქტანის რიცხვის შემცირება, ცალკეულ შემთხვევებში კი დუღილის ბოლო წერტილის ამაღლება, რის მიზეზიც არის სხვადასხვა მარკის ბენზინის ერთმანეთში არევა, აგრეთვე ბენზინში მძიმე ფრაქციების (სადიზელე სათბობის ან ნავთის) არსებობა. ამას მოჰყვება ავტომანქანების ძრავების ნაადრევად გამოსვლა მწყობრიდან. ნავთობბაზებზე და ბენზინის ჩასასხმელ სადგურებში საწვავ-საპოხი მასალის აღრიცხვის, მიღების, შენახვისა და გაცემის ამჟამად არსებული სისტემა იძლევა გაუთვალისწინებელი ნამეტის შექმნის და მისი არაკანონიერი რეალიზაციის საშუალებას.

ნავთობბაზებში ნავთობპროდუქტების რაოდენობის დადგენისას მატერიალურად პასუხისმგებელ პირს შეუძლია მოცულობის, სიმკვრივისა და ტემპერატურის თავისი სურვილისამებრ შეცვლით შექმნას აღურიცხავი ნამეტი და არაკანონიერად გაყიდოს ის.

ბენზინის ჩასასხმელ სადგურებში უგულებელყოფილია საწვავ-საპოხი მასალის გაცემა ჩვენს ქვეყანაში დადგენილი წესით — წინასწარ ნაყიდი ტალონებით. იმის ნაცვლად, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებზე ტალონების წინასწარ გაყიდვას აწარმოებდნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ქსელში, ტალონების გაყიდვა დაკისრებული აქვთ ბენზინის ჩასასხმელ სადგურებს, სადაც ნავთობპროდუქტების რეალიზაცია ფაქტიურად ნაღდ ანგარიშზე ხდება. ანგარიშის ჩაბარებისას კი სადგურის მუშაკები წარმოადგენენ სახელმწიფო მანქანების მძღოლებისაგან დაბალ ფასებში ნაყიდ ტალონებს. ზედმეტი ტალონები მძღოლებს, როგორც წესი, ავტომეურნეობებში გარბენის კილომეტრაჟისა და გადასატანი ბარგის ტონაჟის წამატებების შედეგად აქვთ. ამას მოწმობს შემოწმებისას დადგენილი ფაქტები, როცა ბენზინის ჩასასხმელი სადგურების მუშაკებს აღმოაჩნდათ სახელმწიფო მანქანების ზედმეტი ტალონები; აგრეთვე ის, რომ ინდივიდუალური ავტომანქანების რაოდენობის ყოველწლიური ზრდის მიუხედავად, საბაზრო ფონდის ტალონების მიხედვით ბენზინის რეალიზაცია წლითიწლობით მცირდება.

„საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების" მიერ თბილისში ა-72 და ა-76 მარკის ბენზინის საბაზრო ფონდის ტალონებით რეალიზაციის მონაცემების შედარებამ, ამავე ბენზინზე მომუშავე ინდივიდუალური მანქანების რაოდენობასთან გვიჩვენა, რომ ყოველი ავტომანქანის სადღეღამისო გარბენი 1975 წელს შეადგენდა 11,4 კმ, 1976 წელს კი — 7 კმ, რაც არ შეეფერება სინამდვილეს და მიუთითებს ბენზინის რეალიზაციაში დაშვებულ უხეშ დარღვევებზე.

სახალხო დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველომ და სახალხო კონტროლიორებმა 1977 წლის 15-დან 21 თებერვლამდე თბილისის ბენზინის ჩასასხმელ სადგურებში ჩაატარეს საბაზრო ფონდის ტალონებით ბენზინის საკონტროლო რეალიზაცია, რომლის დროსაც გაყიდული ა-72 და ა-76 მარკის ბენზინის რაოდენობა წინა დღეებთან შედარებით ორჯერ, ე. ი. 100%-ით გაიზარდა, ხოლო 1976 წლის სადღეღამისო რეალიზაციასთან შედარებით 1,5-ჯერ.

ამ პერიოდში წინა კვირასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაი-

ზარდა აი-93 მარკის ბენზინის რეალიზაცია. ბენზინის საშუალო სადღეღამისო გაცემა იანვართან შედარებით 1,2-ჯერ გაიზარდა, შარშანდელთან შედარებით — ერთიორად.

წინასწარმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ თბილისის ბენზინის ჩასასხმელ სადგურებში მხოლოდ აღნიშნული მარკის ბენზინის გაყიდვის შედეგად სახელმწიფოს ყოელწლიურად 1 მილიონი მანეთი ზარალი აქვს.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოახსენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ სისტემაში შემოწმების შედეგების, და სოციალისტური საკუთრების დატაცების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

საკოორდინაციო კომისიამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ განყოფილებასთან ერთად შეისწავლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში არსებულ მიწერათა მასალები. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი სამინისტროს, უწყების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ უზრუნველყოფენ კონტროლს საანგარიშო მონაცემთა სინამდვილეზე, ხშირად თვალს ხუჭავენ მიწერის ფაქტებზე, რითაც მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათს ქმნიან. მსგავსი ნეგატიური მოვლენები 1975—1976 წელს სულ სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. 1976 წელს გამომჟღავნდა 15,5 მილიონი მანეთის მიწერები. მიწერებს და სახელმწიფოს მოტყუებას ხელს უწყობს მატერიალური რესურსების დაფარვის მანკიერი პრაქტიკა, რაც ქმნის სხვადასხვა სახის დანაშაულებათა ჩადენის ხელშემწყობ პირობებს.

სოციალისტური საკუთრების დაცვის მუდმივმოქმედმა საკოორდინაციო კომისიამ შეამოწმა, თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ციტრუსოვანთა დანაკარგების წინააღმდეგ 1976 წლის მოსავლის რეალიზაციის დროს. გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები, რამაც დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა სახელმწიფოს. თითქმის ვერც ერთმა იმ შემოწმებული საწარმოებიდან, რომლებსაც ციტრუსები გადააქვთ, ვერ უზრუნველყო ციტრუსების რკინიგზის ტრანს-

პორტით გადაზიდვისას მათი მიწოდება დანაკარგის ნორმების ფარგლებში, რამაც დიდძალი პრეტენზიები გამოიწვია. 445 ორგანიზაციიდან, რომლებსაც ციტრუსები გაუგზავნეს „აჭარკოოპკავშირის“ სამმართველოს საწარმოებმა, 337-მა ანუ 75,7%-მა წამოაყენა პრეტენზია დაახლოებით 3 მილიონ მანეთ თანხაზე. ზარალს ხშირ შემთხვევაში აფორმებენ სახელმწიფოს ანგარიშზე, დადგენილი წესით არ ანაზღაურებინებენ მას კონკრეტულ დამნაშავეებს. შემოწმებამ ცხადყო, რომ ციტრუსოვანთა ზენორმატიული დანაკარგები ძირითადად გამოწვეულია ტრანსპორტირების ცუდი ორგანიზაციით, დატაცების ფაქტებით, ცალკეულ მიმწოდებელთა და ტვირთის მიმღებთა არაკეთილსინდისიერებით. იმ ვაგონებში, რომელთა დატვირთვას და მიღებას ამოწმებდნენ სახალხო კონტროლის ორგანოები, დანაკლისი ან საერთოდ არ გამოვლინდა, ან შეესაბამებოდა ბუნებრივ ნორმებს, უკონტროლო ვაგონებში კი დიდი ზენორმატიული დანაკარგები გამომჟღავნდა. 1977 წლის იანვარში ქ. ნოვოსიბირსკში ოჩამჩირის დამზადების რაიონული კანტორის მიერ გაგზავნილ სექციას აკლდა 41 ადგილი და 12,9 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი (ბრუტო). ქოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობიდან 1977 წლის იანვარში ქ. აშხაბადში გაგზავნილ ორ ვაგონში ციტრუსოვანთა ზენორმატიულმა დანაკარგმა 783,2 კგ (ნეტო) შეადგინა.

შემოწმებამ გამოავლინა ტვირთის მიმღებთა მიერ დაშვებული სერიოზული დარღვევების შემთხვევები. რუსთავის ხილბოსტანვაჭრობამ 1976 წლის დეკემბერში აცნობა მიმწოდებელს — ქობულეთის № 7 საფუთავ პავილიონს, რომ ერთ ვაგონში გაფუჭებულია მანდარინის 25%, ორში — 50%, და, რომ ტარის წონაში განსხვავება იყო 1 კგ ყოველ ყუთზე. ეს დოკუმენტი შეადგინეს ნაყოფის ხარისხის შემოწმებამდე და იგი მკვეთრად განსხვავდებოდა ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის აქტისაგან, რომელიც შემდეგ შედგა. მიმწოდებულს რომ პრეტენზია მიეღო, შეიქმნებოდა ციტრუსების დიდი რაოდენობით მითვისების საშუალება. ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ ნაყოფის დაუყოვნებლივ გადარჩევა მოსთხოვა რუსთავის ხილბოსტანვაჭრობას, რომელმაც შეადგინა 5.617 კგ მანდარინის ჩამოწერის ფიქტიური აქტები, იმის აღუნიშნავად, თუ სად და როგორ გაანადგურეს ეს საქონელი.

კომიტეტმა შეისწავლა ეს საკითხი, მკაცრად დასაჯა კონკრეტული დამნაშავეები და მოსთხოვა სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სამინისტროებს, ცეკავშირს სათანადო წესრიგის დამყარება ციტრუსების დამზადებასა და რეალიზაციაში.

მუდმივი ქმედითი კონტროლი ციტრუსების ტრასპორტირებაზე დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა, მაგრამ სახალხო კონტროლის კომიტეტები და ჯგუფები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამ საკითხს, რაც უკონტროლობის ატმოსფეროს ქმნის და ხელს უწყობს სერიოზულ დარღვევებს.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკურმა კომიტეტმა სათანადო ღონისძიებების ჩატარება დაავალა აჭარის ასსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ის, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ხობის რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებს.

ღონისძიებები ბევრია დასახული, მთავარია მათი მაღალეფექტიანი და დროული განხორციელების უზრუნველყოფა.

პარტია საკონტროლო ორგანოებისაგან მოითხოვს კონტროლის პრაქტიკის შემდგომ სრულყოფას, მისი ქმედითობის ამაღლებას, შემოწმების, ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და გამოსწორების ორგანული ერთიანობის უზრუნველყოფას. აქ გვინდა მოვიყვანოთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ საკონტროლო მუშაობაში მთავარია „...არა მარტო და არა იმდენად „დაჭერა", „მხილება". ...რამდენადაც გამოსწორების უნარი"[6]. სწორედ ამ მიმართულებით, პროფილაქტიკურ მუშაობაზე ამახვილებენ ყურადღებას სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები. ისინი მუშაობის ეფექტიანობის, ქმედითობის, ავტორიტეტის ამაღლების ახალი ფორმებისა და მეთოდების მუდმივ ძიებაში არიან. ამ მუშაობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია საჯაროობა, რომელიც ქმნის საერთო სახალხო მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ატმოსფეროს. ბოლო ხანებში სახალხო კონტროლის ორგანოები ფართოდ იყენებენ საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმებს. მაგალითად, 1976 წელს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა ჩაატარეს 122 ათასი შემოწმება და რეიდი. 17 ათასი შემოწმების შედეგები განიხილეს

---

6 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამოც. IV, ტ. 33, გვ. 27.

მშრომელთა კოლექტივების კრებებზე. მშრომელთა წინაშე განმარტებებით გამოვიდა საწარმოებისა და ორგანიზაციების 10 ათასი ხელმძღვანელი. სახალხო კონტროლის მუშაობის ამ ფორმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის სახალხო კონტროლიორთა მუშაობის გაძლიერება, მათი აქტიური მონაწილეობა არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, აქტიური ბრძოლა ყოველივე იმასთან, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს, ხელს შეუწყობს სკკპ XXV ყრილობის მიერ საკონტროლო ორგანოების წინაშე დასმული ამოცანების სწრაფ და წარმატებით გადაჭრას.

დ. მარგალიტაძე,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

პრესა — სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში საჯაროობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება

კონტროლის საჯაროობის პრინციპი გამომდინარეობს თვით ჩვენი სოციალისტური წყობის ბუნებიდან. ხალხს, სხვა უფლებებთან ერთად, კონტროლის უფლებაც ენიჭება. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებისაგან მოითხოვს მუდმივი ყურადღებით ეკიდებოდნენ კონტროლის საჯაროობას.

თბილისში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონში ჩატარდა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების საჯაროობის საშუალებათა რესპუბლიკური დათვალიერება, რომელმაც თვალსაჩინოდ და ნათლად დაადასტურა, თუ რა ნაყოფიერად მუშაობენ რესპუბლიკის საკონტროლო ორგანოები და რა მარჯვედ იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სოციალის-

ტური და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველა რეზერვის სრული გამოყენებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. საკონტროლო მუშაობის საჯაროობისადმი მიძღვნილ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ სტენდი სათაურით „ასი თვალი, ასი ყური“. ამ სათაურში ასახულია საკონტროლო ორგანოების საქმიანობის პრესაში გაშუქების უდიდესი მნიშვნელობა. მრავალფეროვანი და მრავლისმთქმელი იყო გამოფენაზე წარმოდგენილი საჯაროობის საშუალებათა არსენალი: გაზეთების სახალხო კონტროლის გვერდები, სტენდები, რადიოგადაცემები, კარიკატურები, ფოტობრალდებები, კონტროლიორთა წერილები, „ელვა“-ფურცლები, „განგაში“ და სხვ. ეჭვს არ იწვევს, რომ სახალხო კონტროლიორი გამოფენის დათვალიერებით შეიძენს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა შესრულების, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების პრობლემათა გადაჭრის, საჯაროობის ფორმათა გამოყენების გამოცდილებას.

20 წლის წინათ რესპუბლიკურ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ ჩვენ პირველად შემოვიღეთ სახალხო კონტროლის გვერდი „ასი თვალი, ასი ყური“. ეს მოკლე ქართული იდიომური გამოთქმა ნიშნავს აქტიურ, შემტევ სიფხიზლეს — სოციალისტურ საზოგადოებაში არაფერი არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი, არავინ არ უნდა ჩაიდინოს დანაშაული და თუ ჩაიდინა — მაშინვე მხილებული უნდა იქნეს, დაუსჯელი არ დარჩეს. სახალხო კონტროლის ამ გვერდს. პროფილაქტიკური, გამაფრთხილებელი მნიშვნელობაც აქვს — არავინ არ უნდა გაბედოს დანაშაულის ჩადენა — ფხიზლობს ბევრი თვალი და ყური, დანაშაული არ დაიფარება. საკონტროლო ორგანოების მუშაობისადმი მიძღვნილი რუბრიკა მშრომელთა გაზეთში სწორად ასახავს პრესისა და სახალხო კონტროლიორთა დანიშნულებას — ყურადღება გაამახვილონ ნეგატიურ მოვლენებზე, შეურიგებლობა გამოიჩინონ მათ მიმართ, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ ჩვენი ცხოვრების ანტიპოდებს, სახელმწიფო ქონების გამფლანგველებს, მექრთამეებს, ბიუროკრატებს და წარსულის სხვა გადმონაშთებს. ანტიპოდების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნა ევალება პრესას და სახალხო კონტროლის მუშაკებს.

„სოფლის ცხოვრება“ სახალხო კონტროლის გვერდს თვეში ორჯერ უშვებს. აქ დაბეჭდილი მასალები ოთხი მიმართულებისაა. **პირველი** მიმართულებაა „მოქმედებს სახალხო კონტროლი“, სადაც ძირითადად წარმოდგენილია მასალები სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობაზე; **მეორე**: „საჯაროობა — სახალხო კონტროლიორების მუშაობის სარკე“. ამ რუბრიკით იბეჭდება მასალები მოწინავე კონტროლიორებზე, საჯაროობის ფორმათა და საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობაზე, მათს დიდ ზემოქმედებით ძალაზე; **მესამე** მიმართულებაა „რესპუბლიკურ და რაიონულ კომიტეტებში“. აქ ძირითადად წარმოდგენილია მასალები იმ საკითხებზე, რომლებსაც სახალხო კონტროლის კომიტეტები იხილავენ და რომელთა დადებითად გადაჭრას არსებითი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის; **მეოთხე**: „სოფლის ცხოვრებისა“ და სახალხო კონტროლის ორგანოების ერთობლივი რეიდები. აქ მკითხველი ეცნობა რედაქციის მუშაკთა და სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ერთობლივად მომზადებულ მასალებს, რომლებიც ეხება მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულ და ხარისხოვან შესრულებას, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას, საწვავ-საპოხი, საშენი მასალის ეკონომიურ ხარჯვას, ტექნიკის შენახვასა და შეკეთებას, მომსახურების, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის სფეროში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას.

„სოფლის ცხოვრებაში“ სათაურით „ფორმისა და შინაარსის ერთიანობა გამოქვეყნდა სტატია ვანის რაიონის სახალხო კონტროლის მუშაობაში საჯაროობის ფორმებისა და მეთოდების შემოქმედებით გამოყენებაზე. სტატიაში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ ეხმარება აგიტაცია სახალხო კონტროლიორებს მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში, განზოგადებულია ვანის, ზეინდარის, ტობანიერის, ბზავის, კუმურის მეურნეობათა და სახალხო კონტროლის ჯგუფთა მუშაობის გამოცდილება, მათ მიერ საჯაროობის ისეთი ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, როგორიც არის ფოტოვიტრინები, კედლის გაზეთები, სტენდები და სხვ.

სახალხო კონტროლის მუშაობაში საჯაროობის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს მოსახლეობის მომსახურების ხაშურის სამმარ-

თველოს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის ამხ. ბოქაძის სტატია. ავტორი წერს: „სახალხო კონტროლის ჯგუფმა ფინანსურ განყოფილებასთან ერთად ჩაატარა რეიდი, კერძოდ მომუშავე ოსტატების გამოსავლენად. რამდენიმე ოსტატი ამხილეს თუნუქის ღუმელების უნებართვოდ დამზადებასა და რეალიზაციაში. მათ ითხოვეს არ გაეწერათ გაზეთში და არ გამოექვეყნებინათ სტენდზე, პირობა დადეს არასოდეს არ ჩაიდენდნენ მსგავს დანაშაულს. მათი უმრავლესობა დღეს კეთილსინდისიერად შრომობს“.

ეს მაგალითი თვალსაჩინოდ მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საჯაროობის საშუალებათა მარჯვე და გონივრულ გამოყენებას.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: თუ როგორი რეაგირება გამოიწვია კონტროლის გვერდზე გამოქვეყნებულმა მასალებმა. 1976 წლის 28 ნოემბერს ჩატარდა ერთობლივი რეიდი მაიაკოვსკის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელში. გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამო პარტიის მაიაკოვსკის რაიკომმა საყვედური გამოუცხადა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს ამხ. ცულარიანს, ბრიგადირებს — კომუნისტებს ე. ლომიძეს, ვ. გიორგიძეს, ავტოპროფილაქტორიუმის უფროსს ნ. ნიშნიანიძეს, ოსტატ ვ. იოსებაშვილს.

1976 წლის 27 მარტს გამოქვეყნდა რეიდის მასალები „თუ შეძლო ერთმა, რატომ ვერ შეძლო მეორემ?“. ეს მასალები ეხებოდა გალის რაიონში საქონლის საკვების დამზადების, საქონლის გამოზამთრების ორგანიზაციაში გამოვლენილ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომელთა გამოც პარტიის რაიკომმა დააქვეითა კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ვ. კაჭარავა და ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი კ. ქარჩავა.

1976 წლის 11 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა სტატია „ხაშურელ მეცხოველეთა შუქი და ჩრდილი“. ხაშურის რაიაღმასკომმა კრიტიკა სამართლიანად ცნო, ჩატარდა ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად — შეცვალეს წრომის და ხცისის მეურნეობათა ხელმძღვანელები, რასაც სასურველი შედეგი მოჰყვა: გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი.

როცა ვლაპარაკობთ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაო-

ბაში საჯაროობის შესახებ, არ შეიძლება არ დავასახელოთ ადამიანები, რომელთა საქმიანობა სამაგალითო და მისაბაძია იმათთვის, ვინც ზრუნავს თავისი ცოდნის დონის ამაღლებაზე, ეძებს მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს და ამით ხელს უწყობს სახალხო კონტროლის მუშაობის გაუმჯობესებას, მისი ზემოქმედების გაძლიერებას. „სოფლის ცხოვრებამ“ გააცნო მკითხველებს თიანეთის, კასპის, ვანის, ახმეტის, ცხინვალის მოწინავე კონტროლიორები ე. ბადურაშვილი, ტ. ოდოშვილი, მ. ყუბანეიშვილი, გ. კაკაძე, ზ. მებაღიშვილი, ვ. ტურაშვილი, ვ. ჟუჟულაშვილი, ო. ქელეხსაშვილი და სხვები.

პრესა აქვეყნებს არა მარტო დადებით მასალებს სახალხო კონტროლის მუშაობის შესახებ, არამედ ამხელს ნაკლოვანებებს და ხარვეზებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით. ამით ის ხელს უწყობს სახალხო კონტროლის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, იმას, რომ სახალხო კონტროლი, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, იყოს ნამდვილად მასობრივი და ნამდვილად საჯარო, ყველგან მყოფი და ყოვლისმომცველი. საკმარისი არ არის შემოწმებაში მხოლოდ ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრთა ჩაბმა. მშრომელთა ფართო მასები უნდა იყვნენ ინფორმიერებული იმის შესახებ, რომ მათი წინადადებები არ დარჩა რეაგირების გარეშე. ამ შემთხვევაში ისინი მეტად დაეხმარებიან ჯგუფებსა და საგუშაგოებს მათ საქმიანობაში.

ყოველ კრიტიკულ მასალას უნდა მოჰყვეს კონკრეტული ცნობა მიღებულ ღონისძიებათა შესახებ, მაშინ მკითხველისათვის ნათელი იქნება, რომ ნაკლოვანებების, შეცდომების გამოვლინების, კანონიერების დამრღვევთა მხილების გარდა, ჩვენ შეგვიძლია საქმის გამოსწორებაც.

ასეთია სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის საჯაროობის ზოგიერთი თავისებურება. რა თქმა უნდა, ძნელია დაწვრილებით შევჩერდეთ საჯაროობის ყველა ფორმაზე. საუკეთესო გაზეთებისა და ჯგუფების გამოცდილება ყოველთვის წარმოშობს სიახლეებს. საჯაროობის ფორმებისა და საშუალებათა გამოყენების კრიტერიუმი კი ერთია — აღწევენ თუ არა ისინი მთავარს — კონტროლის ქმედითობას.

მ. დავითაშვილი,
გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი

სახალხო კონტროლიორთა გრძოლა სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად, რუსთაველთა თაოსნობის — „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“, „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“ — ხორცშესასხმელად

„კონტროლის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის დონე, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“, — უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მებრძოლურად და ინიციატივიანად იმუშავებენ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც სახალხო კონტროლის საფუძველს შეადგენენ.

მთელი თავიანთი მუშაობით მათ აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი სახელმწიფო დისპიცლინის განმტკიცებას და ამ საფუძველზე — საწარმოო კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებას“[7].

ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კონტროლის ოპერატიულობასა და შესრულების შემოწმებაში სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მებრძოლურობის ამაღლებასთან.

გავზარდოთ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების როლი X ხუთწლედის გეგმის შესრულებაში, ყოველმხრივ გავააქტიუროთ კონტროლიორები — აი, ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. და უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში და ჩვენს ქარხანაშიც წარმატებით წყდება.

ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტი სახალხო კონტროლის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად იყენებს საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ყველა მოქმედ ფორმასა და მეთოდს, ისწრაფვის, რომ საამქრო ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი ხელმძღვანელობა კონკრეტული იყოს და ხელს უწყობდეს შრომითი და საწარმოო დის-

---

7 ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ“, გამომც. „პრავდა“, მ. 1975, გვ. 5.

ციპლინის განმტკიცებას, სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაზე მათი ზემოქმედების გაძლიერებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

თუ ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტი, რომელიც 42 ჯგუფს, 232 საგუშაგოს და 1500 სახალხო კონტროლიორს აერთიანებს, შემოქმედებითად მიუდგება საქმეს, ამ ამოცანების გადაწყვეტა მისთვის პრაქტიკულად რეალურად ხელმისაწვდომია.

საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფები სისტემატურად ეხმარებიან ადმინისტრაციას და პარტიულ ორგანიზაციებს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც საამქროთა კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანებიდან გამომდინარეობენ.

ამ მიზნით ისინი აწყობენ რეიდებსა და შემოწმებებს და მათს შედეგებს განიხილავენ როგორც ჯგუფების კრებებზე, ისე მშრომელთა საერთო და ცვლების შემხვედრ კრებებზე.

სახალხო კონტროლის ჯგუფების კრებებზე ისმენენ იმ პირთა ახსნა-განმარტებებს, ვინც დაუშვა საწარმოო გეგმის ჩავარდნა, ძირითადი და დამხმარე მასალების, საწვავისა და ელექტროენერგიის გადახარჯვა. მაგალითად: 1976 წლის შემოწმებათა შედეგებზე ჯგუფებმა მოისმინეს 298 თანამდებობის პირის ახსნა-განმარტება. მათგან 194-ს საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოეცხადა, 104-მა კი წინადადება მიიღო ხელმეორედ გამოსულიყვნენ საამქროების კოლექტივების წინაშე და ეცნობებინათ მათთვის, თუ რა ზომებს მიმართეს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

როდესაც საზოგადოებრივი ზემოქმედება არ კმარა, სახალხო კონტროლის ჯგუფები პარტიული ორგანიზაციების წინაშე აყენებენ საკითხს საშუალო და უმაღლესი რგოლის ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობის შესახებ.

კონტროლის საჯაროობის ერთ-ერთი საშუალება, რომელსაც თავიანთ მუშაობაში იყენებენ სახალხო კონტროლის ჯგუფების ხელმძღვანელები, არის საამქროთა უფროსების გამოსვლები ღია პარტიულ და ცვლების შემხვედრ კრებებზე და თათბირებზე.

ამგვარმა პრაქტიკამ შესაძლებელი გახადა საგრძნობლად ამაღლებულიყო შემოწმებათა შედეგიანობა. კონტროლის საჯაროობის ეს სახეობა წარმატებით გამოიყენეს მუშაობაში ქარხნის მარტენის,

რკინიგზის, მილსადიდავი და სხვა საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა.

სახალხო კონტროლის ჯგუფები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კონტროლის საჯაროობის გაძლიერების საკითხს. ამისათვის ისინი ფართოდ იყენებენ თვალსაჩინო საშუალებებს. ყველა ჯგუფს აქვს სახალხო კონტროლის სტენდი ან კუთხე. სტენდებზე გამოფენილია სახალხო კონტროლის აქტივისტთა ფოტოსურათები, მასალები წარმოების ამა თუ იმ საკითხის შესწავლის თაობაზე, შემოწმებამდე და შემოწმების შემდეგ საქმის ვითარების თვალსაჩინო დადასტურებანი, ფოტობრალდებები.

შემოწმების მასალები ქვეყნდება საამქროების ყოველთვიურ სატირულ ფურცლებში, აქვეა მოცემული დამრღვევ პირთა კრიტიკა.

სახალხო კონტროლის კომიტეტი საამქროების კოლექტივებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას კონტროლიორთა ფართო აქტივის მონაწილეობით ჩატარებული შემოწმებების შესახებ, აქტივის მეოხებით ყოველ მშრომელამდე დაჰყავს ცალკეული პირების, ბრიგადებისა და უბნების მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებები და დაუდევრობა.

1976 წლის იანვარში ქარხანაში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის დღის წესრიგში იყო „ქარხნის პარტიული ორგანიზაციების მხრივ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე“.

ანალოგიური კრებები გაიმართა ყველა საამქროში — საამქროებზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა გააცნეს დამსწრეთ აქტივის კრებაზე განხილული საკითხები.

კონტროლის საჯაროობის და საზოგადოებრივი ზემოქმედების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა ყოველკვირეული მრავალტირაჟიანი გაზეთი „მეტალურგი“, რომლის ყოველი მე-7 ნომერი სახალხო კონტროლის მასალებს ეთმობა, და ამას გარდა — შინასაქარხნო რადიომაუწყებლობა, რომელსაც კვირაში სამი 20—25 წუთიანი გადაცემა აქვს. გადაცემებში მონაწილეობენ ქარხნის პასუხისმგებელი

მუშაკები, სამსახურთა ხელმძღვანელები, სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები, საგუშაგოების უფროსები და კომიტეტის წევრები.

სახლხო კონტროლის კომიტეტის წინადადებით ოთხმა საამქრომ შეიძინა კინოაპარატურა, რაც დოკუმენტური ფილმების ჩვენების გზით კონტროლის საჯაროობის გაძლიერების საშუალებას იძლევა.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ IX ხუთწლედი დიდი ჩავარდნებით დაიწყო — ქვეყანას დააკლო ათობით ტონა კოქსი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და მილები.

ქარხნის მუშაობის მკვეთრი გაუარესება განაპირობა პარტიული, სახელმწიფო, შრომის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის, წარმოების ორგანიზაციის შესუსტებამ და ცალკეულ საამქროთა ხელმძღვანელების უყურადღებობამ შესრულების კონტროლისა და შემოწმების საკითხებისადმი.

1972 წლის ბოლოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სპეციალურად განიხილა საკითხი „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო საქმიანობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და აღნიშნა დისციპლინის უკიდურესად დაბალი დონე საერთოდ ქარხანაში.

დადგენილების შესასრულებლად ქარხნის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები, რამაც შესაძლებელი გახადა ქარხნის საწარმოო საქმიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

საწარმოო საქმიანობის გადახალისებასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში ადმინისტრაციისა და პარტორგანიზაციის ხელშემწყობი კომისია, რომელშიც შევიდნენ ქარხნის ყველაზე აქტიური და ავტორიტეტული სახალხო კონტროლიორები.

ანალოგიური კომისიები შეიქმნა სახალხო კონტროლის საამქრო ჯგუფებში, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ დისციპლინის განმტკიცების საკითხებს და იმ მიზეზების ანა-

ლიზს, რომლებიც სოციალისტური კანონიერების დარღვევებს იწ-ვევდნენ.

ქარხნის პარტკომმა სახალხო კონტროლის კომიტეტის წინად-დებით გაანალიზა სახალხო კონტროლიორების სიგნალები გამოვლი-ნებულ ნაკლოვანებათა გამო და მკაცრად აგებინა პასუხი სახელმწი-ფო დისციპლინის დამრღვევებს. სახალხო კონტროლიორის მ. ი. ბა-სიტაშვილის სიგნალით სატუნბავი საამქროს უფროსს ო. გ. გოგაძეს ორთქლითა და წყლით საამქროს მომარაგების დარღვევისათვის, საამქროს შენობის სარემონტო სამუშაოების წარმოების დროს უკონტროლობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხ-ვო ბარათში შეტანით. შემდგომ იგი გაათავისუფლეს დაკავებულ თანამდებობიდან.

რკინიგზის ვაგონების მოცდენისათვის სასჯელი დაედოთ რკი-ნიგზის და ბრძმედის საამქროების უფროსებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო კონტროლიორთა სიგნალები-სადმი ასეთი პრინციპული მიდგომა დაეხმარა დამრღვევებს შეეგნოთ თავიანთი შეცდომები, სწორი დასკვნები გაეკეთებინათ შემდგომისა-თვის.

წლის დასაწყისში ავტოტრანსპორტის საამქროს სახალხო კონ-ტროლის ჯგუფის ინიციატივით ქარხნის სახალხო კონტროლის კომი-ტეტის სხდომაზე განიხილეს საამქროში შრომისა და საწარმოო დის-ციპლინის მდგომარეობა. კომიტეტმა მიზანშეუწონლად ცნო საამ-ქროს უფროსად ამხ. ბუტულაშვილის დატოვება და გაათავისუფლა იგი დაკავებული თანამდებობიდან.

სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისადმი ასეთ-მა ყურადღებამ ხელი შეუწყო წარმოების ტემპის ზრდას, ქარხნის კოლექტივის მიერ გეგმიურ დავალებათა, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა და შემხვედრი გეგმების შესრულებას.

X ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულების მიზნით ქარხნის სახალხო კონტროლიორებმა წამოაყენეს ინიციატივა, „გავაძლიეროთ კონტროლი და დავეხმაროთ საამქროთა პარტორგანიზაციებსა და ად-მინისტრაციას უზრუნველყონ გაზრდილ სოცვალდებულებათა გა-ნაღდება, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების ღო-ნისძიებათა შესრულება“.

ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა სახელმძღვანელოდ გაიხადეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები და გააქტიურეს მუშაობა წარმოების ფარული რეზერვების გამოსავლინებლად, დაკისრებული საქმისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად; ამასთან ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დარღვევების თავიდან აცილებას და ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრას.

X ხუთწლედის მეორე წლის სახალხო მეურნეობის გეგმის დანაკისრ სოცვალდებულებათა შესრულებისათვის ქარხნის დირექციამ პარტკომთან ერთად შეიმუშავა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელთა განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებოდათ სახალხო კონტროლიორებს.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა სახალხო კონტროლიორთა ფართო აქტივზე დაყრდნობით მთელი ძალღონე იქით მიმართა, რომ უზრუნველეყო საორგანიზაციო-ტექნიკურ ღონისძიებათა დროული შესრულება, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, ყველა მეტალურგიულ აგრეგატზე საწარმოო სიმძლავრეების ათვისება, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და სახელმწიფო სტანდარტების დაცვა.

ზემონათქვამის დასადასტურებლად საკმარისია ითქვას, რომ ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ყველა ძირითადი სახის ლითონპროდუქციის წარმოების 1976 წლის სახელმწიფო გეგმა.

1974—76 წლების მუშაობის შედეგების მიხედვით ქარხანა დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს საგლინავი, მილსაგლინავი და წვრილსორტული საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფების მიერ დაკვეთების შესრულების კონტროლი (ჯგუფების თავმჯდომარეები — ამხ. ამხ. ჟაბინი, ნიკვაშვილი, სამარინი).

მარტენის საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფი (თავმჯდომარე ამხ. ჩხიკვაძე) საამქროს ადმინისტრაციისათვის დახმარების გაწევის მიზნით, სისტემატურად მუშაობს ლითონის დნობის ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის საკითხებზე. ეწყობა რეიდები და

შემოწმებები, განსაკუთრებით ფოლადის ჩამოსხმის ტექნოლოგიის შესამოწმებლად; შემოწმების მასალები განსახილველად გადაეცემა საამქროს პარტბიუროსა და ადმინისტრაციას. მიმდინარე წელს მარტო ჯგუფის მასალების მიხედვით ტექნოლოგიური დისციპლინის სხვადასხვაგვარი დარღვევისათვის დაისაჯა საამქროს 17 მუშაკი.

კვარტალში ერთხელ ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტს პარტიული კონტროლის კომისიასთან ერთად პარტიული კომიტეტის სხდომაზე განსახილველად გამოაქვთ საკითხი, თუ როგორ სრულდება სოფლის მეურნეობისა და ექსპორტისათვის შეკვეთების მიწოდების გეგმა.

ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტი მხარს უჭერს გუშაგთა სასარგებლო წამოწყებას — დიდ ყურადღებას უთმობს ქარხანაში შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხს. ამას ითვალისწინებდა მარტენის საამქროს კონტროლიორის, მეფოლადე წითლიძის ინიციატივაც „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“

სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების და დისციპლინის განმტკიცების განყოფილება სახალხო კონტროლიოს საამქროს ჯგუფებთან ერთად რეგულარულად ატარებს რეიდებსა და შემოწმებებს სამუშაოს ურცხვ გამცდენთა და დისციპლინის დამრღვევთა გამოსამჟღავნებლად. ქარხანაში სულ 12 ამგვარი შემოწმება ჩატარდა და შრომის დისციპლინის დარღვევის 117 შემთხვევა აღირიცხა.

სახალხო კონტროლის კომიტეტის მასალების მიხედვით პარტკომის სხდომაზე ორჯერ განიხილეს ქარხანაში შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობის საკითხი. ანალოგიურ მუშაობას ატარებენ ქარხნის ყველა სხვა საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფები.

გამუდმებულმა და მიზანმიმართულმა მუშაობამ დისციპლინის განსამტკიცებლად ერთიორად და მეტად შეამცირა გაცდენებისა და სხვა დარღვევების რიცხვი, რის წყალობითაც სამუშაო დროის დანაკარგები 470 კაც-დღით შემცირდა.

აი, ამგვარი პრაქტიკული შედეგები მოჰყვა ჩვენი ქარხნის კოლექტივის თაოსნობას „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“

დ. ზარათაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე

II. ასე ვაღწევთ ეფექტიანობას

საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯაროობის საშუალებათა გამოყენების გამოცდილება „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შუქზე

მუშაობა საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა და კონტროლის საჯაროობის გამოყენების უზრუნველსაყოფად მოითხოვს შესრულების შემოწმების გაუმჯობესებას, სახელმწიფო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებას, ჩვენი საზოგადოების ანტიპოდების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა ისე წარმართა საქმიანობა, რომ პირველ რიგში უზრუნველეყო სახალხო კონტროლის სისტემის ყველა შტატიანი თუ შტატგარეშე მუშაკის სათანადო ავტორიტეტი ქალაქის მშრომელთა შორის. ამ პასუხსაგებ ამოცანას ჩვენი კომიტეტი ორი ძირითადი მიმართულებით წყვეტს. პირველია სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე მდგომი ამოცანების განმარტება და მეორე — კონტროლის ბრძოლისუნარიანობისა და ქმედითობის ამაღლება ყველა რგოლში. ორივე ეს მიმართულება მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული და მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია. უფლება-მოვალეობათა პროპაგანდა კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების მოშველიებით უზრუნველყოფს კონტროლის ორგანიზაციის საჭირო დონეს, ამაღლებს მომთხოვნელობას საკუთარი თავი-

სა და სხვებისადმი, რაც შესამჩნევ გავლენას ახდენს საკითხთა გადაწყვეტაზე.

ჯგუფებისა და საგუშაგოების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, კონტროლის სწორი ორგანიზაცია, სახალხო კონტროლიორთა შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესება — აი, არასრულად ის, რასაც ბოლო ხანებში მივაღწიეთ, და ამაში, უნდა ითქვას, საგრძნობი დახმარება გაგვიწია იმ ლიტერატურამ და მეთოდურმა სახელმძღვანელოებმა, რომლებსაც რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი გვაწვდის.

კონტროლის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების, სახალხო კონტროლიორების უფლება-მოვალეობათა პროპაგანდისათვის სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები პრაქტიკულ საქმიანობაში უფრო ფართოდ იყენებენ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირებს, პლენუმებს, სესიებს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარებს, ღია პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებს.

განსაკუთრებით სრული ინფორმაცია იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე გადაწყვიტა, ან უნდა გადაწყვიტოს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა, მშრომელთა ფართო მასებმა მიიღეს ქალაქში ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომლებსაც ქალაქის ყველა მშრომელის თითქმის ნახევარი — 28.902 კაცი დაესწრო. სახალხო კონტროლიორთა ანგარიშების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 3664 კაცმა.

ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში აშკარად იგრძნობოდა პარტიის საქალაქო კომიტეტის, მისი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მზრუნველობა და ყურადღება. კრებების მომზადებისა და ჩატარების პროცესში სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებზე მიამაგრეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ქალაქკომის წევრები და წევრობის კანდიდატები, დეპუტატები, საწარმოთა ხელმძღვანელები. პარტიული ორგანოების მხრივ ასეთ ყურადღებას არ შეეძლო არ აემაღლებინა სახალხო კონ-

ტროლის ავტორიტეტი. ჯგუფებსა და საგუშაგოებზე მიმაგრებულმა აქტივმა შეძლო უფრო ახლოს გასცნობოდა მათ მუშაობას, სახალხო კონტროლის სისტემაში არსებულ ფარულ რეზერვებს.

საჯაროობის დონის და სახალხო კონტროლის ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა აღრიცხა და გააანალიზა მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების მიერ კრებებზე გამოთქმული ყველა კრიტიკული შენიშვნა; ყველა მოსაზრება მიღებული იქნა შესასრულებლად და შედეგები ეცნობა კოლექტივებს. ყველაზე აქტუალური შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს, კომუნალური მეურნეობის სამსახურთა და სამრეწველო საწარმოთა მზადებას ზამთრისათვის, დეტალურად იქნა შესწავლილი და განხილული სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის სხდომებზე. გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე იმსჯელეს, აგრეთვე მთელ რიგ ისეთ კოლექტივებში, რომლებისთვისაც ეს საკითხები განსაკუთრებით საჭირბოროტო იყო. ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების და მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ მშრომელებმა მიიღეს ადგილობრივი რადიოგადაცემების და გაზეთის მეშვეობით.

ამასთან ერთად სახალხო კონტროლის ორგანოები დიდ ყურადღებას უთმობენ გეგმიურ დავალებათა შესრულებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და სხვ. 1976 წელს ქალაქის სახალხო კონტროლის ჯგუფებმა ჩაატარეს საწარმოო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების 342 შემოწმება, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის 371, სოციალისტური საკუთრების დაცვის — 298, საწარმოო სიმძლავრეების, შრომითი რესურსების, ფულადი სახსრების და შრომის ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსში შემავალი სხვა მაჩვენებლების გამოყენებისა — 235 შემოწმება. ამავე პერიოდში სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით და ჯგუფების დავალებით 233 ხელმძღვანელი მუშაკი გამოვიდა ანგარიშით სახალხო კონტროლიორთა მიერ შემოწმებების შედეგების გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

გარდა ამისა 1976 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკითხთა განხილვისას, ქალაქის სახალხო კონტროლის ყველა ჯგუფში გააანალიზეს განაწესების შესრულების მდგომარეობა. ჯგუფების პასუხისმგებლობის ამაღლებას ხელი შეუწყო ქალაქის ყველა ორგანიზაციაში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების მიხედვით ჩატარებულმა კოლექტივების კრებებმაც, რომლებზეც მოისმინეს ჯგუფების ინფორმაცია მშრომელთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. მათ შორის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინფორმაციაც.

საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა და კონტროლის საჯაროობის მარჯვედ გამოყენებამ დადებითი შედეგი გამოიღო. მაგალითად, 1976 წელს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა ზემოქმედების საშუალებები გამოიყენა 82 თანამდებობის მუშაკის მიმართ, რომელთაგანაც 56-ს დაედო სასჯელი (მითითება, საყვედური, მკაცრი გაფრთხილება), 18 მოიხსნა დაკავებული თანამდებობიდან, 13-ს გაუკეთდა ფულადი დარიცხვა, ხოლო საჯაროობის მიზნით კოლექტივებში განიხილეს 38 თანამდებობის პირის დანაშაული, 35-მა კი პასუხი გასცა კოლექტივებს ნაკლოვანებათა წარმოქმნის მიზეზებზე და მათ აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებებზე.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ, თუ როგორ განიხილეს სახელმწიფო დისციპლინის მდგომარეობა და ცალკეულ თანამდებობის პირთა დანაშაული პურკომბინატის კოლექტივის კრებაზე. ამ განხილვამ და საორგანიზაციო დასკვნებმა სხვა ღონისძიებებთან ერთად საგრძნობლად შეუწყვეს ხელი კოლექტივის წევრთა შორის მომთხოვნელობის დონის ამაღლებას, ურთიერთკონტროლის გაძლიერებას, პასუხისმგებლობის გაზრდას. სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილება პურკომბინატის შემოწმების შედეგების შესახებ განიხილეს აგრეთვე, ბათუმის სურსათვაჭრობის კრებაზე, რადგან არც აქ იყო უზრუნველყოფილი სათანადო კონტროლი პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის ხარისხზე და აღურიცხავი პროდუქციის რეალიზაციაზე.

კომიტეტმა მთელ რიგ ორგანიზაციებში გამოავლინა ზოგიერთი ხელმძღვანელის დაუდევრობისა და გულგრილობის შედეგად მშრო-

მელებისათვის ხელფასის დაგვიანებულად გაცემის ფაქტები და ამ ხელმძღვანელების მიმართ ზემოქმედების მკაცრ ზომებს მიმართა, მოსთხოვა მათ ახსნა-განმარტებით წარმდგარიყვნენ კოლექტივების კრებებზე.

საჯაროობის ეს ფორმა — საკუთარი არაორგანიზებულობის გამო კოლექტივის წინაშე პასუხისგება — გაცილებით უფრო სერიოზულ მორალურ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე სასჯელის გამოცხადება. ეს გასაგებიც არის. არავის არ სიამოვნებს, საჯაროდ აღიაროს დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებები. კონტროლის საჯაროობის ეს ფორმა ეფექტიანი გამოდგა — ხელფასის დაგვიანებით გაცემის ფაქტები თითქმის მოისპო.

კონტროლის საჯაროობის დონის ასამაღლებლად სახალხო კონტროლის კომიტეტმა შემოიღო ორგანიზაციებისათვის შემოწმების გეგმების წინასწარი (დაახლოებით 1,5—2 თვით ადრე) გაცნობის პრაქტიკა.

ეს არა მარტო იმის საშუალებას იძლევა, რომ შესამოწმებელ ორგანიზაციებში კოლექტივის რაც შეიძლება მეტი წევრი ჩაებას ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში, არამედ ზრდის ამ ორგანიზაციებში კომპეტენტური და ნებაყოფლობითი თანაშემწეების — კონტროლიორების რიცხვსაც.

კონტროლის შედეგიანობას ხელს უწყობს აგრეთვე კომიტეტის მუშაობის პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების ორგანიზაციებში დაგზავნის პრაქტიკა. გარდა იმისა, რომ კომიტეტი კოლექტივებს აცნობს გეგმებს და შემოწმების შედეგებს, იგი ყველა ორგანიზაციას, მათ შორის ისეთებსაც, სადაც შემოწმება არ ჩატარებულა, უსათუოდ უგზავნის მიღებულ დადგენილებებს; ხოლო ზოგ შეუმოწმებელ, მაგრამ შემოწმებულის მონათესავე ორგანიზაციას სთავაზობს, მიღებული გადაწყვეტილება თავისი ჯგუფების კრებებზე განიხილოს, რათა თავიდან აარიდოს მათ მსგავსი შეცდომები. ამ მიზნით, აგრეთვე მშრომელთა კოლექტივების უკეთ ინფორმირებისათვის კომიტეტმა მიმდინარე წლის დამდეგიდან დაიწყო საინფორმაციო ფურცლის გამოშვება.

პრაქტიკაში გვაქვს შემოღებული აგრეთვე მშრომელთა ღია მიღებები უშუალოდ ორგანიზაციებში. მათს შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების შედეგებს ვაცნობებთ კოლექტივებს.

1976 წელს გაზეთების „საბჭოთა აჭარის“ და „სოვეტსკაია ადჟარიას“ ფურცლებზე 46 მასალა გამოქვეყნდა სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის შესახებ, აქედან 6 სტატია ხელმძღვანელი პარტიული მუშაკისა იყო, 12 — ჯგუფების თავმჯდომარეებისა, 8 ინფორმაცია გაზეთების კორესპონდენტებს ეკუთვნოდათ, 20 კი კომიტეტის დადგენილებებს აცნობდა მკითხველებს. ამ მასალების ნაწილი გადაიცა რადიოკომიტეტის ჟურნალში „კრიტიკულ ტალღაზე“.

სახალხო კონტროლის ბევრი ჯგუფი მასალებს აქვეყნებს მცირეტირაჟიან და კედლის გაზეთებში. ზოგ მათგანს, მაგალითად, მანქანათმშენებელი ქარხნის ჯგუფს (თავმჯდომარე ა. სვანიძე) აქვს თავისი კედლის გაზეთი, სტენდი, რადიოგადაცემები. ამგვარად წარმართავენ მუშაობას აგრეთვე ელექტრომექანიკური საწარმოს (ჯგუფის თავმჯდომარე კ. შენგელია), ფემთმშენებელი (ნ. მაგაი), ნავთობგადამმუშავებელი (ზ. გიორგაძე) ქარხნების, სურსათვაჭრობის (ა. სიორიძე), ცენტრალური ტვირთგადასატანი ნავთობბაზის (კ. მარკატუნი) და სხვა ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფები. საჯაროობის და საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმების ფართოდ გამოყენების, საუკეთესოთა გამოცდილების გავრცელების მიზნით შექმნილია სახალხო კონტროლის მუდმივმოქმედი საქალაქო სტენდი, რომელზეც კომიტეტის მასალებთან ერთად, თვეში ერთხელ გრაფიკის მიხედვით, სახალხო კონტროლის ჯგუფები აწყობენ თავ-თავისი საქმიანობის ამსახველი მასალების გამოფენას.

მკვიდრდება ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე კომიტეტის მიერ ჩატარებული სხდომების მაგნიტოფირზე ჩაწერა და რადიოთი გადაცემა. ამის შედეგია მსმენელების მრავალრიცხოვანი გამოხმაურება, წინადადებები და შენიშვნები.

საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმების სრულყოფის მიზნით სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში და სათავო ჯგუფებთან შექმნილია ინფორმაციისა და საჯაროობის სექტორები. კომიტეტის საჯაროობის სექტორის შემადგენლობაში არიან გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქტორის მოადგილე (სექტორის ხელმძღვანელი), გაზეთების „სოვეტსკაია ადჟარიას“ და „საბჭოთა აჭარის“ პარტიულ განყოფილებათა წარმომადგენლები,

აჭარის რადიოკომიტეტის და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის უფროსი, ქალაქის პროკურატურის და შინაგან საქმეთა განყოფლების მუშაკები.

სექტორი, კომიტეტზე დამტკიცებული გეგმის მიხედვით, ორი მიმართულებით წარმართავს მუშაობას, პირველია შემოწმებათა და მიღებულ ღონისძიებათა ფართო საჯაროობა (პრესის, რადიოს, კოლექტივების კრებების მეშვეობით და ა. შ.), მეორე — საჯაროობის მიზნით სახალხო კონტროლის საუკეთესო ჯგუფებისა და საგუშაგოთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება და გავრცელება.

საჯაროობის სექტორმა დიდი პრაქტიკული მუშაობა გასწია სახალხო კონტროლის საჯაროობის საშუალებათა საქალაქო დათვალიერების მოსამზადებლად და ჩასატარებლად — ამისათვის 1976 წლის სექტემბერში სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო საჯაროობის ჯგუფების თავმჯდომარეთა და სექტორების გამგეთა სემინარი.

საჯაროობის საშუალებათა დათვალიერების სწორი ორგანიზაციის, მისი ქმედითობისათვის სექტორმა დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით დაამუშავა სტენდების, გამოფენების, პანოების სანიმუშო თემატიკა. შეიქმნა შტაბი დათვალიერების ჩასატარებლად და მისი შედეგების შესაჯამებლად, ცალკეულ ჯგუფებს მიამაგრეს კომიტეტის შტატგარეშე მუშაკები. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო სახალხო კონტროლის 177-მა ჯგუფმა, მათგან 78 წარდგენილი იქნა საქალაქო დათვალიერებაზე, რომელიც 1976 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართა. აღმასკომის სააქტო დარბაზში მოწყობილი გამოფენა 2000-ზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

1976 წლის დეკემბერში საქალაქო კომიტეტმა თავის სხდომაზე განიხილა ქალაქის ზოგიერთ ჯგუფსა და საგუშაგოში მუშაობის საჯაროობის უზრუნველყოფის საკითხი.

კომიტეტის საქმიანობაში სრულიად ახალი იყო მეთოდკაბინეტის შექმნა, რომელსაც მეთოდური დახმარება უნდა გაეწია სახალხო კონტროლის შტატგარეშე ინსპექტორების, ჯგუფების თავმჯდომარეების და საგუშაგოების ხელმძღვანელებისათვის შესამოწმებელ საკითხთა შერჩევაში, შემოწმების ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციაში, სათანადო დოკუმენტების გაფორმებაში და სხვ.

ამ მიზნით კაბინეტმა შეარჩია და შეადგინა 40-ზე მეტი შესა-მოწმებელი საკითხის სია. კაბინეტი არა მარტო ეხმარება ჯგუფებს მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვისას, იგი უფრო ქმედით დახ-მარებასაც უწევს მათ შემოწმებისა და მიღებული შედეგების ანა-ლიზის ჩვევათა შეძენაში, რისთვისაც ჯგუფებთან, საგუშაგოებთან ერთად კომიტეტის სხდომაზე გააქვს საკითხები და კომიტეტსა და სახალხო კონტროლიორებს შორის ერთგვარი დამატებითი მაკავში-რებლის როლს თამაშობს.

მეთოდკაბინეტი არჩევს პრაქტიკული და შემეცნებითი ხასია-თის მასალას, სისტემაში მოჰყავს ის, განაზოგადებს და ავრცელებს საკონტროლო მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, ამუშავებს სა-ხალხო კონტროლის ძირეულ რგოლთა სტრუქტურული აგებულე-ბის სქემებს, აგვარებს მასალების სპეციალურ აღრიცხვას, რომელ-საც ეწოდება „რაზე წერენ სახალხო კონტროლიორები“ და ასრუ-ლებს სხვა მრავალ სამუშაოს.

ყოველივე ეს საშუალებას აძლევს სახალხო კონტროლის საქა-ლაქო კომიტეტს განახორციელოს კონტროლი ჯგუფებსა და საგუ-შაგოებში საჯაროობის მდგომარეობაზე, გასწიოს ფართო სასწავ-ლო-მეთოდური მუშაობა, განაზოგადოს და გაავრცელოს დადებითი გამოცდილება.

დ. დოლიძე,
სახალხო კონტროლის ბათუმის საქალა-ქო კომიტეტის თავმჯდომარე

ფართოდ გამოვიყენოთ საჯაროობის ყველა საშუალება

მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასობრივი ინ-ფორმაციის ყველა საშუალების გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძ-ლება ეფექტიანი იყოს, თუ გეგმაზომიერად ხდება ამ სამუშაოს ჩა-ტარება.

საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით შტატგარეშე საორგანი-ზაციო განყოფილებაში შეიქმნა საჯაროობის სექტორი, რომელშიც 7 შტატგარეშე ინსპექტორია გაერთიანებული

სექტორში შედიან საქალაქო გაზეთის და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის წარმომადგენლები, ფოტომოყვარულები, კარიკატურისტები და სხვ. ამავე პრინციპით არის შექმნილი საჯაროობის სექტორები სახალხო კონტროლის ყველა სათავო ჯგუფში.

საჯაროობის ორგანიზაციაში წარმატების აუცილებელი პირობაა მისი მიზანმიმართულება და გეგმიურობა. თავისი მუშაობის დაგეგმვისას კომიტეტის საჯაროობის სექტორი წინასწარ ეცნობა სახალხო კონტროლის ჯგუფების და შტატგარეშე განყოფილებების აზრს და მათი წინადადებების გათვალისწინებით ადგენს ღონისძიებათა სიას, რომელსაც აცნობს ყველა პრაქტიკულ შემსრულებელს.

საჯაროობის ორგანიზაციული საკითხები შედის სახალხო კონტროლის აქტივის და კონტროლიორთა სწავლების სემინარების გეგმებში, ხოლო გამოსაქვეყნებელი თემები — საქალაქო გაზეთის და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციათა მუშაობის გეგმებში.

ქალაქის სახალხო კონტროლის ჯგუფებს საჯაროობის საშუალებათა გამოყენების დადებითი გამოცდილება აქვთ დაგროვილი. ამ მხრივ აღსანიშნავია რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდეს საწარმოს — ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის სახალხო კონტროლის ჯგუფის პრაქტიკული საქმიანობა. შახტის სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფთან (თავმჯდომარე დ. ქათამაძე) ჩამოყალიბებულია საჯაროობის სექტორი, რომელსაც ხელმძღვანელობს შახტის ნორმადარი ნ. დიმიტრუკი. სექტორში სულ 5 კაცია გაერთიანებული. გარდა ხელმძღვანელისა ესენი არიან კედლის გაზეთის „მეშახტის“ და სატირულ-იუმორისტული გაზეთის „მათრახის“ რედაქტორები ამხ. უ. ხაჩიძე და ი. ნუცუბიძე, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის წევრი ე. ვაშაკიძე და მოყვარული კარიკატურისტი ი. ჯანელიძე.

უბნებისა და საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში გამოყოფილი არიან აქტივისტები — ინფორმატორები, რომლებიც საჯაროობის სექტორთან მჭიდრო კონტაქტში მუშაობენ.

პერიოდულად (თვეში 2—3-ჯერ გამოდს „ელვა“-ფურცლები, რომლებიც აცნობენ მკითხველებს სიახლეებს სახალხო კონ-

ტროლის მუშაობაში საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, ააშკარავებენ ,გეგმების შეუსრულებლობის და გრაფიკების ,ჩავარდნის მიზეზებს და სხვ.

საჯაროობის საშუალებათა მეტი ეფექტიანობისათვის თვალსაჩინო ადგილას მოწყობილია სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის ამსახველი მუდმივი სტენდი, რომელსაც შემდეგი განყოფილებები აქვს: „გამჭრიახი თვალი", „დააშავე — პასუხი აგე!", „ეკონომია ყველგან და ყველაფერში", „გეგმა კანონია!", „მოწინავე კონტროლიორები", „შემოწმება ჩატარებულია — შედეგები?" სტენდის მასალები სისტემატურად ახლდება. მაგალითად, განყოფილებები „გამჭრიახი თვალი" და „დააშავე — პასუხი აგე!" ახლდება რეიდების, შემოწმებების შედეგების და გამოვლენილ ნაკლოვანებათა მიხედვით. ყოველ კვარტალში ახლდება განყოფილება, „ეკონომია ყველგან და ყველაფერში" და ყოველ დეკადაში — „გეგმა კანონია!".

„ელვის" ერთ-ერთ გამოშვებაში გამოქვეყნდა ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში შესული ქვანახშირის წონის არაზუსტი განსაზღვრის ფაქტი. „ელვის" ,ეს ნომერი ,გაეგზავნა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფს, ხოლო სიგნალი ამ საკითხზე ზომების მისაღებად — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირს". მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი საჯაროდ იქნა გამოტანილი, მისი გამოსწორება გაჭიანურდა. მაშინ „ელვის" გამოსვლის კვალდაკვალ ოპერატიულად გამოიყო სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც დაადგინა, რომ რკინიგზის ვაგონებისათვის განკუთვნილი ფაბრიკის სასწორი გაფუჭებული იყო და ამიტომ ქვანახშირის წონის გასაგებად იყენებდნენ გაზომვის არაზუსტ მეთოდს. სპეციალისტთა ჯგუფის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად სასწორი რამდენიმე დღეში შეკეთდა, რამაც საშუალება მისცა შახტს ასობით ტონა ქვანახშირი ჩაეწერა თავის აქტივში.

სახალხო კონტროლის საჯაროობის სექტორები სისტემატურად ამზადებენ მოკლე საინფორმაციო მასალებს საკონტროლო მუშაობის ზოგიერთი საკითხის ირგვლივ. ეს მასალები ქვეყნდება 18-ივე საუბნო და საამქრო ჯგუფში დადგმულ სტენდებზე, რის მეოხებითაც ხერხდება სახალხო კონტროლის სათავო და საუბნო ჯგუფებს

შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთგაგების დამყარება, აგრეთვე აქტუალურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება. მაგალითად, შახტის შესასვლელში გამოკიდული ერთ-ერთი ფურცელი მოუწოდებდა მუშებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მშრომელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შემოწმებაში, რომელსაც სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფი ატარებდა. იქვე მითითებული იყო კომისიის მუშაობის ადგილი და ეკიდა სპეციალური ყუთი წინადადებებისათვის. მუშებმა ბევრი ყურადსაღები შენიშვნა გამოთქვეს და ბევრი წინადადება შემოიტანეს ამ საკითხზე, რასაც მოჰყვა კონკრეტული ღონისძიებები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კერძოდ, შეკეთდა მუშათა აბანო, დაჩქარდა ახალი სასადილოს მშენებლობა, აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების რამდენიმე ობიექტი, სამუშაოდან მოიხსნენ მაღაზიების პირშერცხვენილი მუშაკები, გაუმჯობესდა მეშახტეთა მომარაგება სამრეწველო საქონლით და სურსათით.

სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის აქტივიზაციის და მათი მუშაობის შესახებ მშრომელთა ინფორმირების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა რადიო.

კომიტეტი ქალაქის რადიორედაქციასთან შეთანხმებული ყოველთვიური გეგმის მიხედვით რეგულარულად გადასცემს მასალებს სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის თაობაზე, ამავე დროს გადაცემათა პროგრამა წინასწარ იბეჭდება საქალაქო გაზეთ „ტყიბულის“ ფურცლებზე.

ეწყობა გადაცემები კომიტეტის დადგენილებათა შესახებ, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის შესახებ, გადაიცემა სტატიები, ნარკვევები და სხვ. გადაცემებში აქტიურად მონაწილეობენ რიგითი კონტროლიორები, საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორები. ამგვარი გადაცემები თვეში 2—3-ჯერ არის დაგეგმილი. ადგილობრივ რადიოგადაცემებს ფართოდ იყენებს თავის საკონტროლო მუშაობაში სახალხო კონტროლის ზოგიერთი ჯგუფიც, მაგალითად. ორპირის კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს სახალხო კონტროლის სათავო ჯგუ-

ფები (თავმჯდომარეები ზ. ჯაში და შ. დახუნდარიძე). აქ შემოწმებათა მასალების მიხედვით თვეში ორჯერ ეწყობა გადაცემები, რომელთა შესახებაც მოსახლეობას წინასწარ ატყობინებენ რადიოთი. გარდა ამისა გადაცემები ეწყობა ყოველი თვის მეორე და მეოთხე პარასკევს საღამოს 5 საათზე. გადაცემების ხანგრძლივობაა 5—10 წუთი. პროგრამაში შეტანილი საკითხები უთანხმდება პარტიულ კომიტეტებს და ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქციებს.

ორპირის მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფმა რადიოთი გააშუქა შემდეგი საკითხები: „კოლმეურნეობათა სახალხო კონტროლიორების ამოცანები „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით“, „კონტროლიორები მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში“, „მოსავლის აღებაზე — გამუდმებული კონტროლი!“, „კონტროლიორთა მუშაობის ფორმები და მეთოდები“, „შემოწმება და ეფექტი კონტროლიორების მთავარი ამოცანაა“, „კონტროლიორები სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე“ და სხვ. კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფმა ადგილობრივი რადიოთი გადასცა მთლიანი ჩანაწერი სახალხო კონტროლის ჯგუფის კრებისა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების განხილვას. გადაცემა სოფლის ასობით მშრომელმა მოისმინა.

გადაცემის შემდეგ ზოგიერთმა კოლმეურნემ წინადადებით მიმართა სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფის თავმჯდომარეს. წამოიჭრა მრავალი საჭირბოროტო საკითხი — სოფლის გზების და სოფელ ორპირის ცენტრის კეთილმოწყობის, ზოგიერთი ბიბლიოთეკის უვარგისი შენობების და კინოჯიხურების განახლების, ჰიგიენური აბანოს ამოქმედების, კულტურის სახლის მშენებლობის დაწყების და სხვა საჭიროებათა შესახებ. ჯგუფის წინაშე დასმული ეს საკითხები განიხილა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა და თავის მხრივ წინადადებები შეიტანა სათანადო ორგანიზაციებში. შედეგმაც არ დააყოვნა: ორპირში დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა, შეკეთდა ბიბლიოთეკები, სოფლის ცენტრში დაიდგა საგზაო

ნიშნები, საფინანსო გეგმაში იქნა შეტანილი სოფლის გზების კეთილმოწყობის საკითხი, მოწესრიგდა სხვა საკითხებიც.

საჯაროობის საშუალებათა ეფექტიანი გამოყენების ასეთი მაგალითები დამახასიათებელია სახალხო კონტროლის ჯგუფთა უმრავლესობის მუშაობისათვის.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი პერიოდულად გამოსცემს სტამბური წესით დაბეჭდილ სპეციალურ პრეს-ინფორმაციას „მასების კონტროლით", რომლის განყოფილებებიც — „გამოცდილება — ყველასათვის!", „შემოწმების ეფექტიანობა", „სამახსოვრო ჯგუფებისათვის" და სხვა, ხელს უწყობს საკონტროლო მუშაობის გაუმჯობესებას.

კომიტეტი ადმინისტრაციულ ორგანოებთან (შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებასთან, სასამართლოსთან, პროკურატურასთან) და „კომკავშირული პროჟექტორის" საქალაქო შტაბთან ერთად უშვებს სატირულ-იუმორისტულ გაზეთ „მათრახს" და თვალსაჩინო ადგილას აკრავს მას. გაზეთის გამოშვებას ხელმძღვანელობს კომიტეტის საჯაროობის სექტორის ერთ-ერთი ინსპექტორი კ. მინდიაშვილი. გაზეთი ყურადღებას ამახვილებს მავნე ტრადიციებსა და ჩვეულებებზე, სოციალისტური საკუთრების ხელყოფაზე, შემოწმებათა დროს გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე, დაუდევრობაზე, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმზე, რომლებიც ჯერ კიდევ ბოგინობენ აქა-იქ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „მათრახი" ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრის საქმეში საზოგადოებრივი ზემოქმედების დიდმნიშვნელოვან საშუალებად იქცა; მან არა მარტო რიგითი მუშაკები, არამედ ქალაქის ბევრი თანამდებობის პირიც აიძულა გარეშე თვალით შეეხედათ თავიანთი საქმეებისათვის. ნაკლოვანებები, რომლებზედაც გაზეთი ყურადღებას ამახვილებს, როგორც წესი, ოპერატიულად აღმოიფხვრება, კონტროლიორებს კი შემდგომი მუშაობის სტიმული ეძლევათ.

კომიტეტი ფართოდ იყენებს ისეთ ფორმებსაც, როგორიც არის ვთქვათ, „სიგნალი — მიმართვა", რომელთა მეოხებითაც კოლექტივისათვის პასუხსაგებ პერიოდებში ოპერატიულად იცილებენ თავიდან მოსალოდნელ ჩავარდნებს ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადებში, უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო პრო-

დუქტების დამზადებას, ასრულებენ გეგმიურ დავალებებს და სხვა ღონისძიებებს. 1976 წელს ოპერატიულად გაიგზავნა 50 „სიგნალი-მიმართვა“, რამაც გაზარდა მუშაკებს შორის მომთხოვნელობა და თვითკონტროლი.

ნაკლოვანებებთან ბრძოლაში მძლავრი იარაღია ფოტობრალ-დებები. ამ საშუალებას კომიტეტი ძირითადად შემოწმების დროს იყენებს. მაგალითად, გასულ წელს ფოტობრალდებები ფართოდ იქნა გამოყენებული, როცა მოწმდებოდა, თუ რა მდგომარეობაშია საწარმოებში და მშენებლობებზე აღჭურვილობა, როგორ უვლიან მას, როგორ იყენებენ მატერიალურ რესურსებს, ინახავენ სასოფ-ლო-სამეურნეო ტექნიკას, იცავენ ეკონომიის რეჟიმს და სხვ. კომი-ტეტზე ამ საკითხთა განხილვისას დემონსტრირებული იქნა ფო-ტოდოკუმენტები. პრაქტიკაშია შემოღებული შემოწმებათა შემ-დეგ სახალხო კონტროლის მასალების მიხედვით ფოტოვიტრინების მოწყობა.

კომუნისტური პარტია, რომელიც შეუნელებელ მზრუნველო-ბას იჩენს კონტროლის ორგანოებისადმი, სერიოზულ ყურადღებას უთმობს სახალხო კონტროლის მუშაობის გაშუქებას გაზეთებსა და ჟურნალებში. ამ მხრივ დიდი დადებითი გამოცდილება აქვს საქა-ლაქო გაზეთ „ტყიბულს“. 1965 წლიდან მოკიდებული გაზეთის ფურცლებზე რეგულარულად ქვეყნდება სახალხო კონტროლის მა-სალები რუბრიკით „მასების კონტროლით“. რესპუბლიკურ გაზე-თებში იბეჭდება ცალკეული სტატიები ქალაქის საკონტროლო ორ-განოების მუშაობაზე. მარტო გასულ წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ჯგუფების ხელმძღვანელთა 5 სტატია, ხოლო საქალაქო გაზეთ „ტყიბულში“ — 63 მასალა, მათ შორის სახალხო კონტრო-ლის 14 დადგენილება. ასე დაჰყავთ სახალხო კონტროლის მუშაო-ბის გამოცდილება ყოველ კონტროლიორამდე, ყოველ მშრომე-ლამდე. ამ მიზნით ხშირად გაზეთის მთელი გვერდი ეთმობა სახალ-ხო კონტროლის ორგანოების ამოცანებს, ჯგუფების მუშაობის გა-მოცდილებას და სხვ. მაგალითად, მთელი გვერდები დაეთმო სა-ხალხო კონტროლის ორგანოების ამოცანებს „ლატვიის საბჭოთა სო-ციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომი-

ტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის დადგენილებათა შუქზე, აგრეთვე საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგებს. გარდა ამისა გამოქვეყნდა 13 მეთოდური სტატია ჯგუფების მუშაობის შესახებ.

სახალხო კონტროლის ჯგუფები ადგილებზე კედლის გაზეთებსაც იყენებენ თავიანთი მიზნებისათვის — აქვეყნებენ მასალებს ჯგუფების კრებებზე, სტატიებს საუკეთესო კონტროლიორებზე, შემოწმებათა ჩატარების მეთოდიკაზე და სხვ.

ხრესილის სასოფლო საბჭოს სახალხო კონტროლის ჯგუფმა კედლის გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა სტატია „უწესრიგობა საზოგადოებრივ კვებაში". იმის მაგივრად, რომ სამართლიანი შენიშვნებიდან სათანადო დასკვნები გაეკეთებინათ, კრიტიკას მიუჩვეველმა ვაჭრობის მუშაკებმა სახალხო კონტროლიორთა შენიშვნები უსამართლოდ ჩათვალეს და გაასაჩივრეს. ხელმეორედ შემოწმებისას ფაქტები დადასტურდა და კვების ზოგიერთ მუშაკს თბილი ადგილის დატოვება მოუხდა.

საკონტროლო მუშაობაში საჯაროობის სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების მარჯვედ დანერგვა შემოქმედებითი მუშაობაა და სისტემატურ სრულყოფას და გაუმჯობესებას საჭიროებს.

ამ მხრივ სასარგებლოა და კარგ შედეგებს იძლევა საჯაროობის საშუალებათა დათვალიერება სახალხო კონტროლის ძირეულ რგოლებში, რომელსაც დროდადრო ატარებს საქალაქო კომიტეტი. გამოფენა-დათვალიერებებზე თავმოყრილია საჯაროობის ყველა მოქმედი საშუალება, რაც ფართო მასებს საერთო სახალხო კონტროლში პრაქტიკული მონაწილეობის ჩვევებს სძენს. ამ მუშაობას ხელი შეუწყო სახალხო კონტროლის ორგანოთა საჯაროობის საშუალებების საქალაქო დათვალიერება-გამოფენამ 1977 წლის იანვარ-თებერვალში, რომელზეც ქალაქის 55 ჯგუფმა წარადგინა საჯაროობის საშუალებათა საუკეთესო ნიმუშები, გამოფენა 3 000-ზე მეტმა კაცმა დათვალიერა. თებერვალში სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა და აქტივისტების მონაწილეობით გაიმართა თათბირ-სემინარი დათვალიერების შედეგების განზოგადების მიზნით. ამ თათბირს 300 კაცი დაესწრო.

სწორი საორგანიზაციო და მეთოდური ხელმძღვანელობა სა-

ხალხო კონტროლის ორგანოებს აქცევს პარტიული ორგანიზაციების საიმედო თანაშემწეებად მათს ყოველდღიურ საქმიანობაში. იგი არის მათი ბრძოლისუნარიანობისა და ცხოველმყოფელობის საფუძველი.

ქალაქ ტყიბულის სახალხო კონტროლის ორგანოები განუხრელად ხელმძღვანელობენ „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით და ისე წარმართავენ მთელ საქმიანობას, რომ წარმატებით გადაჭრან პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანები, აამაღლონ სახალხო კონტროლიორების, როგორც ამ დიდი მიზნისათვის მებრძოლთა, ავტორიტეტი.

ჭ. კუბლაშვილი,
სახალხო კონტროლის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე

საჯაროობა — კონტროლის ორგანიზაციის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საშუალება

კონტროლის ორგანიზაციისა და შესრულების შემოწმების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგნილების და სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად დიდი როლი ენიჭება საჯაროობის საშუალებათა გამოყენებას. როგორც სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ დებულებაშია აღნიშნული, სახალხო კონტროლის ორგანოების უმთავრესი ამოცანაა დროულად აღმოფხვრან შეცდომები და ნაკლოვანებები კადრებთან მუშაობაში, იბრძოლონ არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის და ჯგუფების მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს ზრუნვას საჯაროობის საშუალებათა სრულყოფასა და შემოქმედებით გამოყენებაზე. ფართო საჯაროობის უმთავრესი საშუალებაა კონტროლის ორგანიზაციის დადებითი გამოცდილების

განზოგადება და გავრცელება. ამიტომ კომიტეტის საჯაროობის შტატგარეშე სექტორი რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშის“ და რაიონულ რადიოგადაცემათა რედაქციებთან ერთად ადგენს საჯაროობის საშუალებათა გამოყენების კვარტალურ გეგმას. გეგმის მიხედვით ტარდება აგრეთვე სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობა საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საჯაროობის საშუალებათა გამოყენების მხრივ.

შესწავლისა და განზოგადების ღირსია ლაითურის ჩაის ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობის გამოცდილება.

რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა“ 1976 წლის 27 ივლისის ნომერში წერდა, რომ ლაითურის ჩაის ფაბრიკის სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფმა (თავმჯდომარე ე. ქავჟარაძე) დიდი მუშაობა გასწია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე კონტროლის განხორციელების მხრივ. ჯგუფმა შეამოწმა საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვის, სამუშაო დროის გამოყენების, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის, სახელმწიფო სტანდარტების დაცვის, ნედლეულის დამზადების, ერთი მუშის მიერ პროდუქციის საშუალო გამომუშავების და სხვა საკითხები, განიხილა ისინი თავის კრებაზე, გადაწყვეტილებები კი დირექციასა და პარტორგანიზაციას აცნობა. კონტროლს ამ გადაწყვეტილებების შესრულებაზე ახორციელებდა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების სპეციალური სექტორი.

გაზეთი აღნიშნავდა, რომ ჯგუფის მიერ წამოჭრილი საკითხები იმდენად დროული იყო, ხოლო გადაწყვეტილების შესრულება იმდენად ოპერატიული, რომ ამან გარკვეულად იმოქმედა წარმოების ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხზე, ამის შედეგად კი — ეკონომიკურ მაჩვენებელთა ამაღლებაზე. 1646 ტონა დამზადებული ჩაის ფოთლიდან 73,3% პირველი ხარისხისა იყო, ეს მაჩვენებელი კი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გეგმას 5%-ით აჭარბებდა.

უმაღლეს და პირველი ხარისხის შავი ჩაის ხვედრითმა წილმა შეადგინა დაგეგმილი 76,4%-ის ნაცვლად 91,4%; ხოლო მწვანე ჩაის წილმა — გათვალისწინებული 91,4%-ის ნაცვლად 93,7%. ამან 43

ათასი მანეთი მოგება მისცა ფაბრიკას. ეს პირველი შემთხვევა იყო ლაითურის ჩაის ფაბრიკის არსებობის 9 წლის მანძილზე, რომ მან სამეურნეო წელი მოგებით დაამთავრა.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალა კარგი მაგალითი იყო იმისი, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული საჯაროობა მოწინავე გამოცდილების გამოყენების საქმეში.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად და კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით გულდასმით შეისწავლა, გააანალიზა და განაზოგადა რაიონის ჩაის ფაბრიკების, სამრეწველო კომბინატის და მთელ რიგ სხვა წამყვან საწარმოთა სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფების საქმიანობის გამოცდილება.

ამ ჯგუფების პრაქტიკული მუშაობის შედეგები გაზეთ „ლენინის დროშის" და რაიონული რადიოკვანძის მეშვეობით დაყვანილი იქნა ფართო მასებამდე.

კონტროლის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა რაიონული გაზეთი და ხუთი ნრავალტირაჟიანი გაზეთი, რომლებიც პერიოდულად სპეციალურ გვერდებს უთმობენ შემოწმებათა შედეგების ამსახველ მასალებს და სახალხო კონტროლის ორგანოთა მრავალმხრივ საქმიანობას. ახდენენ კონტროლის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების განზოგადებას. საჭიროა უფრო ფართოდ გავრცელდეს საჯაროობის ისეთი ფორმა, როგორიც არის — სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ მშრომელთა კოლექტივების წინაშე. ამასთან ერთად არ ვივიწყებთ კონტროლის საჯაროობის არც ისეთ ქმედით ფორმას, როგორიც არის ჯგუფებისა და საგუშაგოების თავმჯდომარეთა, რიგით გუშაგთა ანგარიშები.

1977 წლის იანვარში რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი წარსდგა აბრეშუმძაფსახვევი ფაბრიკის, მაღაროთა სამმართველოს და ზოგიერთი სხვა საწარმოო და სამშენებლო ორგანიზაციის კოლექტივების წინაშე ანგარიშით კონტროლის ორგანიზაციისა და მი-

ღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების დონის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშებზე, როგორც წესი, იწვევდნენ სახალხო კონტროლის შტატგარეშე მუშაკებსაც, ჯგუფებისა და საგუშაგოების თავმჯდომარეებს, აქტივისტებს. ამგვარი ანგარიშები მათთვის თავისებური პრაქტიკული სემინარი იყო კონტროლის და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ორგანიზაციისათვის.

ყურადღებას იმსახურებს კომიტეტის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკული გამოყენება საავადმყოფო კომპლექსის მშენებლობაზე კონტროლის განხორციელებისას — ამისათვის კომიტეტთან შეიქმნა შტაბი შტატგარეშე მუშაკების და რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

შტაბი ახორციელებდა ყოველდღიურ კონტროლს სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობისადმი, ეხმარებოდა მშენებლობას მატერიალური და შრომითი სახსრების მობილიზაციაში, ამოწმებდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს, ყოველგვარი წარმატებისა თუ სიძნელის შესახებ საქმის კურსში აყენებდა პარტიის რაიკომს, აქვეყნებდა მასალებს რაიონული გაზეთის ფურცლებზე, კავშირი ჰქონდა დამყარებული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სამშენებლო ტრესტთან, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოსთან. ყველაფერ ამის გარდა, შტაბი ახორციელებდა კონტროლს იმაზე, თუ როგორ სრულდებოდა პარტიის რაიკომის მითითებები სახალხო კონტროლის მასალების მიხედვით.

კომიტეტის წინადადებით ობიექტის მშენებლობაზე გაიმართა სამი კრება შესაბამისი სამსახურების პასუხისმგებელ მუშაკთა მონაწილეობით. წლის განმავლობაში შესრულდა მილიონი მანეთისა და მეტი სამუშაო, 500 საწოლიანი საავადმყოფო-კომპლექსი დაგეგმილ ვადაზე გაცილებით უფრო ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ.

საჯაროობის ისეთი ფორმა, როგორიც არის რაიონული და ადგილობრივი რადიოგადაცემები მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში დაგროვილი დადებითი გამოცდილების განზოგადების აუცილებელი საშუალებაა. განსაკუთრებით უნდა აღი-

ნიშნოს გადაცემები რუბრიკით: „სოციალისტურ საკუთრებას — კონტროლის ფხიზელი თვალი“, „სახალხო კონტროლის მოქმედების პროგრამა“, „რუსთაველი მეტალურგების ინიციატივა სახალხო კონტროლიორთა ყურადღების ცენტრში“ და სხვ.

კონტროლის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების განზოგადების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახალხო კონტროლის სტენდები, „ელვა“- და შრომითი ფურცლები. სტენდებზე გამოკრულია მუშაობის გეგმები, ნაამბობია, თუ რა ხასიათის შემოწმებები ჩაატარეს სახალხო კონტროლიორებმა, როგორ მიუდგნენ ამა თუ იმ საკითხის შესწავლას, რა გვარი ნაკლოვანებები გამოავლინეს და რა ღონისძიებებს მიმართეს მათ აღმოსაფხვრელად.

ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები 1976 წლის შემოდგომაზე გამოვიდნენ ინიციატივით „ყოველ უპანზეხარისხის ნიშნით“. ინიციატივა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გავრცელდა, სახალხო კონტროლის ჯგუფებმა იკისრეს კონტროლი ცხოვრებაში მისი გატარების პრაქტიკულ მხარეზე. რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის რეკომენდაციით წლის ბოლოს საჯაროობის სტენდებზე დაწვრილებით აისახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობა. სტენდებზე წარმოდგენილი მასალები ამავე დროს მეთოდური ხასიათისა იყო, პასუხობდა სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს დებულებით მინიჭებული უფლებების გამოყენების თვალსაზრისით და ამიტომ იქცა კონტროლის ქმედით საშუალებად.

რაც შეეხება „ელვა“-ფურცლებს, „შრომით ფურცლებს“, „სიგნალებს“, ისინი კონტროლის და შესრულების შემოწმების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების ოპერატიული გავრცელების საშუალება და მორალური ზემოქმედების ეფექტიანი ფორმა არიან.

თავის მხრივ, სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებაც საჯაროობის საშუალებაა, რადგან ამ დროს მშრომელთა ფართო მასები იგებენ, თუ რა კონკრეტული შედეგები მოჰყვა გატარებულ ღონისძიებებს. ამჟამად კომიტეტი და მისი ჯგუფები უფრო ფართოდ იყენებენ მე-

შაობაში საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც სახალხო კონტროლის უმეტეს სათავო ჯგუფებში ორგანიზაციულად გაფორმდა მეთოდური კაბინეტები და მეთოდური კუთხეები, რომელთა მუშაობაში აისახა საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საჯაროობის საშუალებათა გამოყენების ყველა არსებული ფორმა და მეთოდი.

სწორედ მეთოდკაბინეტების, ინფორმაციის სექტორების, მეთოდური კუთხეების მეოხებით ეცნობიან სახალხო კონტროლიორები სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ კონტროლის განხორციელების საქმეში დაგროვილ დადებით გამოცდილებას. როგორც წესი, ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის შედეგებს ყოველწლიურად აჯამებს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საჯაროობის საშუალებათა დათვალიერება, რომელიც 1976 წლის პირველ დეკადაში გაიმართა, საზოგადოებრივი ზემოქმედების და შესრულების შემოწმების შედეგთა შეჯამების თავისებური ფორმა იყო. დათვალიერებაზე წარმოდგენილი იყო სახალხო კონტროლის ყველა სათავო ჯგუფი. ყველა ჯგუფს ჰქონდა თავისი სტენდი, საბრძოლო ფურცლები, კედლის გაზეთები, რადიოგადაცემათა ჩანაწერები, ფოტობრალდებები და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა საშუალებები. დათვალიერების ბოლო დღეს — 1976 წელს 8 დეკემბერს, სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოთა წარმომადგენლების შეკრება პარტიული და საბჭოთა აქტივის მონაწილეობით.

შეკრებამ მიიღო მიმართვა რაიონის ყველა სახალხო კონტროლიორისადმი. მიმართვაში დიდი ყურადღება დაეთმო იმ მოთხოვნებს, რომლებიც არიან წაყენებული საჯაროობის და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებების, როგორც კონტროლის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საშუალების მიმართ.

როდესაც ვლაპარაკობთ საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებებზე, როგორც კონტროლის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საშუა-

ლებაზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუ რა ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს ჩვენ ყველას სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, რომელსაც სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტი გამოსცემს.

მახარაძის რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოები სრულყოფენ მუშაობის სტილს, ფორმებსა და მეთოდებს, ამყღავნებენ ამ საქმეში სიახლის გრძნობას, იყენებენ საჯაროობას როგორც კონტროლის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

ა. მეავანაძე,
სახალხო კონტროლის მახარაძის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე

ცხოვრების მოთხოვნათა გათვალისწინებით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობის დიდი მნიშვნელობა, რაც სახალხო კონტროლის კომიტეტებისაგან, მათი თითოეული ჯგუფისა და საგუშაგოსაგან მოითხოვს ამ მიზნის მისაღწევად საჯაროობის და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ნაცადი ფორმების გონივრულ გამოყენებას და ახალი, უფრო კონკრეტული და მიზანდასახული ფორმების ძიებას.

საჯაროობის ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა სახალხო კონტროლის ორგანოთა პასუხისმგებელი მუშაკების ანგარიშები მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებზე. ამავე კრებებზე მშრომელების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს ითვალისწინებენ შემდგომ მუშაობაში.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც რაიონის ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებებში მიიღეს მონაწილეობა, ინფორმაცია მიაწოდეს კოლექტივებს კომიტეტის მიერ ჩატა-

რებული მუშაობის შესახებ. გასული წელიწადნახევრის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით საანგარიშო-საარჩევნო კრებებს, კომიტეტმა სამჯერ ამცნო საწარმოთა კოლექტივებს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

კომიტეტის მუშაკებს ეძლევათ საშუალება გამოვიდნენ რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებებზე, პარტიული ორგანოების პლენუმებზე, სესიებზე, რაიონული საბჭოების აღმასკომებზე.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები სისტემატურად ისმენენ სახალხო კონტროლის კომიტეტის ანგარიშებს პლენუმებზე, რაიკომის ბიუროს სხდომებზე, რაისაბჭოს სესიებზე.

ინფორმაციის ასეთი ფორმა ერთის მხრივ იმის საშუალებას იძლევა, რომ რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, სამეურნეო აქტივი გაეცნონ კომიტეტის საქმიანობას, და მეორეს მხრივ იმის საშუალებას, გამოითქვას საქმიანი შენიშვნები და წინადადებები.

პარტიის რაიონული კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის, მათი ქმედითობის განხილვისას სათანადო ყურადღებას უთმობენ საჯაროობის საშუალებათა გამოყენებას. ამიტომ არის, რომ პარტიის რაიკომი კომიტეტის განსახილველად და შესასწავლად არა მარტო განცხადებებს აგზავნის, არამედ გადასაწვეტად სთავაზობს განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რაიონის ეკონომიკისათვის. და ეს კომიტეტისათვის არის საკონტროლო მუშაობის მიმართ დიდი ნდობისა და ყურადღების გამოხატულება. თავის მხრივ კომიტეტი პარტიის რაიკომს უგზავნის ინფორმაციას ყოველ ასეთ საკითხზე, შემოწმების მსვლელობას ეხება ის, თუ მის შედეგებს, და ამასთან ერთად პერიოდულად გამოდის ინფორმაციით პარტიული ორგანიზაციების მდივანთა სემინარებზე. ამგვარი კონტაქტები ხელს უწყობენ ჩვენი ორგანოებისადმი სწორ პარტიულ ხელმძღვანელობას, ზრდიან მათ ავტორიტეტს. კონტროლის ორგანოთა კადრების სწორი შერჩევისა და განაწილებისადმი რაიონის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს, რომ ისინი რეკომენდაციებს აძლევენ

ამა თუ იმ ამხანაგს სახალხო კონტროლის ორგანოებში სამუშაოდ. საჯაროობისა და ინფორმაციის ამ ფორმას განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ სახალხო კონტროლის ჯგუფები. მათი დავალებით ჯგუფების თავმჯდომარეები, ბიუროს წევრები, სექტორის ხელმძღვანელები და რიგითი სახალხო კონტროლიორები სისტემატურად გამოდიან მუშებისა და მოსამსახურეთა პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საერთო კრებებზე და საწარმოო თათბირებზე ინფორმაციით ამა თუ იმ საკითხის შემოწმების შედეგებზე, ამ საკითხის გამო მიღებულ ღონისძიებათა თაობაზე.

უნდა აღინიშნოს ხისდამმუშავებელი და საკონსერვო კომბინატების, სალოკომოტივო დეპოს, ღანირის საბჭოთა მეურნეობის და მთელი რიგი სხვა საწარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის დადებითი გამოცდილება. ისინი წინასწარ ეთათბირებიან პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პარტიული კრების დღის წესრიგში შეიტანონ სახალხო კონტროლის ჯგუფის წარმომადგენლის ინფორმაცია, კრებაზე განსახილველი ძირითადი საკითხის ირგვლივ.

მიმდინარე მუშაობის საჯაროობის ასეთი ფორმა საშუალებას აძლევს მათ მინიმალურად მოკლე ვადაში დაინახონ საკონტროლო მუშაობაში თავისი და მასების მონაწილეობის შედეგი, რაც თავის მხრივ, არა მარტო ზრდის სახალხო კონტროლიორთა თვითდისციპლინას, არამედ სახალხო კონტროლის კომიტეტების საქმიანობაში ოპერატიულობის ელემენტიც შეაქვს. რაიონულ კომიტეტში შეტანილი მთელი ინფორმაცია, განსაკუთრებით კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები საფუძვლიანად ანალიზდება.

საჭიროებისდა მიხედვით კომიტეტში იხსნება სპეციალური ბარათი კონკრეტული წინადადებითა და შენიშვნით, რომელიც კომიტეტის კონტროლზე აღირიცხება. ისახება ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. არც თუ იშვიათია, რომ ზოგიერთი ნაკლოვანება კომიტეტის განხილვის საგანი ხდება. მათ რიცხვს მიეკუთვნება რკინიგზის საავადმყოფოში ფინანსური დარღვევების საკითხი, სალოკომოტივო დეპოს მემანქანეთა დასვენების ოთახების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები, საშენ მასალათა კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის მიწერის ფაქტები და სხვ. კრიტი-

კული შენიშვნების კონტროლზე აყვანისას, ჩვენ ვცდილობთ უმოკლეს ვადაში დასაბუთებული წერილობითი პასუხი გავცეთ ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ როგორც კოლექტივებს, ისე წინადადებებისა და შენიშვნების ავტორებს. გასულ წელს სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა 70-მდე საკითხი განიხილა, რომელთა უმრავლესობა დადებითად არის გადაწყვეტილი, დანარჩენები კი შესწავლის პროცესშია.

კონტროლის საჯაროობისა და ქმედითობის ზრდას ხელს უწყობს აგრეთვე შრომით კოლექტივებში სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების ცალკეულ დამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხის საჯარო განხილვა.

სახელმწიფო გეგმების „შესრულების" მიზნით სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატში, დირექციის უშუალო მითითებით, სისტემატურად წარმოებდა მიწერები. სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა დაავალდებულა საწარმოს ხელმძღვანელი გამოსულიყო კოლექტივის წინაშე ინფორმაციით ამ ბოროტი დარღვევების მიზეზებზე, რასაც თითქოს დადებითი შედეგი უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ კომბინატის ხელმძღვანელობამ აქედან სწორი დასკვნები არ გამოიტანა და გასული წლის აგვისტოში საწარმოში კვლავ მოხდა მიწერა 40000 მანეთზე. კომიტეტმა პარტიის რაიკომის ბიუროზე დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ კომბინატის დირექტორი არ არის ღირსი მის მიერ დაკავებული თანამდებობისა. ბიურომ მიზანშეუწონლად ცნო მისი დატოვება ამ პოსტზე, და იგი განთავისუფლებული იქნა სამუშაოდან.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის წარმომადგენელს დაევალა ამ საკითხის ირგვლივ ინფორმაციით გამოსულიყო კომბინატის კოლექტივის წინაშე. კოლექტივმა მოიწონა კომიტეტის და პარტიის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების პერიოდში, პლენუმისა, რომელსაც უნდა განეხილა მომსახურების სფეროს მუშაობის საკითხი, სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა რაიონის სოფლებში და კომიტეტის გაფართოებულ გამსვლელ სხდომაზე განიხილა საყოფა-

ცხოვრებო საწარმოთა მუშაობის საკითხი. კომიტეტის ეს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ მომსახურების სფეროში დაკავებული მუშების და მოსამახურეების უმრავლესობა, რაიკომისა და აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები, ადგილობრივი პრესისა და რადიოს წარმომადგენლები, ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ მშრომელთა ინფორმირების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა გამოდგა.

სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომაზე განხილული იქნა სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმების შეუსრულებლობის და კულტურული მომსახურების დაბალი დონის საკითხები, მომსახურების წესების დარღვევის ფაქტები და ის მიზეზებიც, რომლებიც წარმოშობენ ამ ნეგატიურ მოვლენებს. გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ჩატარებული მუშაობის ანგარიშით კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე გამოვიდნენ რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი და ზონის ტექნიკური ორგანიზატორები. მიღებულ გადაწყვეტილებაში კომიტეტმა მომსახურების სფეროს ხელმძღვანელ მუშაკებს მკაცრად მოსთხოვა ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება. მასალები, რომლებიც ეხებოდა რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის ამ დადგენილებას, ფართოდ გაშუქდა რადიოგადაცემებში და რაიონულ გაზეთში.

მიღებული დადგენილების შესრულება მკაცრ კონტროლზე იქნა აყვანილი და საკითხი მისი შემდგომი შესრულების შესახებ შემდეგ კომიტეტზე მოისმინეს. შედეგმაც არ დააყოვნა: გასული წლის შედეგების მიხედვით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმები გადაჭარბებითაა შესრულებული. საგრძნობლად ამაღლდა მომსახურების კულტურა. სათანადო სამინისტროს წინაშე საკითხის დაყენების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა დამხმარე მასალებით მომარაგება; რაც შეეხება სატვირთო ავტოტრანსპორტით მომსახურების საქმეში მიწერათა შესახებ სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის 1976 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების პრაქტიკულ შესრულებას, ამ საკითხს მიეძღვნა სამტრედიის ავტოსატ-

რანსპორტო კოლონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელ-შიც მონაწილეობდნენ ავტოსატრანსპორტო კოლონის მომსახურე საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები და სახალხო კონ-ტროლიორები. მოხსენებით ნაკლოვანებების, მათი წარმოშობის მიზეზების და აღმოფხვრის გზებისა და საშუალებების შესახებ გამოვიდა ავტოსატრანსპორტო კოლონის დირექტორი.

ამ კრების მასალები გაშუქდა რაიონულ გაზეთში და გადაიცა ადგილობრივი რადიოთი. ახლახან კომიტეტმა კიდევ ერთხელ შეამოწმა ადგილზე, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკური კომიტეტის და საერთო კრების დადგენილება. უნდა აღინიშნოს, რომ გაწეულია გარკვეული სამუშაო — ავტომანქანებზე დაყენებულია სპიდომეტრები, დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია სისტემატურად ამოწმებს წარმოდგენილი საგზურების ჭეშმარიტებას და სხვ.

როგორც წესი, რაიონული კომიტეტის სხდომათა ოქმების ამონაწერები შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნებათ სათანადო ორგანიზაციებს და სახალხო კონტროლის ჯგუფებს. მათზე მითითებულია არა მარტო შესრულების, არამედ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეულ მუშაობაზე ინფორმაციის სახალხო კონ-ტროლის რაიონულ კომიტეტში წარდგენის ვადებიც.

განვითარების თანამედროვე ეტაპის გაზრდილი ამოცანები სახალხო კონტროლის ორგანოებისაგან მოითხოვენ უფრო შემოქმედებითად წარმართონ საჯაროობის სამუშაო, ფართოდ გამოიყენონ თავიანთ საქმიანობაში პრესა და რადიო. რაიონის სახალხო კონ-ტროლის კომიტეტი ფართოდ იყენებს ისეთ ნაცად ხერხებს, როგორიც არის სტენდები და საჯაროობის კუთხეები. სტენდებზე მოთავსებულია სახალხო კონტროლის ორგანოთა აღნაგობის სტრუქ-ტურული სქემა, ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობათა განაწილება, საუკეთესო სახალხო კონტროლიორების ფოტოსურათები, ცალკეულ შემოწმებათა და ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგები. ამასთან ვიცავთ ინფორმაციის განახლების პრინციპს. ზოგიერთ სტენდზე გამოყოფილი აქვს ადგილი ფოტობრალდებებს; ქვეყნდება ის საკითხები, რომლებსაც სახალხო კონტროლის ჯგუფები ამზადებენ შესამოწმებლად. ეს საშუალებას გვაძლევს შევატყობინოთ

კოლექტივს მომავალი შემოწმების შესახებ და ამ საქმეში რაც შეიძლება მეტი მშრომელი მოვიზიდოთ, რომლებიც თავიანთ წინადადებებსა და მოსაზრებებს შემოიტანენ.

სტენდებისა და კუთხეების დანიშნულებაა ოპერატიულად გააშუქონ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა, და ამით ხელი შეუწყონ ამ მუშაობაში ფართო მასების მოზიდვას. ამ მიზნით, 1976 წლის დეკემბერში რკინიგზელთა კლუბში მოეწყო სახალხო კონტროლის საჯაროობის საშუალებათა სარაიონო გამოფენა, რომელშიც 60 ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. გამოფენა დაათვალიერა 2500 კაცმა, მათ შორის მეზობელი რაიონების და სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

გამოცდილების გაზიარების მიზნით გამოფენას ესტუმრნენ ქალაქ ფოთის სახალხო კონტროლის აქტივისტები. ფოთის საქალაქო გაზეთმა „კოლხეთმა" დაბეჭდა წერილი, რომელიც გამოფენას მიეძღვნა. გამოფენის შედეგები სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. მასალები გამოფენის შესახებ გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთში. კომიტეტში შეიქმნა სპეციალური ფოტოალბომი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გამოფენა სახალხო კონტროლის ორგანოთა მოღვაწეობის შესახებ რაიონის ფართო აუდიტორიის ინფორმირების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმა გამოდგა.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი, ჯგუფები და საგუშაგოები ადგილებზე მშრომელთა ფართო ინფორმირებისათვის იყენებენ როგორც ადგილობრივ რადიოგადაცემებს, ასევე რაიონულ გაზეთ „წინსვლას". ერთი წლის განმავლობაში ადგილობრივი რადიოთი გადაიცა 20-მდე სხვადასხვა მასალა სახალხო კონტროლის საქმიანობაზე; 70-ზე მეტი წერილი და ინფორმაცია გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთში, მომზადდა 14 სპეციალური გვერდი. ამ სახის გვერდების და ცალკეული ინფორმაციების შინაარსს ძირითადად განსაზღვრავს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მასალები. ეს არის კომიტეტზე განხილული საკითხები, სათანადო დადგენილებები, მშრომელთა წერილები რეიდების მასალები, მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხებისა, რომ-

ლებიც სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობას ეხება და სხვ. გაზეთში ხშირად ქვეყნდება აგრეთვე მეთოდური წერილები სახალხო კონტროლის მოწინავე ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის გამოცდილებიდან. სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი საქმის ცოდნით იყენებს რა, და ავითარებს საჯაროობის მასობრივ ფორმებს, ქმნის აუცილებელ წანამძღვარებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მოსახლეობის ფართო ფენების მოზიდვისათვის ამ საქმეში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობას საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენარალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში ყველა უფლება, მათ შორის კონტროლის უფლება, ეკუთვნის ხალხს, როგორც თავისი სამშობლოს ერთადერთი ბატონპატრონს.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი 3500 სახალხო კონტროლიორს აერთიანებს. კომიტეტის 7 შტატგარეშე განყოფილებაში და 8 დარგობრივ სექტორში გაერთიანებულია 75 შტატგარეშე ინსპექტორი. მათი დიდ უმრავლესობა სამაგალითოდ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და ამართლებს სახალხო კონტროლიორის წოდებას. დღეს სახალხო კონტროლიორთა რიგებში არიან ცნობილი მემანქანე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ხუჭუა, ცნობილი მესიმინდე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ახობაძე, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი, ლენინის ორდენის კავალერი, გომის საბჭოთა მეურნეობის მებოსტნე შ. ნადირაძე და სხვ.

სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, ინფორმაციის გაცვლისა და განზოგადებისათვის და მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა საინფორმაციო-მეთოდური სექტორი, რომელიც აერთიანებს სახალხო კონტროლის ორგანოების იმ აქტივისტებს, რომელთაც ორგანიზაციული მუშაობის ჩვევები აქვთ. სექტორს აქვს 1976—1977 წლების სამუშაო გეგმა, რომლის თანახმად დიდი ორგანიზაციული მუშაობა ტარდება ჯგუფებში და საგუშაგოებში საჯაროობის სწორი ორგანიზაციისათვის, ხდება ამ მი-

მართულებით დაგროვილი გამოცდილების განზოგადება, ინფორმაციის დროულად მიღების რეგულირება და სხვ. ანალოგიური სექტორებია ჩამოყალიბებული რაიონის საწარმოებისა და დაწესებულებების სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფებში. ეს აადვილებს ძირეული რგოლებიდან ინფორმაციის მიღებას. საჯაროობის ახალი ფორმების ძიება მიმდინარეობს მეთოდური სექტორების ფარგლებშიც, სადაც სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის შემოქმედებითი სრულყოფის დიდი რეზერვებია ჩამალული.

ყოველივე ეს ეხმარება სამტრედიის რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოებს აამაღლონ ჩატარებულ ღონისძიებათა ეფექტიანობა და ქმედითობა, აიყვანონ მთელი თავიანთი საქმიანობა ცხოვრების მოთხოვნათა დონეზე.

ბ. ფოცხვერაშვილი,
სახალხო კონტროლის სამტრედიის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე

III. შემოქმედებით ძიებაში

მეთოდური კაბინეტების მუშაობის ფორმები და მეთოდები სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების დასახმარებლად

საკონტროლო საქმიანობაში საჯაროობის ყველა საშუალების გამოყენება საკონტროლო ორგანოების უშუალო მოვალეობაა. ამიტომ საჯაროობის ამა თუ იმ საშუალების გამოყენების გამოცდილებაზე ლაპარაკი სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთათვის თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მთლად ასე არ არის.

საქმე იმაშია, რომ სახალხო კონტროლის თბილისის კომიტეტის მეთოდკაბინეტი სულ ახლახანს შეიქმნა, ჯერ ისევ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება, და ამიტომ ბუნებრივია, რომ არ აქვს საკმარისი გამოცდილება, განზოგადებული დასკვნები გავაკეთოთ, ვილაპარაკოთ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების დახმარების სრულყოფილ ფორმებსა და მეთოდებზე.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, თბილისის საბჭოს აღმასკომმა და სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ყველა პირობა შექმნეს მეთოდკაბინეტის მოსაწყობად, გამოიყო შენობა. ჩვენ არ დაველოდეთ მის რეკონსტრუქციას და დავიწყეთ მუშაობა. გავეცანით სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის, ქალაქების მოსკოვის, კრემენჩუგის, რიგის, ბაქოს კომიტეტების მეთოდკაბინეტების საქმიანობის გამოცდილებას. დავამუშავეთ

და დავამტკიცეთ დებულება მეთოდკაბინეტის შესახებ, აგრეთვე მასალების კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც დავიწყეთ საჭირო საბუთებისა და მასალების მოგროვება და დამუშავება. დებულების შედგენისას ჩვენ არ ვცდილობდით ყველაფერი დაწვრილებით აგვეწერა, გვინდოდა მხოლოდ მოკლედ და ნათლად განგვესაზღვრა კაბინეტის და მისი საბჭოს მუშაობის ძირითადი მიზნები და ამოცანები, ფორმები და მეთოდები, მიმართულება და შინაარსი.

დებულება სულ 3-გვერდიანი დოკუმენტი გამოვიდა, მაგრამ ჩვენი აზრით იგი აშუქებს მეთოდკაბინეტის საქმიანობის ყველა მთავარ საკითხს.

ამის დასადასტურებლად მოვიხმობ დებულების ზოგიერთ, აღძრულ საკითხთან უშუალოდ დაკავშირებულ მომენტს. დებულებაში ნათქვამია, რომ მეთოდკაბინეტი იქმნება, რათა:

— კვალიფიციური მეთოდური დახმარება გაუწიოს ჯგუფებსა და საგუშაგოებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა დროულ შესრულებაზე გამუდმებული და ეფექტიანი კონტროლის განხორციელებაში;

— დაეხმაროს მათ მუშაობის გეგმების შედგენაში, შემოწმებათა ორგანიზაციაში, რეკომენდაციების გამომუშავებასა და განხორციელებაში, საჯაროობის ყველა საშუალების ფართოდ გამოყენებაში;

— სრულყოს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საკონტროლო მუშაობის სტილი და მეთოდები, განაზოგადოს და გაავრცელოს მისი დადებითი გამოცდილება;

— აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში, კერძოდ, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაძლიერებაში, შიდა რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, სოციალისტური საკუთრების დატაცებებისათვის ყველა არხის გადაკეტვაში და ა. შ.

ყველაზე ძნელი გამოდგა კაბინეტის ექსპოზიციის შესადგენად საჭირო დოკუმენტებისა და მასალების შეგროვება, ექსპოზიციის

მთავარ განყოფილებათა და მათი შინაარსის განსაზღვრა, სტენდებზე დოკუმენტების, ტექსტობრივი და ფოტომასალების განლაგება.

სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი მასალების უმრავლესობა ინფორმაციული ხასიათისა იყო, არ ხსნიდა საკონტროლო საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, არ უჩვენებდა „სახალხო კონტროლს მოქმედებაში“.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მოხერხდა მდგომარეობის გამოსწორება და ძალიან მოკლე ვადაში შეიქმნა მეთოდკაბინეტი. მართალია, იგი არ არის უნაკლო, მხედველობაში გვაქვს ექსპოზიციაც, გაფორმებაც, შინაარსიც, მაგრამ მთავარი მაინც გაკეთებულია. ახლა მეთოდკაბინეტის განახლება, მის ექსპოზიციაში საჭირო კორექტივების შეტანა, მისი გამდიდრება, შინაარსისა და ესთეტიკური გაფორმების გაუმჯობესება შედარებით იოლია.

კომიტეტი გულმოდგინედ მუშაობს ამ საკითხებზე. სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის აპარატის, რაიონული კომიტეტების, შტატგარეშე განყოფილებების, დიდ საწარმოთა და ორგანიზაციათა სათავო ჯგუფების წინაშე სრულიად კონკრეტული, განსაზღვრული ამოცანებია დასახული, რომელთა შესრულებაზეც მკაცრი კონტროლია დაწესებული.

მეთოდკაბინეტმა დაამუშავა სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის სანიმუშო გეგმები, უმნიშვნელოვანეს შემოწმებათა კითხვარები, სხდომების ოქმები, მათი შესრულების რეკომენდაციები და შედეგები, ჯგუფების მიერ გამოყენებული საჯაროობის ყველა საშუალება, მოწინავე ჯგუფების მუშაობის გამოცდილების განზოგადებული მასალები და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ მეთოდკაბინეტის შექმნისას განზრახული იყო ისეთი ექსპოზიციის შედგენა, მისი ისე გაფორმება, რომ აქ მოხვედრილ ადამიანს გარკვეული ემოციური განწყობილება შექმნოდა, მაშინვე დაენახა კომუნისტური პარტიის როლი სოციალისტური კონტროლის ორგანოთა შექმნასა და განვითარებაში, ამ ორგანოთა მნიშვნელობა, მათი ავტორიტეტი, მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები, მისი ეფექტიანობა.

სახალხო კონტროლის თბილისის კომიტეტთან არსებული მე-

თოდკაბინეტი საკმაოდ დიდია — მას 120 კვ. მ. ფართობი უკავია და ამიტომ მის სტენდებზე გამოფენილი დოკუმენტებისა და მასალების უბრალო ჩამოთვლაც კი შეუძლებელია.

საფასადო კედელზე გამოსახულია სახალხო კონტროლის ორგანოების ემბლემა, ვ. ი. ლენინის საყოველთაოდ ცნობილი ციტატა ადამიანების შემოწმების თუ საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე, ვ. ი. ლენინის ბარელიეფი.

მეორე კედელზე, სათაურით „ლენინი და პარტია კონტროლის შესახებ", მოთავსებულია პარტიისა და მთავრობის დოკუმენტები, აქვეა ვ. ი. ლენინის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამები, რომლებიც გვიჩვენებენ კონტროლის ორგანოების მიერ განვლილ სახელოვან გზას, მათი ჩასახვის დღიდან — დღემდე. მათ შორის არის ვ. ი. ლენინის მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებისადმი", რომელშიც პირველად არის მოხსენიებული სახალხო კონტროლი. მშრომელთა უფლებების დეკლარაცია, რომელმაც დაამტკიცა „კანონი მუშათა კონტროლის შესახებ" და მრავალი სხვა დოკუმენტი.

მესამე კედელი მთლიანად დათმობილი აქვს X ხუთწლედს, მის დიად ამოცანებს, მათი შესრულების შედეგებს. ეს მასალები გამუდმებით ახლდება. ამ კედელზევეა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე იმ უმთავრეს საკითხთა ჩამოთვლაც, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ კონტროლისა და შესრულების შემოწმებისათვის.

შემეცნებითი თვალსაზრისით დიდად საინტერესოა განყოფილება, რომელიც გვაცნობს ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობის გამოცდილებას. ამ მუშაობის მთავარი მიმართულებებია საკონტროლო საქმიანობის მეთოდები და ფორმები. განყოფილება იხსნება ლატვიის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებით და ვ. ი. ლენინის გამონათქვამებით იმის შესახებ, თუ რა თვისებები უნდა ახასიათებდეს სახალხო კონტროლიორებს. მას უკავია კაბინეტის მე-4 კედელი— 30 კვ. მ მთლიანად. აქ მოცემულია საზოგადოებრივი წარმოებისა და მომსახურების სფეროს ყველა დარგის სახალხო კონტროლის 37 ჯგუფის მუშაობის გამოცდილება სათაურებით: „ყველა რეზერვი მოქმედებაში",

„მუშაობის ხარისხისათვის“, „შემოწმებათა ეფექტიანობისათვის“, „ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის“, „საუკეთესოთა გამოცდილება — ყველას“, „სახალხო კონტროლიორთა თაოსნობა“, „გუშაგები რეიდზე“, „დამრღვევმა პასუხი უნდა აგოს“ და ა. შ. სამწუხაროდ მეთოდკაბინეტს სულ მცირეოდენი ლიტერატურა მოეპოვება იქიდან, რაც სახალხო კონტროლის ორგანოებზე არსებობს, მაგრამ მის შესავსებად აქ ქმედით ღონისძიებებს მიმართავენ. კაბინეტს ჯერჯერობით აქვს საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტების საინფორმაციო ბიულეტენები, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტების საინფორმაციო ბიულეტენებში გამოქვეყნებული სტატიების კატალოგი, გარდა ამისა ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ“ და ცენტრალური, რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების იმ ნომრების კომპლექტები, 1970 წლიდან მოკიდებული, რომლებშიც გაშუქებულია სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა.

ქალაქის სახალხო კონტროლის ორგანოთა საქმიანობის თვალსაჩინო გაშუქების და ამ ორგანოთა მუშაობის დადებითი გამოცდილების გავრცელების მიზნით კაბინეტი აღჭურვილია ფოტოკინოგადამღები აპარატურით და ლაბორატორიით.

როცა ვლაპარაკობთ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე საერთოდ, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს მოვლენათა ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულების, საზოგადოებრივი შეგნების ფორმების შემეცნების, გამოკვლევის ხერხი. რა თქმა უნდა, ამ საკითხებს რომ შევეხოთ, თუნდაც თეორიულ ასპექტში, ამის შესაძლებლობა არა გვაქვს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეთოდკაბინეტს არ შეუძლია შემოიფარგლოს დაგროვილი გამოცდილების, და სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი, აგრეთვე გუშაგებისადმი საკონტროლო მუშაობის სრულყოფაში დახმარების გაწევის სისტემის პრაქტიკული გამოყენებით. იგი დაუღალავად, აქტიურად და შემოქმედებითად უნდა ეძებდეს მუშაობის ფორმისა და შინაარსის ისეთ შეხამებას, რომ არა მარტო დაეხმაროს ჯგუფების თავმჯდომარეებს, საგუშაგოების ხელმძღვანელებს და კონტროლიორებს, დააგროვონ მუშაობის გარკვეული გამოცდილება და ცოდნა, არამედ ზემოქმედება მოახდინოს მათ გრძნობებზე, აზრებსა

და ნებისყოფაზეც; გამუდმებით უნდა უმაღლებდეს მათ პასუხისმგებლობას, უნერგავდეს სურვილს სულ უკეთ და უკეთ, უფრო და უფრო გულმოდგინედ და შედეგიანად იმუშაონ.

მეთოდკაბინეტს აქვს მუშაობის კვარტალური და პერსპექტიული გეგმა. პერსპექტიული გეგმა ერთ წელიწადზეა გაანგარიშებული და ითვალისწინებს სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე და შტატიან მუშაკებს, ჯგუფების თავმჯდომარეებსა და გუშაგებს შორის მთელ რიგ სასარგებლო და საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას. ეს არის დარგობრივი სემინარები, თათბირები, კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები, ინსტრუქტირება და პრაქტიკული დახმარება უშუალოდ ადგილებზე, დადებითი გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება, სტენდების გამუდმებული განახლება, მასალისა და ლიტერატურის შევსება. ამასთან მეთოდკაბინეტის საქმიანობაში აქტიურად აბამენ შტატგარეშე განყოფილებათა გამგეებს, შტატიან ინსპექტორებს, მეთოდსაბჭოს შემადგენლობას.

მეთოდკაბინეტი გეგმის მიხედვით არჩევს და ახარისხებს მასალებსა და დოკუმენტებს მუშაობის დადებითი გამოცდილების შესახებ, აცნობს მათ აქტივს, სახალხო კონტროლიორებს, ყველას, ვინც კონსულტაციებისათვის მიმართავს კაბინეტს.

აქ ინახება და კვლავაც შეინახება მასობრივი და სხვა შემოწმებების, რეიდების, დათვალიერებების ჩატარების გეგმები, ჩანაწერები განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემოწმებათა შესახებ, საჭირო საცნობარო და მეთოდური მასალები.

ამჟამად აქ ადგენენ თემატურად უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა საკონტროლო მუშაობის პრობლემათა კატალოგსა და სიას. ყველაფერი ეს, ეჭვგარეშეა, გაუადვილებს დამთვალიერებლებს საჭირო მასალების მიგნებას.

პერსპექტიული გეგმა სხვა მრავალ საინტერესო ღონისძიებასაც ითვალისწინებს, მათ შორის „სამართლებრივი ლექტორიუმის“ ორგანიზაციას — აქ გაშუქდება პარტიისა და მთავრობის ის უმნიშვნელოვანესი დადგენილებები, სოციალისტური კანონმდებლობის ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობასთან. ამასთან ამ ლექციების, მოხსენებების, კონსულტაციების უმრავლესობა განზრახულია გაიმართოს საწარმოებსა

და ორგანიზაციებში; დაგეგმილია შტატგარეშე აქტივის ძალებით შეიქმნას მოკლემეტრაჟიანი ფილმი სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის გამოცდილებაზე — ფილმის პირობითი სათაურია „ჩვენი გუშაგები". სხვათა შორის, სწორედ ამ მიზნით, ამჟამად ვარჩევთ შტატგარეშე აქტივს ახალგაზრდა მწერლების, ჟურნალისტების, კინორეჟისორებისა და კინოოპერატორების რიგებიდან.

კომიტეტი სისტემატურად ამზადებს ფოტოსურათებსა და დიაპოზიტივებს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის შესახებ. განზრახულია ჩვენი მეთოდკაბინეტისა და სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტებთან არსებული მეთოდკუთხეების მუშაობის ეფექტიანობაზე ჩატარდეს სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის მიზანი იქნება ამ საქმიანობის შემდგომი სრულყოფა; აგრეთვე გაიმართოს სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, რომელიც იმსჯელებს ქალაქის სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის გზებზე სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნილებათა და „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით.

მეთოდურ კაბინეტში უკვე გაიმართა სამედიცინო დაწესებულებათა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეების დარგობრივი სემინარები, რომლებმაც მაღალ იდეურ-ორგანიზაციულ დონეზე ჩაიარეს.

პირველ სემინარზე მოხსენებით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შუქზე", გამოვიდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, მეორეზე — მოხსენებით „ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ამოცანები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მოთხოვნილებათა შუქზე" — საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კონტროლის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებზე სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის გამოცდილების გაზიარება.

სემინარებზე არა მარტო ნაკლოვანებები და დარღვევები აღნიშნეს, არამედ ილაპარაკეს მათი თავიდან აცილების გზებზე, საკონტროლო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე, ჯგუფების მხრივ მაქსიმალური აქტიურობის საჭიროებაზე, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობაზე, თავიანთ უფლებათა, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა, საჯაროობის საშუალებათა მარჯვედ გამოყენებაზე.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი და მისი მეთოდური კაბინეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის ვამო ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო დავალებათა შესრულებას.

მათთან საუბარი და აზრთა ურთიერთგაზიარება გულახდილობისა და ძალდაუტანებლობის ატმოსფეროში ხდება.

თათბირებზე ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სახალხო კონტროლის ზოგიერთი ჯგუფის თავმჯდომარე ვერ ერკვევა წარმოების ეკონომიკაში, თვალს არ ადევნებს გეგმების შესრულების მიმდინარეობას, არ აანალიზებს მდგომარეობას, არ იღებს მასზე დამოკიდებულ ზომებს.

ამ საკითხებზე ისინი იღებენ საჭირო რჩევებსა და რეკომენდაციებს, კერძოდ, საჯაროობის ყველა საშუალების და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შესახებაც.

მეტად ეფექტიანი გამოდგა ამ თათბირებზე სახალხო კონტროლის მოწინავე ჯგუფების თავმჯდომარეთა გამოსვლები თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ.

მეთოდურ კაბინეტში გაიმართა კიდევ რამდენიმე სხვა ღონისძიება.

სახალხო კონტროლის რაიონულ და დიმიტროვის სახელობის ქარხნის კომიტეტებშიც არის მეთოდური კუთხეები, რომლებიც ვალდებულნი არიან ყოველდღიურ დახმარებას უწევდნენ კომიტეტების შტატგარეშე აქტივს, სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებს და საგუშაგოების ხელმძღვანელებს, მაგრამ, სამწუხაროდ ისინი თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ვერ მუშაობენ.

ამასთან დაკავშირებით გაიმართა სემინარი სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტების მეთოდკუთხეებისა და საორგანიზაციო მუშაობის შტატგარეშე განყოფილებების საჯაროობის სექტორთა გამგეებისათვის. სემინარზე შეეხნენ მეთოდკუთხეების მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ და მეთოდკაბინეტმა შეადგინეს იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სია, რომელთა სახალხო კონტროლის სათავო ჯგუფებსაც, მიზანშეწონილია, ჰქონდეთ მეთოდური კუთხეები. ამ ჯგუფების თავმჯდომარეები მეთოდკაბინეტში მიიწვიეს და დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი გაუწიეს.

რესპუბლიკური პროფკავშირის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით და მისი წარმომადგენლის მონაწილეობით მეთოდკაბინეტში გაიმართა კულტურის სასახლეებისა და კლუბების დირექტორებისა და გამგეების თათბირი; ასევე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით — ბიბლიოთეკების დირექტორებისა და გამგეების თათბირი. თათბირებზე დაწვრილებით იქნა განხილული კონტაქტების გაძლიერების საკითხი კულტურის სასახლეების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში კონტროლის ფართო საჯაროობის უზრუნველსაყოფად.

საქალაქო კომიტეტის მეთოდკაბინეტს ამ მოკლე ვადაში ესტუმრნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შენაერთთა სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეები და თბილისის გარნიზონის სპეცნაწილების სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები; აგრეთვე ქალაქ თბილისის სახალხო კონტროლის ბევრი ჯგუფის თავმჯდომარე და სახალხო კონტროლის კომიტეტების შტატგარეშე მუშაკები.

თქმა არ უნდა, რომ მეთოდკაბინეტის მუშაობის, კერძოდ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი დახმარების გაწევის ფორმები და მეთოდები გამუდმებით გაფართოვდება, ოღონდ რა კონკრეტული მიმართულებით და როგორი მასშტაბით, ამას გამოცდილება და პრაქტიკა გვიკარნახებს. ახლა კი მოგახსე-

ნებთ მხოლოდ ზოგიერთ გეგმაზე და იმაზე, თუ რა გვაქვს განზრახული უახლოესი მომავლისათვის.

მეთოდური კაბინეტის დახმარებით მომზადდა და გაიმართა საავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა სემინარი, რომელზეც მოხსენებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შედეგების შესახებ, გამოვიდა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტი არ აპირებს შეენაცვლოს რაიონულ კომიტეტებს. ისინი კვლავაც გულმოდგინედ უნდა მუშაობდნენ სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებთან და საგუშაგოების ხელმძღვანელებთან, გეგმის თანახმად რეგულარულად უნდა ატრებდნენ მათთან სემინარებს, ინსტრუქციებს და ეხმარებოდნენ საკონტროლო მუშაობის ჩვევების შეძენაში.

ამაში მეთოდკაბინეტი და მისი საბჭო დაეხმარებიან რაიონულ კომიტეტებს ცალკეულ შემთხვევებში კი შენობასაც დაუთმობენ მას. საჭიროებისდა მიხედვით საქალაქო კომიტეტი პერიოდულად გამართავს დარგობრივ სემინარებს: სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ადმინისტრაციული ორგანოების სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებისათვის, აგრეთვე სემინარებს ცალკეულ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე. გარდა ამისა დახმარებას გაუწევს ცალკეულ ჯგუფებს ადგილებზე, აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ დადებითი გამოცდილების დაგროვებასა, განზოგადებასა და გავრცელებაში.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი ვარაუდობს გადააქციოს მეთოდური კაბინეტი მუდმივმოქმედ სასწავლო ცენტრად, ჩაატაროს აქ არა მარტო დიდი ლონისძიებები, არამედ ჯგუფურიც და ინდივიდუალურიც. სახალხო კონტროლის ჯგუფების ხელმძღვანელებს გეგმაზომიერად, გრაფიკის მიხედვით მიიწვევენ კონსულტაციებზე, ინსტრუქტაჟზე, გამოცდილების გაზიარებაზე. ამისათვის უკვე არჩევენ კონსულტანტებს.

ამის შესაბამისად არის ჯგუფების მიერ შედგენილი გამოყენებული საჯაროობის საშუალებათა 10—15 დღის ვადით მეთოდკაბინეტში წარდგენის გრაფიკი.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა არა მხოლოდ გაფორმებას, არამედ მის მიზანმიმართულებას, მრავალფეროვნებას, კონკრეტულობას, ქმედითობას.

ვიმედოვნებთ, რომ ჯგუფებს შორის გამოცდილების გაზიარება ადგილებზე გამოყენებულ საჯაროობის საშუალებათა გამრავალფეროვნების მიზნით გარკვეულ სარგებლობას მოიტანს. თავის მხრივ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი ყველა ღონეს იხმარს, რომ გააძლიეროს ამ მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, განაზოგადოს საუკეთესო გამოცდილება და პროპაგანდა გაუწიოს მას.

ვ. ჯანჯღავა,
სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე

როგორ ვმუშაობთ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის და ქალაქის სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახალხო კონტროლის ჯგუფების წინადადებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად

სახალხო კონტროლის ორგანოებს დიდად პასუხსაგები საქმე აკისრიათ — ისინი უნდა დაეხმარონ პარტიასა და სახელმწიფოს იმის შემოწმებაში, თუ როგორ სრულდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები.

სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები, სახალხო კონტროლიორები ახორციელებენ კონტროლის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ფუნქციებს წარმოებისა და წარმოებული პროდუქციის განაწილების დარგში, მართვისა და მომსახურების

სფეროში. უდავოდ კარგად უძღვებიან პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს სახალხო კონტროლის ის კომიტეტები და ჯგუფები, რომლებიც სულითა და გულით, საქმიანად ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას და ამით ავტორიტეტსა და მასების ნდობას იმსახურებენ.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახულია ამოცანა — მივაღწიოთ, რომ სახალხო კონტროლის ყოველი კომიტეტი, ჯგუფი და საგუშაგო მართლაც სანიმუშო, მაღალავტორიტეტული ორგანო იყოს.

ავტორიტეტს, როგორც წესი, მუშაკს უქმნის მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობა, პრინციპულობა, ობიექტურობა და კომპეტენტურობა. კადრებისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა ედო საფუძვლად კომიტეტის საქმიანობას სახალხო კონტროლის ორგანოებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების პერიოდში.

სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა კანდიდატურების წამოყენებისას სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები მხედველობაში იღებდნენ, თუ როგორ არის ასარჩევ ამხანაგებში შერწყმული ისეთი თვისებები, როგორიც არის პარტიულობა, კომპეტენტურობა, ინიციატივიანობა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა. ამ კრიტერიუმს არ უპასუხებდა 124 ჯგუფის თავმჯდომარე და საჭირო შეიქნა მათი შეცვლა. ამჟამად ჯგუფების უმრავლესობას სათავეში უდგანან კარგი თეორიული მომზადების და პრაქტიკული ჩვევების მქონე ამხანაგები. ერთი სიტყვით, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი შეეცადა, გაეთვალისწინებინა ჯგუფების შემადგენლობაში შეყვანილი ამხანაგების საქმიანი და პოლიტიკური ცოდნის დონე.

„ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის შედეგები ზოგჯერ იმიტომ არის არადამაკმაყოფილებელი, რომ მათ არ უქმნიან მუშაობისათვის საჭირო პირობებს, მათი წინადადებები ზოგჯერ სათანადო

მხარდაჭერას ვერ პოულობენ ადმინისტრაციისა და სამეურნეო ხელ-მძღვანელთა მხრივ, პარტიული ორგანიზაციები კი ურიგდებიან ასეთ მდგომარეობას. ეს ასუსტებს ზოგიერთი ჯგუფისა და საგუშაგოს აქტიურობას, ბევრი სახალხო კონტროლიორი კარგავს ინტერესს დაკისრებული საქმისადმი, მათი დიდი ნაწილი ფორმალურად ირიცხება სამუშაოზე, სინამდვილეში კი არ მუშაობს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოთ აღნიშნული დადგენილება პრაქტიკული ხორცშესხმა სახალხო კონტროლის ჯგუფებთან მუშაობის პროგრამად იქცა. პარტიის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ქმედით დახმარებას უწევენ სახალხო კონტროლის ჯგუფებს ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებაში.

ჯგუფების ბრძოლისუნარიანობის გადიდებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1976 წლის თებერვალში ქალაქის პარტიული აქტივის კრებაზე განხილული იქნა სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი, მარტსა და ივლისში კი ქუთაისის ქალაქკომის ბიუროს იმსჯელა სახალხო კონტროლის ჯგუფების საქმიანობაზე. ბიუროზე მოისმინეს საავეჯო ქარხნის სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი და შეაჯამეს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგები. ამ საკითხების გამო მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქის სახალხო კონტროლის ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებაში, მათს წარმატებით საქმიანობაში.

ქალაქის სახალხო კონტროლის ჯგუფების საქმიანობის გაუმჯობესებას და მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას ხელი შეუწყო უწინარეს ყოვლისა იმან, რომ გასული წლის მარტში რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა წინასწარი შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ განიხილა სახალხო კონტროლის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის და ქალაქის სამეურნეო ხელმძღვანელების მიერ სახალხო კონტროლის ჯგუფების წინადადებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა პრინციპულად და კონკრეტულად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა

შემდგომი გაზრდილი მოთხოვნილების პოზიციიდან გააანალიზა სახალხო კონტროლის ქუთაისის კომიტეტის და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის, სახალხო კონტროლის ჯგუფების მიერ დაყენებულ საკითხებზე მათი რეაგირების პრაქტიკული შედეგები და დასახა მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით ითქვა საქალაქო კომიტეტის, მისი ძირეული რგოლების დადებით მუშაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 25 ნოემბრის დადგენილების — „რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე“ — ხორცშესასხმელად.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ორგანიზაციული და პრაქტიკული მუშაობის დონე ბოლომდე არ შეესაბამებოდა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოთხოვნას კონტროლის, და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების შემდგომ გაუმჯობესების შესახებ.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ეს გადაწყვეტილება გასული წლის აპრილში განიხილეს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტმა მკაცრად მოჰკითხა იმ დაუდევარ ხელმძღვანელებს, რომლებმაც რეაგირების გარეშე დასტოვეს ჯგუფების მიერ წამოყენებული წინადადებები, მხარი არ დაუჭირეს სახალხო კონტროლიორებს და არ შეუქმნეს მათ მუშაობის პირობები. თვითკრიტიკულად გაანალიზდა მდგომარეობა, დამუშავდა და ხორციელდება ღონისძიებათა ფართო სისტემა სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებები დაყვანილია ყოველ ჯგუფამდე. ამონაწერი სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან გადაეგზავნა ყველა ჯგუფსა და სამეურნეო ხელმძღვანელს. საანგარიშო-საარჩევნო კრებების დამთავრების შემდეგ

ჯგუფების თავმჯდომარეთა ორდღიანი სემინარის მუშაობის გეგმაში შეტანილი იქნა სპეციალური თემა ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ მათთვის მინიჭებული უფლებების გამოყენების შესახებ.

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მასების აქტიურ მონაწილეობას არა მარტო საერთო წესების, დადგენილებებისა და კანონების განხილვაში, მათი შესრულებისადმი კონტროლში, არამედ მათს შესრულებაშიც. სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის საქმიანობაში ფეხი მოიკიდა პრაქტიკამ, როცა სახალხო კონტროლის პარტიული და ზემდგომი ორგანოების დადგენილებები სპეციალურ აღრიცხვაზე აჰყავთ და გარკვეულ პირებს ან ჯგუფებს აკისრებენ პასუხისმგებლობას მათი შესრულების კონტროლზე. იმისათვის, რომ კომიტეტს ყოველ დადგენილებაზე მიუწვდებოდეს ხელი, დანერგილია თვალსაჩინოების სხვადასხვა ფორმები და ტექნიკური საშუალებები. კერძოდ, შემოღებულია საკონტროლო ფურცლები, რომელთა პირველი პირები შემსრულებლებს ეძლევა, ასლები კი კომიტეტში ინახება. შტატგარეშე საორგანიზაციო განყოფილებასთან არსებული დადგენილებათა შესრულების შემოწმების სექტორი კი ყოველ კვირაში ამოწმებს შესრულებას და შედეგები შეაქვს შტატგარეშე ინსპექტორების ყოველ სამუშაო ოთახში მოთავსებულ მაგნიტურ დაფებზე. ეს ყველაფერი, მართალია, აადვილებს კონტროლს დადგენილებათა შესრულებაზე, მაგრამ გადამწყვეტი არ არის. მთავარია მაინც ჯგუფებში ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობა.

როგორ მიმდინარეობს ეს მუშაობა?

უწინარეს ყოვლისა კომიტეტი ცდილობს, რომ ჯგუფის წინადადებებსა და რეკომენდაციებს ოპერატიულად იხილავდეს და წყვეტდეს ადმინისტრაცია. წინადადებები, რომელთა გადაწყვეტა საწარმოს შესაძლებლობებს აღემატება, განსახილველად უნდა შედიოდეს საქალაქო კომიტეტში. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, არც ერთი წინადადება არ რჩება უპასუხოდ.

იმის თქმა, თითქოს ყველა წინადადება სწორი და უსათუოდ შესასრულებელი იყოს, უმართებულო იქნებოდა. ჯგუფები აყენებენ მრავალ საკითხს, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია, მაგრამ ზოგი მათგანის მოცემულ ვადებში გადაწყვიტა ობიექტურ მიზეზთა

გამო შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ჯგუფებს ახსნა-განმარტება ეძლევათ მათი არშესრულების მიზეზებზე. ზოგჯერ ისეთი საკითხები წამოიჭრება, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია. საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან სათანადო რეაგირება მოახდინონ მათზე.

თუ ჯგუფი ხედავს, რომ მის მიერ წამოყენებულ წინადადებებსა და სიგნალებს ადმინისტრაცია არა თუ აღნიშნავს, არამედ ასრულებს კიდეც, მის მუშაობაში შესამჩნევი გახდება პრინციპულობა, წამოჭრილ საკითხთა მასშტაბურობა.

დიდად სასარგებლო სამუშაოს ასრულებენ ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სახალხო კონტროლის საამქრო ჯგუფები — მათ ქმედითი კონტროლი დააწესეს გაერთიანების სათავო საწარმოსა და საამქროებში სამეურნეო საქმიანობაზე; ადმინისტრაციის წინაშე დააყენეს მატერიალური სახსრების ეკონომიური, რაციონალური გამოყენების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და მოცულობის ზრდის, ტექნიკური პარკის მოცდენათა შემცირების და მისი მაქსიმალური გამოყენების საკითხები.

ჯგუფების მიერ 1976 წელს შემოწმების მასალების მიხედვით შესწავლილი 27 საკითხიდან 19 მოისმინეს და შემდგომი რეაგირებისათვის გადასცეს ადმინისტრაციას და სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს.

ამ ჯგუფის საქმიანობიდან მოვიყვან მხოლოდ ორ მაგალითს. პირველი, როცა ჯგუფი ადმინისტრაციასთან ერთად აგვარებს შესრულების შემოწმებას და მეორე, როცა ჯგუფი პრინციპულად აყენებს საკითხს ზემდგომი ორგანოების წინაშე და აღწევს მის შესრულებას. გაერთიანების სათავო ჯგუფის წევრის, მესამე სართავი საამქროს ოსტატის ამხ. ტ. ცომაიას ინიციატივით ჯგუფმა შეისწავლა საწარმოში ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების საკითხი. შემოწმებამ ცხადყო, რომ სართავი დაზგების მოცდენა გეგმით გათვალისწინებული 5,9%-ის ნაცვლად 8,81%-ს უდრიდა. გამოიძიეს ამის მიზეზები, შეადგინეს მოცდენების თავიდან აცილების ღონისძიებათა გეგმა. დაგროვილი მასალების საფუძველზე ჯგუფმა რეკომენდაციები შეიტანა ადმინისტრაციასა და პარტკომში. ადმინისტრაციამ მოიწონა ჯგუფის წინადადება და თავისი გადაწყვეტილებით

დაავალდებულა შესაბამისი სამსახურები შესდგომოდნენ მის შესრულებას. კონტროლი ამ წინადადებების შესრულებაზე დაეკისრა სახალხო კონტროლიორს დ. ცომაიას. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად უკვე ერთი წლის მანძილზე მოხერხდა მოცდენების 1,5%-ით შემცირება, ეს კი უდრის დამატებით 700 ათასი მანეთის ქსოვილების გამოშვებას, ანუ წელიწადში 400 ათასი მანეთის მოგებას.

მეორე მაგალითი. გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფმა შეისწავლა საწარმოში სასმელი წყლის გამოყენების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ წყლის ხარჯის აღრიცხვის მოუწესრიგებლობა საწარმოს დიდ ზიანს აყენებდა, მის მოწესრიგებას კი ეწინააღმდეგებოდა „წყალკანალტრესტის“ ხელმძღვანელობა. ჯგუფმა ეს საკითხი სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის წინაშე დააყენა. კომიტეტმა შეისწავლა საკითხი და „წყალკანალტრესტისა“ და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელთა თანდასწრებით განიხილა. საკითხი გაერთიანების სასარგებლოდ გადაწყდა.

ამის შედეგად საწარმომ დაახლოებით 24000 მანეთი დაზოგა.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიაქცია კონტროლის ქმედითობის ჯერ ისევ დაბალ დონეს. ამჟამად ქალაქში ამ მდგომარეობის გამოსასწორებელ ღონისძიებებს მიმართავენ. ჯგუფები თავიანთ მუშაობას ასეთი პრინციპით აგებენ: „უმჯობესია ნაკლები შემოწმდეს, მაგრამ მიღწეული იქნეს უკეთესი შედეგები“. ამის მეოხებით მოხერხდა კვალიფიციური რეკომენდაციების გამომუშავება. მაგალითად, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახალხო კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე ვ. ბრეგვაძე) 1976 წელს გეგმით გათვალისწინებულ საკვანძო საკითხებზე სულ 7 შემოწმება ჩაატარა, მოისმინა 12 თანამდებობის პირის ახსნა-განმარტება და ადმინისტრაციისა და სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხები, რომლებიც პრინციპულ გადაწყვეტას მოითხოვენ. მაგალითად, ჯგუფმა შეისწავლა № 41 კოოპერატივის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თა თანდასწრებით. იმის გამო, რომ სახლის მშენებლობა ძალიან გაჭიანურდა, ამასთან, იგი უხარისხოდ მიმდინარეობდა და მოსაპირკეთებელ სამუშაოთა სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა, მხოლოდ ზემდგომ ორგანოებს

შეეძლოთ, ჯგუფმა ეს საკითხი სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის წინაშე დააყენა.

ამ სამმართველოს საქმიანობის შესახებ კომიტეტმა ანალოგიური სიგნალები მიიღო ალმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს სახალხო კონტროლის ჯგუფისაგანაც. ამიტომ კომპლექსურად შეამოწმა № 4 სამშენებლო ტრესტის მოსაპირკეთებელი სამმართველოს სამეურნეო საქმიანობა. ჯგუფების მიერ წარმოდგენილი სიგნალები მთლიანად დადასტურდა. კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალების საფუძველზე სამმართველოს ხელმძღვანელები მკაცრად დაისაჯნენ. სამმართველოს უფროსი თანამდებობიდან დააქვეითეს, ხოლო მისი პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი განიხილეს № 4 სამშენებლო ტრესტის პარტკომის სხდომაზე. სახალხო კონტროლის კომიტეტმა დაავალდებულა ტრესტის ხელმძღვანელობა გადამჭრელი ზომები მიეღო სამმართველოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად № 41 კოოპერატივის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დროულად და ხარისხიანად დამთავრდა.

კონტროლის ქმედითობას ზრდის სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების კონკრეტულ დამნაშავეთა, აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა საქციელის საჯაროდ გამოტანა, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. ასე რომ, საჯაროობა გარდაუვალ სასჯელზე აფიქრებს ხალხს და სხვებსაც უკარგავს სურვილს დაგეგმილი „შეცდომები“ და წინასწარ მოფიქრებული დანაშაული ჩაიდინონ. ამ მიზანს ემსახურებოდა კომიტეტის გამსვლელი სხდომა ავტოქარხანაში. ავტოქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფმა (ამჟამად კომიტეტია) შეისწავლა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების პირველი გაერთიანების მუშაობა და გამოააშკარავა სერიოზული დარღვევები — მომხმარებლის ზომა-წონაში მოტყუება, საკვების დაბალი კალორიულობა და სხვ. ეს მასალები ჯგუფმა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს წარუდგინა. კომიტეტმა შემოწმების მასალები ადგილზე, ავტოქარხანაში განიხილა, ქარხნის საზოგადოებრივი კვების სამეურნეო ხელმძღვანელების, ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოთა საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელი

მუშაკების და მუშათა ფართო აქტივის თანდასწრებით. მიღებული იქნა ზომები დამრღვევთა წინააღმდეგ (თანამდებობიდან მოიხსნა საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორი), დაისახა ქარხნების სასადილოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალა ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფს. გატარებულ ღონისძიებათა და 800 ადგილიანი ახალი ბლოკის ამოქმედების შედეგად ავტოქარხნელთა მომსახურება საგრძნობლად გაუმჯობესდა.

საზოგადოებრივი ზემოქმედების და საჯაროობის საშუალებათა გამოყენების ანალოგიური მაგალითები ბევრია.

კოლექტივების ფართო და რეგულარული ინფორმაცია სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე ამაღლებს მშრომელთა აქტიურობას. ადამიანები ხედავენ სახალხო კონტროლიორთა თანამიმდევრულ და შედეგიან ბრძოლას ნაკლოვანებათა წინააღმდეგ და უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ მათ დასახმარებლად, კარნახობენ მათ თემებს შემოწმებისათვის, აწვდიან სიგნალებს დარღვევათა შესახებ და ამით თვითონაც თანდათანობით ებმებიან საკონტროლო მუშაობაში. სწორედ ასეთი მასობრიობა არის კომიტეტების მიზანმიმართული საქმიანობის შედეგი. მაგალითად, ცხინვალის, არაყიშვილის, რუსთაველის ქუჩების მცხოვრებთა სიგნალებით და მათი დახმარებით სახლმმართველობასთან არსებულმა სახალხო კონტროლის ჯგუფმა შეამოწმა საავეჯო მაღაზიების მუშაობა. შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობამაც.

იმპორტული ავეჯის გადამალვის ფაქტი, რაზედაც მცხოვრებთა სიგნალი იტყობინებოდა, დადასტურდა. დამნაშავეებს დამსახურებული სასჯელი მიეზღოთ. ამგვარად სახეზეა კონტროლის ქმედითობა და მასობრიობა, საზოგადოებრივი ზემოქმედება და საჯაროობა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები დამახასიათებელია ქალაქის სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოთა უმრავლესობისათვის.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების, ზემდგომი საკონტროლო ორგანოების დადგენილებების და საკუთარი გადაწყვეტილებე-

ბის შესრულებაზე კონტროლის განხორციელებით მოწმდება მიღწეული შედეგების ეფექტიანობა.

სახალხო კონტროლის ორგანოების ორიენტირები მუდამ იყვნენ და არიან პარტიული ორგანიზაციები, რადგან ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების განვითარებისათვის, საზოგადოების ყოველი წევრის ბრძოლას ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ სათავეში უდგას პარტია. პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დონე მუდამ განსაზღვრავს სხვა ორგანიზაციების საქმიანობას. ამიტომ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის პრაქტიკულ საქმიანობაში იჩენს თავს მრავალი სიახლე, რომლებსაც პარტიული ორგანოები იყენებენ თავიანთ მუშაობაში.

საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო გეგმის შესრულების სისტემატური შემოწმება ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. კომიტეტი ყოველ დეკადაში აკონტროლებს გეგმების შესრულებას. დეკადის ბოლოს კი იმართება თათბირი ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებსა და სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებთან. თათბირის შედეგები განიხილება კომიტეტის სხდომებზე. ჯგუფების თავმჯდომარეები შეყვანილი არიან ადგილებზე სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის კომისიაში.

დიდი ყურადღება ექცევა საჯაროობას სახელმწიფო გეგმებისა და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში. სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში არსებობს ტაბლო, რომელიც ინფორმაციას იძლევა ცალკეულ საწარმოთა მიერ გეგმების შესრულებაზე. პარტიის ქალაქკომის და აღმასკომის საინფორმაციო ცენტრიდან ყოველდღიურად შემოდის ინფორმაცია — საწარმოებში და ობიექტებზე გეგმიურ დავალებათა შესრულების მიმდინარეობაზე. სწორედ ამგვარი ანალიზის შედეგად კომიტეტის სამუშაო გეგმაში შეტანილი იქნა საკონდიტრო და საავეჯო ფაბრიკების, მე-4 სამშენებლო ტრესტის, № 1 სამშენებლო სამმართველოს და სხვა ობიექტთა მუშაობის შემოწმების საკითხები.

სახალხო კონტროლის კომიტეტისა და ჯგუფების მიერ ჩატარებულ შემოწმებათა ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის მხრივ მხარდაჭერაზე.

იქ, სადაც სამეურნეო ხელმძღვანელები სწორად ეხმაურებიან გუშაგთა მიერ დაყენებულ საკითხებს, მუშაობაც უფრო ეფექტიანია. გარდა ამისა ეს ახალი საქმეების გაკეთების სურვილს აღუძრავს სახალხო კონტროლიორებს, უნერგავს მათ თავიანთი ძალების რწმენას.

ლ. ფანჩულიძე,
სახალხო კონტროლის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე

მუშაობა მშრომელთა მიღების ორგანიზაციის და შემოსული წერილების განხილვის გასაუმჯობესებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ — მიხედვით

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შექმნის პირველივე დღეებიდან ვ. ი. ლენინი დიდი გულისყურით ეკიდებოდა მნახველებთან მუშაობას, მათი თხოვნებისა და წინადადებების განხილვას.

იგი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მშრომელთა წერილებისა და შენიშვნებისადმი ყურადღებიანი გულითადი დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია. ეს პოლიტიკაც არის! წერილები და განცხადებები ხომ ცხოველი წყაროა ათობით მილიონ მშრომელთან საბჭოთა ხელისუფლების აპარატის კავშირისა, ეს ხომ ინფორმაციის დაუშრეტელი სათავეა, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებისადმი საბჭოთა ადამიანების ნდობის მოწმობაა; ისეთი კავშირია, რომლის დიდი საიმედობა სოციალისტური დემოკრატიის განუყოფელი თვისებაა.

ამ საკითხში საპროგრამო დოკუმენტებია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები: 1967 წლის 29 აგვისტოსი „მშრომელთა წერილების განხილვის და მიღების ორგანიზაციის სამუშაოთა

გაუმჯობესების შესახებ“, 1976 წლის 28 აპრილის „მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წ. 12 აპრილის ბრძანებულება „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებები ამავე საკითხებზე.

რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი გამუდმებულ კონტროლს ახორციელებს იმაზე, თუ როგორ რეაგირებენ საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელები მშრომელების იმ ზეპირ თუ წერილობით განცხადებებზე, წინადადებებსა და საჩივრებზე, რომლებიც მათთან შედის.

მშრომელთა წერილების განსახილველად წარმოებული მუშაობის ანალიზი მოწმობს, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შეიცვალა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში შესული წერილების ხასიათი და შინაარსი. თუ ადრე ჭარბობდა პირადი ხასიათის საკითხები, ახლა ამ წერილებში წამოჭრილია საერთო სახალხო და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები. სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში 1976 წელს შემოვიდა სულ 71 წინადადება, განცხადება და საჩივარი. აქედან: 20— სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე; 10 — სოციალისტური საკუთრების დაცვის სუსტ უზრუნველყოფაზე; 26 — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო-კომუნალური და სავაჭრო მომსახურების სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებზე; 4 — მიწერებზე.

კომიტეტის შტატიანმა და შტატგარეშე მუშაკებმა შეამოწმეს წერილების თითქმის 90 პროცენტი — 62 წერილი, დარჩენილი 9 კი ორგანიზაციებს გადაეგზავნა ზომების მისაღებად. შესრულების შემოწმებაზე უშუალო კონტროლი კომიტეტმა იკისრა.

წერილების განხილვისას პირველ რიგში ყურადღება ექცევა სახალხო კონტროლიორებისა ან საწარმოო-დაწესებულებათა კოლექტივებისაგან შემოსულ წინადადებებსა და განცხადებებს.

მაგალითად, თელავის წინდების ფაბრიკის სახალხო კონტრო-

ლის ჯგუფის წევრებმა მოგვაწოდეს სიგნალი, რომ სარკინიგზო სამსახური არ უზრუნველყოფს მზა პროდუქციის გადასაზიდად საჭირო რაოდენობის კონტეინერების დროულ გადმოგზავნას, რის გამოც ყოველთვიური გეგმების შესრულებას სისტემატურად ჩავარდნის საფრთხე ემუქრება. ჯგუფმა გულდასმით შეისწავლა ამის მიზეზები. მივიდა დასკვნამდე, რომ საკითხი არ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ზემდგომი ორგანოების ჩაურევლად და ამიტომ მიმართა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

აბრეშუმძაფსახვევსაგრეხი ფაბრიკის მუშაკთა კოლექტიურ განცხადებაში ლაპარაკი იყო არადამაკმაყოფილებელ კომუნალურ მომსახურებაზე და განსაკუთრებით საცხოვრებელი ფონდის ცუდ მდგომარეობაზე. შემოწმებით ფაქტები დადასტურდა. მოხსენებითი ბარათი შემოწმების შედეგების შესახებ ზომების მისაღებად გადაეგზავნა თელავის აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატს. სხვადასხვა ღონისძიებების გატარების შედეგად ფაბრიკის მუშაკთა საბინაო-კომუნალური მომსახურება შესამჩნევად გაუმჯობესდა.

არსებულ ცალკეულ ნაკლოვანებათა შესახებ მშრომელთა მიერ მოწოდებული სიგნალები და ცნობები შესაძლებლობას აძლევს კომიტეტს არა მარტო გააკეთოს სწორი დასკვნა, რომ საჭიროა საკითხის კომპლექსური შესწავლა, არამედ ამასთან ერთად მიზანმიმართულად შეამოწმოს მთელი საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობა. სწორედ ასე იყო ორგანიზებული რაიონის სამომხმარებლო კავშირის ავტოსაწარმოთა მუშაობის შემოწმება, რომელმაც გამოავლინა არსებითი ნაკლოვანებები, მათ შორის 1200 მანეთის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი. შემოწმების შედეგები განიხილეს რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომაზე, სერიოზულ დარღვევათა გამო საწარმოს ხელმძღვანელი გათავისუფლეს სამუშაოდან, ხოლო მასალები გადასცეს საძიებო ორგანოებს.

მშრომელთა წერილებისა და განცხადებების ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს კომიტეტი ითვალისწინებს მუშაობის პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შედგენისას. ასე მაგალითად, კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ გასულ წელს შემოსული წერილების დიდი ნაწილი სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებს ეხე-

ბოდა, და მიმდინარე წლის პირველი ნახევრისათვის დაგეგმა შემოწმდეს რაიონის ზოგ საწარმოსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციაში სოციალისტური საკუთრების დაცულობის მდგომარეობა.

ხორცი რომ შეასხას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1972 წ. 7 დეკემბრის დადგენილებას „რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, სამეურნეო ორგანოებში მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების თაობაზე", კომიტეტი სისტემატურად აწყობს მოქალაქეთა მიღებას როგორც კომიტეტში, ისე უშუალოდ რაიონის საწარმოებსა და ორგანიზაციებში. მშრომელთა მიერ ამ დროს დასმული საკითხების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე ქმედითი კონტროლის ამაღლების მიზნით შემოღებულია სპეციალური ბარათები. შესრულების კონტროლს ახორციელებენ შტატგარეშე განყოფილებები.

მარტო მიმდინარე წელს კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა და საჩივრებისა და წინადადებათა შტატგარეშე ბიუროს გამგემ 9 ორგანიზაციაში მოაწყვეს მშრომელთა მიღება. ამის შედეგად კონტროლი დაწესდა 24 საკითხზე. მათ შორის 13 კომიტეტის ჩარევის შემდეგ ერთ კვირაში გადაწყდა, 11 კი შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნა რეაგირებისათვის. მათი შესრულების კონტროლი აღრიცხვაზეა აყვანილი.

რაიონული კომიტეტი მუდამ ყურადღებით ეკიდება მშრომელთა მიღებისას დასმულ საკითხებს და ცდილობს მათს შესრულებას, ხოლო თუ მათი გადაწყვეტა სცილდება კომიტეტის შესაძლებლობათა ფარგლებს, საკითხს პარტიული ორგანოების წინაშე აყენებს. მაგალითად, გასული წლის ივლისში სოფელ ფშაველში მიღებაზე მისულმა კოლმეურნეებმა დააყენეს საკითხი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის უყურადღებო დამოკიდებულებისა მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, ილაპარაკეს სასმელი წყლის უქონლობაზე, აბანოსა და ბიბლიოთეკის ავარიულ მდგომარეობაზე და სხვ., მოითხოვეს შეექმნათ მათთვის შრომისა და ყოფის ნორმალური პირობები.

კომიტეტის წარმომადგენლებმა ეს საკითხები საჭირო ზომების მისაღებად წარუდგინეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და სასოფ-

ლო საბჭოს თავმჯდომარეს. მიუხედავად ამისა შემდგომმა შემოწმებამ ცხადყო, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო გადაელახა არაორგანიზებული მუშაობის ბარიერი. ამიტომ სახალხო კონტროლიორთა დაჟინებული მოთხოვნით ამ ხელმძღვანელების საკითხი პარტიული ორგანიზაციის წინაშე დაისვა. პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი და ურჩია საერთო კრებას დაკავებული თანამდებობიდან გადაეყენებინა თავმჯდომარე. კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ მოიწონა პარტორგანიზაციის გადაწყვეტილება.

სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვა, მათი მიღების ორგანიზაცია ძირითადად დაკისრებული აქვს საჩივრებისა და წინადადებების შტატგარეშე ბიუროს, რომელიც ამ თვალსაზრისით სისტემატურად ამოწმებს მდგომარეობას რაიონის საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მიმდინარე წელს ბიურომ 13 ორგანიზაციაში შეამოწმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წ. 28 აპრილის დადგენილების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წ. 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობა და კომიტეტის განსახილველად გამოიტანა ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის, ტრესტ „ალაზანმშენის", რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის, სარემონტო-მექანიკური ქარხნის და სხვა საწარმოთა მუშაობის საკითხი. ამ საწარმოებში გამოაშკარავდა სერიოზული ნაკლოვანებები მშრომელთა წერილების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საქმეში: აქ არღვევდნენ წერილების განხილვის ბრძანებულებით დადგენილ ვადებს, დაყენებულ საკითხებზე იძლეოდნენ ზერელე პასუხებს, არ ჰქონდათ განსაზღვრული მოსახლეობის მიღების დღეები და საათები, არ იცავდნენ შემოსული წერილების აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესს და, რაც მთავარია, სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები შორიდან მაყურებლის როლში გამოდიოდნენ — მათ განზრახ აარიდეს თავი ამ მუშაობის ორგანიზაციას. კომიტეტმა საწარმოთა ხელმძღვანელებს და სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებს მოსთხოვა ძირფესვიანად გარდაექმნათ

მუშაობა, ყველა ღონე ეხმარათ, რომ უზრუნველეყოთ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სათანადო წესრიგის დამყარება.

შემოწმების პერიოდში სახალხო კონტროლის ჯგუფებს პრაქტიკული დახმარება გაუწიეს მოქალაქეთა წერილებისა და განცხადებების განხილვის და მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში. ამ მიზნით ჩატარდა სახალხო კონტროლიორთა და კონტროლის შტატგარეშე მუშაკთა სწავლების ერთდღიანი სემინარი, რომელზეც ღრმად და დეტალურად, რაიონის ზოგიერთი საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით განიხილეს სახალხო კონტროლიორების რესპუბლიკური თათბირ-სემინარების მასალები.

კარგი მეთოდური დახმარება გაგვიწია რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის სპეციალურად ამ საკითხებისადმი მიძღვნილმა ბროშურამ „კონტროლი და მშრომელთა წერილები", რომელშიც ჩვენთვის საჭირო დადგენილებები და ბრძანებულებებიც არის, და რჩევებიც იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს შედგენილი მუშაობის სანიმუშო გეგმა, როგორ უნდა შემოწმდეს მშრომელთა წერილებზე მუშაობის, მათი მიღების ორგანიზაციის მდგომარეობა.

კონტროლის ყველა რგოლის მიერ ამ საკითხების ცოდნა შესაძლებლობას მოგვცემს სრულად გამოვიყენოთ უფლებები, რომლებსაც გვანიჭებს დებულება სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ, უფრო ღრმად, მრავალმხრივად, საქმის ცოდნით შევამოწმოთ განცხადებებსა და საჩივრებში წამოჭრილი საკითხები, და, რაც მთავარია, გავაკეთოთ მოქალაქეთა ზეპირი თუ წერილობითი სიგნალების სწორი ანალიზი.

ვ. უთიაშვილი,
სახალხო კონტროლის თელავის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე

კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ოპერატიული და სწორი რეაგირება სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის წარმატების აუცილებელი პირობაა

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კონტროლისა და შესრულების შემოწმე-

ბის შემდგომი სრულყოფის, კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე სწორი რეაგირების საკითხებს. კომუნისტურმა პარტიამ კონტროლისა და შესრულების შემოწმების ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავა მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების დიდმნიშვნელოვანი ფორმები და მეთოდები. განუხრელად რომ განახორციელოს და ყოველი ორგანიზაციის საქმიანობაში ღრმად დანერგოს მუშაობის ნაცადი ლენინური სტილი, პარტიას აუცილებლად მიაჩნია, საგანგებო ყურადღება დაეთმოს მშრომელთა წინადადებებისა და შენიშვნების შესრულებაზე კონტროლის ორგანიზაციას, რადგან ეს აძლიერებს კონტროლის ორგანოებს, ამტკიცებს კომუნისტების ურღვევ კავშირს მასებთან, ხელს უწყობს მასების ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას შიგაპარტიული დემოკრატიის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით თავგამოდებით იბრძვიან პარტიის წინასწარდასახულობათა შესასრულებლად.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ხორცშესასხმელად, შესამჩნევად გარდაქმნეს კონტროლის ძირეული რგოლების მუშაობა მასებთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. დიდი ყურადღება ექცევა დადებითი გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და ოპერატიული გავრცელების, შემოწმების ქმედითობის ამაღლების, საჯაროობის და საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმათა ფართო გამოყენების საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჯგუფებსა და საგუშაგოებში საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, ამასთან საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას როგორც ზემდგომი, ისე საკუთარი ორგანოების დადგენილებათა შესრულებაზე. ყოველდღიური ყურადღება ეთმობა მშრომელთა კრიტიკული

შენიშვნებისა და წინადადებების, მეტადრე საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებას.

სახალხო კონტროლის კომიტეტი მხედველობაში იღებს ამ შენიშვნებსა და წინადადებებს, და სწორედ მათი შესრულების მიზნით დაამუშავა ღონისძიებათა განზოგადებული გეგმა ჯგუფებისა და საგუშაგოებისათვის — ამ გეგმებში გათვალისწინებულია ყველა ნიუანსი, რომლებსაც უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ჯგუფებმა და საგუშაგოებმა ამ გეგმის საფუძველზე შეიმუშავეს პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც გაითვალისწინეს თავ-თავიანთი დარგის სპეციფიკა, მიუთითეს მათი შესრულების ვადა და შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა ვინაობა.

მშრომელთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები ფართო მასების თავისებური შემხვედრი გეგმაა და ასახავს სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობისადმი მათ მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

მშრომელთა შენიშვნებისა და წინადადებების მიხედვით დასახულ ღონისძიებათა გეგმის მაღალხარისხოვანი და ოპერატიული შესრულება სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის შეფასების, მათი ავტორიტეტის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით „ტამბოვის საოლქო პარტორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილების შემდეგ, საგრძნობლად ამაღლდა რაიონის მშრომელთა აქტივობა, უფრო საქმიანი, მიზანმიმართული და ქმედითი გახდა კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები არა მარტო ნაკლოვანებათა გამოაშკარავებას უწყობენ ხელს, არამედ კონტროლის ორგანოებს კარნახობენ მათი გამოსწორების ქმედით გზებს. სხვადასხვაგვარი თვალთახედვით გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები სწორ შემოქმედებით სტიმულს იძლევიან კონტროლის კონკრეტული, მშრომელთა ფართო მასებისათვის მისაწვდომი ფორმების საძიებლად და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აიძულებენ კონტროლის ორგანოებს თვითკრიტიკულად გადახედონ ზოგიერთ ფეხმოკიდებულ შეხედუ-

ლებას, რომელიც აფერხებს კონტროლის სტილისა და მეთოდების სრულყოფას.

თანახმად დებულებისა სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ გუშაგები ვალდებულნი არიან მკაცრად მოჰკითხონ კანონიერების დამრღვევთ, საქმის გაჭიანურებაში, ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმში დამნაშავე პირებს, იმათ, ვინც არ ასრულებს მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გამო მიღებულ გადაწყვეტილებებს.

დამახასიათებელია, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებების 35 264 მონაწილიდან კამათში მონაწილეობა მიიღო 3600 კაცმა, რომლებმაც 366 კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ყველა მხარეზე.

რაიონულმა კომიტეტმა შეაჯამა საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგები. გააანალიზა კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, შეიმუშავა და დაამტკიცა მათი გათვალისწინების ღონისძიებათა გეგმა. 366 შენიშვნიდან 87 დააყენეს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების წინაშე, 113 — ადგილობრივი და პარტიული ორგანოების წინაშე, 136 — რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინაშე.

ქმედითი კრიტიკის გაძლიერების მიზნით რაიონულმა კომიტეტმა, მისმა შტატგარეშე განყოფილებებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა მკაცრი კონტროლი დააწესეს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრაზე. კომიტეტის სხდომაზე მოისმინეს საორგანიზაციო მუშაობის შტატგარეშე განყოფილების გამგის, ჯგუფებისა და საგუშაგოების თავმჯდომარეთა ინფორმაციები კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების თაობაზე. ყველაფერ ამის შედეგად გადაიჭრა 100-ზე მეტი საკითხი, 50 კი შესრულების პროცესშია. საწარმოებში სახალხო კონტროლიორების ძალებით შეიქმნა სპეციალური სტენდები, რომლებზეც ასახულია, თუ როგორ სრულდება განკარგულებები კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო. კონტროლი განკარგულებათა შესრულებაზე დავალებული აქვთ სპეციალურად შექმნილ კომისიებს.

აი, ერთ-ერთი მაგალითი სტენდზე ასახული მასალისა. ფეხსაც-

მლის ფაბრიკა „ნარიყალას“ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პრინციპული საუბარი გაიმართა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გამო. ეს საკითხი ჯგუფის კრების დღის წესრიგში გამოიტანეს. კრების გადაწყვეტილებით ბიუროს 7 წევრიდან თითოეულს განსაზღვრული უბანი მიამაგრეს, შეიქმნა ხარისხის კონტროლის სპეციალური სექტორი. საკითხის შესწავლამ გამოაჩინა, რომ უხარისხო ფეხსაცმლის გამოშვების მთავარი მიზეზია ის, რომ სოხუმისა და ბათუმის ტყავის ქარხნები ფაბრიკას დაბალი ხარისხის ნედლეულს აწვდიან.

სახალხო კონტროლის ჯგუფმა რაიონული კომიტეტის მეშვეობით ეს საკითხი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სახალხო კონტროლის სოხუმისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტების წინაშე დააყენა, მჭიდრო კონტაქტი დაამყარა მიმწოდებელი ქარხნების სახალხო კონტროლიორებთან, რომლებმაც თავის მხრივ გააძლიერეს კონტროლი გასაგზავნი ნედლეულის ხარისხზე.

ამ ღონისძიებებმა, ფაბრიკაში შრომის, სახელმწიფო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად დადებითი შედეგი გამოიღო — ტყავის ნედლეულის წუნი 50%-ით შემცირდა, ამასთან ფაბრიკა თავის დროზე იღებს საჭირო ფერის ტყავს, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ფეხსაცმლის ხარისხი საერთოდ და, უფრო მეტად ბავშვის ფეხსაცმლისა, რომელზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა.

სხვა მაგალითები. წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ და ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ მუშა-მოსამსახურეებმა დასვეს საკითხი ნედლეულითა და დამხმარე მასალებით, თანამედროვე დაზგებითა და აღჭურვილობით მათი რიტმული მომარაგების შესახებ.

„რაიკვებვაჭრობის“ და თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზიის მუშაკებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ № 7 პურის ქარხანა უხარისხო პროდუქციას უგზავნის მათ.

№ 4 მაცივრის მუშებმა დააყენეს საკითხი, რომ საწარმოო-საწყობი ფართობი გადატვირთულია, ირღვევა პროდუქტების შენახვის ტექნოლოგიური რეჟიმი და ა. შ.

ზემოთ აღნიშნული საკითხები დაისვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ვაჭრობის, მსუბუქი მრეწველობის და სხვა სამინისტროების

წინაშე. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ამ საკითხების უმრავლესობა დადებითად გადაიჭრა. კერძოდ, დამუშავდა ფონიჭალის კეთილმოწყობის პროექტი, დამატებით დაიდგა ტელეფონ-ავტომატების ჯიხურები, გაუმჯობესდა სამრეწველო საწარმოთა მომარაგება და სხვ.

სახალხო კონტროლის კომიტეტის, მისი შტატგარეშე განყოფილებების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ქმედითმა კონტროლმა მშრომელთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო დროულ რეაგირებაზე, უზრუნველყო ახოსპირელის ქ. № 5 საცხოვრებელი სახლის კაპიტალური რემონტის თავის დროზე დამთავრება, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეგულარული მომარაგება ქიმრეაქტივებითა და ლაბორატორიული ჭურჭლით, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის „პირიმზის“ მომარაგება მასალებითა და სათადარიგო ნაწილებით და სხვ.

სახალხო კონტროლის ჯგუფების მისამართით გამოთქმული საქმიანი, კეთილგანწყობილი კრიტიკა, როგორც წესი, ააქტიურებს სახალხო კონტროლიორთა საქმიანობას. მაგალითად, წინდების ფაბრიკა „კრწანისის“, სამკერვალო ფაბრიკების „ამირანისა“ და „ნადიკვრის“ სახალხო კონტროლის ჯგუფები გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მათ ქმედითი კონტროლი არ დააწესეს შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაზე, წარმოების რეზერვების გამოყენებაზე, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე. საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა ამ ჯგუფებს მიამაგრა კომიტეტის შტატგარეშე მუშაკები, რომლებმაც ადგილებზე გაუწიეს მათ დახმარება ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა გეგმის შედგენაში, ჯგუფებთან კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირების კომისიის შექმნაში საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით განუმარტეს სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ დებულების ძირითადი მომენტები, გააცნეს მონათესავე საწარმოთა მოწინავე ჯგუფებს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება. სახალხო კონტროლის ჯგუფებმა ჯეროვანი დასკვნები გამოიტანეს მათი მისამართით გამოთქმული კრიტიკიდან და შესამჩნევად გააძლიერეს კონტროლი

გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ეკონომიასა და მომჭირნეობაზე, სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვის უზრუნველყოფაზე და სხვ.

სახალხო კონტროლიორები ითვალისწინებენ მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს და აღწევენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, წარმოების ეფექტიანობის ზრდას, შიდარეზერვების უფრო სრულ გამოყენებას, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

კომიტეტი ცდილობს თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების დონე და ამით ოვისი წვლილი შეიტანოს რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების წარჩატებით გადაწყვეტაში.

გ. ფოცხიშვილი,
ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო
კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე

პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციები

საჯაროობა სოციალისტური კონტროლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლენინური პრინციპია და მისი ჭეშმარიტად ხალხური ბუნებიდან, შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარეობს. ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ საჯაროობა არის მახვილი, რომელიც თვითონ კურნავს თავის მიერვე მიყენებულ ჭრილობებს, შთააგონებს სახალხო კონტროლის ორგანოებს გამოიყენონ საჯაროობა, როგორც დარღვევათა და შეცდომების თავიდან აცილების ქმედითი საშუალება.

საჯაროობა მასების მეშვეობით და მასებისათვის! — ახლანდელ ეტაპზე ეს დევიზი იქცა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა საქმიანობის ლეიტმოტივად.

სახალხო კონტროლის კომიტეტი, ჯგუფები და საგუშაგოები

იყენებენ საჯაროობას, როგორც საზოგადოებრივი ზემოქმედების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მასების აღზრდის, სახელმწიფოებრივი დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საშუალებას.

რესპუბლიკურმა პრაქტიკულმა კონფერენციამ აღნიშნა, რომ სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები აქტიურად იყენებენ საჯაროობის ისეთ ფორმას, როგორიც არის სახალხო კონტროლის ორგანოების წარმომადგენელთა გამოსვლები მშრომელთა კოლექტივების კრებებზე, პარტიული, საბჭოთა თუ სამეურნეო ორგანოების თათბირებზე.

ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომითი კოლექტივების, სახალხო კონტროლის აქტივის ინფორმირებას კომიტეტისა და ჯგუფების მუშაობის თაობაზე, შემოწმებათა შედეგების მიხედვით მიღებულ ღონისძიებათა თაობაზე.

კომიტეტები ახლა უფრო ფართოდ იყენებენ პერიოდულ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, ხოლო სახალხო კონტროლის ჯგუფები — მრავალ და მცირეტირაჟიანი თუ კედლის გაზეთების, ადგილობრივი რადიომაუწყებლობის შესაძლებლობებს.

კომიტეტების ნაწილი, ჯგუფებისა და საგუშაგოების უმრავლესობა თავიანთი მუშაობის საჯაროობის მიზნით ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ოპერატიულ ფურცლებს („განგაში", „ელვა", „სიგნალი", „ბიულეტენები" და სხვ.).

თავიანთი მუშაობის შედეგები, კონტროლის ქმედითობა ხალხისათვის რომ აშკარა გახადონ, სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები აქტიურად იყენებენ სტაციონარულ და თემატურ სტენდებს.

პრაქტიკულმა კონფერენციამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჯერ კიდევ ყველა ჯგუფს არ აუთვისებია საჯაროობის ისეთი ეფექტური საშუალებები როგორიც არის ფოტობრალდება, ფოტოგაზეთი „სატირული სარკმელი", „ნიანგის" ვიტრინა და სხვა ამგვარი.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული კომიტეტები მეთოდური კუთხეების სისტემის შესაქმნელად ფართოდ იყენებენ ბიბლიოთეკებსა და კულტურის სახლებს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაძლებლობა-

ნი საჯაროობის ორგანიზაციის საქმეში ჯერ სულაც არ არის ამოწურული, ცალკეულ შემთხვევებში კი მთლიანად უგულებელყოფილია. სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ არასაკმარისად იყენებენ ისეთ საშუალებას, როგორიც არის სამოყვარულო ფილმი.

ლენინის მითითება, რომ მხოლოდ ფართო საჯაროობა უზრუნველყოფს კონტროლის ჭეშმარიტ ქმედითობას და ყოვლისმომცველობას, უკარნახებს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებს გამუდმებით ეძიებდნენ საჯაროობის ახალ ფორმებს, სრულყოფდნენ მის მეთოდიკას, აზოგადებდნენ და ავრცელებდნენ დაგროვილ დადებით გამოცდილებას. ამ მხრივ დიდსა და სასარგებლო მუშაობას ეწევიან სახალხო კონტროლის კომიტეტებთან და ჯგუფებთან შექმნილი საჯაროობის სექტორები.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა როლის ამაღლების მიზნით რესპუბლიკური პრაქტიკული კონფერენცია აუცილებლად მიიჩნევს, რომ კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა აქტიურად გამოიყენონ საჯაროობის საშუალებათა გამოყენების, მისი მრავალგვარი ფორმებისა და საშუალებების შერწყმის დადებითი გამოცდილება.

რესპუბლიკური პრაქტიკული კონფერენცია სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს გეგმიური საწყისის განვითარებასა და სრულყოფას. მუშაობას საჯაროობის ორგანიზაციისათვის სისტემატური, მიზანმიმართული და თანმიმდევრული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამ მიზნით სახალხო კონტროლის კომიტეტებსა და ჯგუფებს კონფერენცია ურჩევს:

— ამუშავებდნენ საჯაროობის სექტორთა ღონისძიებების ერთობლივ გეგმებს გაზეთების რედაქციებთან და ადგილობრივ რადიომაუწყებლობასთან ერთად; განსაზღვრავდნენ გაზეთების და რადიოგადაცემათა „სახალხო კონტროლის გვერდების“ თემატიკას;

— ყველა ჯგუფში შექმნან სტაციონარული სტენდები, რომლებზეც გამოიფინება ოპერატიული, მწვავე საპრობლემო მასალები; სახალხო კონტროლის კუთხეები და ფოტოვიტრინები; სა-

განგებო ყურადღება დაუთმონ თვალსაჩინოებას, სათაურების, დეკიზების, ლოზუნგების სიზუსტესა და გამომსახველობას, მასალების პერიოდულ გაახლებას;

— ზუსტად დადაგინონ დღე და საათი გადაცემებისა სახალხო კონტროლის შესახებ რაიონული და შიდასაქარხნომაუწყებლობით; აგრეთვე რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური გაზეთების „სახალხო კონტროლის გვერდების“ გამოშვების პერიოდულობა, სულ მცირე თვეში ერთხელ;

— უზრუნველყონ „სიგნალების“, „განგაშების“, „ელვა“-ფურცლების, „ბიულეტენების“, „სატირული სარკმლების“ და სხვა გამოშვებათა რეგულარულობა, მიზნად დაუსახონ მათ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნა.

საკონტროლო საქმიანობის პოპულარიზაციის, ამ მუშაობაში ფართო აქტივის მიზიდვის, საჯაროობის დიაპაზონის გაფართოების, ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებას. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია:

— პუბლიკაციისათვის მზადდებოდეს კომიტეტების დადგენილებები, მასალები სახალხო კონტროლის ორგანოთა და აქტივისტთა მუშაობის შინაარსსა და ფორმებზე, კორესპონდენციები იმ ღონისძებათა შესახებ, რომლებიც მიღებული იქნება კონტროლიორთა ჩარევის შედეგად;

— სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მონაწილეობას იღებდნენ მრავალ- და მცირეტირაჟიანი თუ კედლის გაზეთების გვერდებზე და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის გადაცემებში საკონტროლო მუშაობის გაშუქებაში;

— სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან ერთად ქმნიდნენ სასაქალაქო და სარაიონო თემატურ სტენდებს და აშუქებდნენ სახელმწიფო, შრომითი და ფინანსური დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვის და სხვა საკითხებს;

— საქმის ვითარებაზე ეფექტიანი ზემოქმედების მიზნით აგვარებდნენ საჯაროობის საშუალებათა — სტენდების, ფოტოვიტრინების, გაზეთების, რადიომაუწყებლობისათვის განკუთვნილი მასალე-

ბის გაცვლას ერთიანი ინტერესებითა და საქმეებით დაკავშირებული სხვადასხვა საწარმოს, რაიონის, ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტებსა და ჯგუფებს შორის;

— აწყობდნენ დროებით სტენდებსა და ფოტოვიტრინებს, უშვებდნენ „ელვა"-ფურცლებს, „სიგნალებს", „განგაშებს" საბოფლო-სამეურნეო კამპანიების პერიოდში, ან უმნიშვნელოვანეს სამშენებლო ობიექტებზე შექმნილი სახალხო კონტროლის დროებითი საგუშაგოებისა და შტაბების ძალებით და ა. შ.;

— ოპერატიული რეაგირებისათვის უგზავნიდნენ „სიგნალებსა" და „ლია ბარათებს" იმ საწარმოებს, რომელთა საქმიანობის ნაკლოვანებებზეც ინფორმაცია აქვთ მიღებული;

— სახალხო კონტროლის კომიტეტები და ჯგუფები უფრო სრულად იყენებდნენ კლუბებსა და კულტურის სახლებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სხვადასხვა ფორმებს: თემატურ საღამოებს, ზეპირ ჟურნალებს, გამოფენებს, აგიტბრიგადების კონცერტებს, ლექციებს:

— სახალხო კონტროლის ორგანოები გაბედულად აბამდნენ თავიანთ მუშაობაში კინომოყვარულებს, ეხმარებოდნენ მათ თემის, ობიექტის შერჩევაში, გადაღებათა ორგანიზაციაში და კინოფილმის დემონსტრაციაში.

ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით, ჯგუფები და საგუშაგოები რაც შეიძლება სრულად უნდა იყენებდნენ მათთვის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ დებულებით მინიჭებულ უფლებებს, კომიტეტები ყოველმხრივ უნდა უწყობდნენ ხელს სამეურნეო ხელმძღვანელების მხრივ სახალხო კონტროლის ჯგუფების მიერ დაყენებულ საკითხებზე სათანადო რეაგირების უზრუნველყოფას, ამასთან ფართოდ იყენებდნენ საჯაროობის საშუალებებს და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა მარჯვე გამოყენებას, მათს ფართო საჯაროობას. ითვალისწინებს რა სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის პრაქტიკას, კონფერენცია საზოგადოებრივი ზემოქმედების განსაკუთრებით ეფექტიან ღონისძიებებად მიიჩნევს:

— მშრომელთა კოლექტივების წინაშე იმ თანამდებობის პირთა გამოსვლებს, რომლებმაც დარღვევები და შეცდომები დაუშვეს;

— მათთვის საზოგადოებრივი გაკიცხვის გამოცხადებას;

— მათი პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის დასმას ადმინისტრაციის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე;

— ხელმძღვანელების გამოსვლას პრესის ფურცლებზე არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზების და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა გამო.

კონფერენცია საჯაროობას მიიჩნევს ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებელი პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების მნიშვნელოვან საშუალებად. იგი ხელს უწყობს ნაკლოვანებათა მიმართ საყოველთაო შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნას, მათს აღმოსაფხვრელად საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და წარმართვას. ამისათვის საჭიროდ თვლის:

— იმ შემთხვევაში, როცა განზრახული არ არის მოულოდნელი, უეცარი რეიდების ჩატარება, წინასწარ შეატყობინონ მშრომელთა კოლექტივებს შემოწმების შესახებ, გამოიყენონ ამისათვის ადგილობრივი პრესა, სპეციალური ფურცლები, პლაკატები და საჯაროობის სხვა საშუალებები;

— იმსჯელონ მშრომელთა კოლექტივებში შემოწმებებისა და რეიდების შედეგებზე, ღონისძიებათა შემუშავებისას გაითვალისწინონ მშრომელთა მიერ გამოთქმული აზრები და წინადადებები;

— შეატყობინონ მშრომელთა კოლექტივებს მიღებულ ღონისძიებათა, კომიტეტების დადგენილებათა, სახალხო კონტროლის ჯგუფების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციათა შესახებ;

— განიხილონ ობიექტის შემოწმების შედეგები იმ მონათესავე დაწესებულებებისა და საწარმოების ფართო აქტივის კრებებზე, სადაც ანალოგიური ნაკლოვანებები არსებობს.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ინფორმაცია ამა თუ იმ დარღვევასა თუ ნაკლოვანებაზე მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, თუ შეიცავს მინიშნებას გამოვლენილი ფაქტის აღმოფხვრის ღონისძიებებ-

ზე და ვადებზე, ესე იგი თუ შესაძლებლობას მისცემს კოლექტივს მონაწილეობა მიიღოს მის გამოსწორებაში და გააკონტროლოს ის. ამგვარად უმჯობესია ყოველი კრიტიკული გამოსვლა განვითარდეს ასე: ფაქტი — ღონისძიება (ბრძანება, მითითება) — მუშაობა გამოსასწორებლად — შედეგი.

კონფერენცია კომიტეტებს, ჯგუფებსა და საგუშაგოებს ეჩევა თავიანთ მუშაობაში აუცილებლად დანერგონ სახალხო კონტროლის ორგანოთა საქმიანობის შესახებ აქტივის ინფორმირების სისტემა. საქმე ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მშრომელებმა იცოდნენ — სახალხო კონტროლის ორგანოსთვის განსაზღვრულად წარდგენილი არც ერთი საკითხი არ დარჩება უყურადღებოდ. ამ მხრივ რეკომენდებულია, კერძოდ:

— სახალხო კონტროლის კომიტეტების წევრები, შტატგარეშე განყოფლებების გამგეები, შტატგარეშე ინსპექტორები, ჯგუფების თავმჯდომარეები და საგუშაგოების ხელმძღვანელები სისტემატურად გამოდიოდნენ პრესაში თავიანთი მუშაობის შინაარსისა და შედეგების ამსახველი მასალებით;

— ჯგუფების თავმჯდომარეები და წევრები, საგუშაგოების ხელმძღვანელები გამოდიოდნენ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და საწარმოო კრებებზე სახალხო კონტროლიორების მიერ გაწეული სამუშაოს თაობაზე;

— კომიტეტები სისტემატურად აწვდიდნენ სახალხო კონტროლის ჯგუფებს, მშრომელთა კოლექტივებს ინფორმაციას გაწეულ სამუშაოს შესახებ, მის შესახებ, თუ როგორ გადაწყდა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, ან ადგილებზე მშრომელთა მიღების დროს დასმული საკითხები;

— სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები შემდგომ ნერგავდნენ მშრომელთა სურვილების შესრულების გამო კოლექტივებისათვის ანგარიშის ჩაბარების პრაქტიკას სულ მცირე წელიწადში ერთხელ, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ლატვიის შესახებ.

საკონტროლო მუშაობის საჯაროობის ორგანიზაცია პირველ რიგში მისი ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ხაზით უნდა წარიმართოს, რისთვისაც საჭიროა:

— სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სახალხო კონტროლის საუკეთესო აქტივისტებით, პრესის, რადიოს მუშაკებით, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბების წევრებით შეავსონ საჯაროობის და საინფორმაციო-მეთოდური მუშაობის შტატგარეშე სექტორის შემადგენლობა;

— გაუმჯობესდეს საჯაროობის საშუალებათა პერიოდული დათვალიერებების ორგანიზაცია და შინაარსი; გამოყენებულ იქნას ეს დათვალიერებები როგორც სემინარული მეცადინეობა ადგილებზე მუშაობის დადებითი გამოცდილების დასანერგავად და რაც შეიძლება მეტი სახალხო კონტროლიორი, შტატგარეშე აქტივისტი და წარმოების მუშაკი გაეცნოს მათ.

კომიტეტებთან არსებული მეთოდკაბინეტები და სახალხო კონტროლის ჯგუფების ბიბლიოთეკებისა და კულტურის სახლების მეთოდკუთხეები უნდა გადაიქცნენ ცენტრებად, სადაც აქტივს ჩაუნერგავდნენ საკონტროლო მუშაობის ჩვევებს, სადაც მოხდება მოწინავე გამოცდილების განზოგადება და გავრცელება. ამისათვის კი საჭიროა:

— დაინერგოს მათ მუშაობაში საჯაროობის ორგანიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული ფორმები და მეთოდები, დახარისხდეს და გაანალიზდეს აქ არსებული მასალა, წარიმართოს საქმე გეგმიურ საფუძველზე;

— აქტივის სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას საჯაროობის საშუალებათა გამოყენების საკითხები, კონკრეტული მაგალითებით აიხსნას ქმედითობაზე მათი გავლენა, კონტროლის მასობრიობა.

რესპუბლიკური პრაქტიკული კონფერენცია აღნიშნავს სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეთოდური კაბინეტის მუშაობას და აუცილებლად მიიჩნევს გამოყენებული იქნას იგი, როგორც ბაზა რესპუბლიკაში მეთოდური მუშაობის გასაძლიერებლად. ამისათვის ის წინადადებას იძლევა:

— მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის დადებითი გამოცდილების გავრცელების მიზნით, თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტის მეთოდკაბინეტის ბაზაზე მოეწყოს სემინარები სახალხო კონტროლის რაიონული და საქალაქო კომიტეტების და საჯაროობის სექტო-

რების მუშაკთა და მეთოდკაბინეტებისა და მეთოდკუთხეების გამგეთათვის;

— სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეთოდკაბინეტის გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით გამოიცეს ბროშურა.

საუკეთესოთა გამოცდილების ფართო საჯაროობა ხელს უწყობს იმას, რომ საკონტროლო მუშაობის აზრი, ხასიათი და მიზნები უფრო ხელმისაწვდომი ხდება სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოებისათვის, ყოველი სახალხო კონტროლიორისათვის. უკეთესების წახალისებით და პასიურების გაკიცხვით ჩვენ საზოგადოებრივ აზრს ვქმნით დადებითი შედეგების თუ ნაკლოვანებათა ირგვლივ. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია:

— სახალხო კონტროლის კომიტეტების საჯაროობის შტატგარეშე სექტორებმა ადგილობრივი გაზეთების „სახალხო კონტროლის გვერდების“ მეშვეობით უფრო ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ აქტიური სახალხო კონტროლიორების და სანიმუშო, ბრძოლისუნარიანი ჯგუფების გამოცდილებას.

საზოგადოებრივი აზრი საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმათა და საშუალებათა გამოყენების საზომია, ყოველივე სასარგებლოს შექმნისა და ხელშეწყობის დიდი ძალაა. იგი ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ბიუროკრატებისა და ფორმალისტების წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც ეწინააღმდეგება პარტიის, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს.

სახალხო კონტროლის ორგანოები არა მარტო უნდა შეისწავლიდნენ საზოგადოებრივ აზრს, არამედ კიდევაც უნდა აყალიბებდნენ და წარმართავდნენ მას, იყენებდნენ როგორც საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებას. ამ ასპექტით ნაყოფიერი იქნება:

— მშრომელთა მიღება ადგილებზე კომიტეტების წევრთა და ხელმძღვანელთა მიერ; წარმოების მოწინავეთა, სახალხო კონტროლის აქტივისტთა ჯგუფური მიღება კომიტეტების მუშაობაში სწორი ორიენტაციის განსასაზღვრავად, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა საკოორდინაციოდ;

— მშრომელთა განცხადებების, საჩივრების, სიგნალებისა და წერილების გამო მიღებულ ღონისძიებათა საჯაროდ გამოცხადება.

საჯაროობის და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობათა და ეფექტიანობის შესწავლის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი აზრის საბჭომ, სახალხო კონტროლის კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა. ამისათვის უნდა:

— ფართოდ გამოიყენონ მუშაობაში საბჭოს რეკომენდაციები;

— საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის გამოიყენონ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები (გამოკითხვები, ანკეტირება და სხვ.).

კონფერენცია თვლის, რომ სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის განყოფილებამ, საინფორმაციო-მეთოდური მუშაობის სექტორმა აუცილებლად უნდა გააგრძელონ საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა გამოყენებაში საქალაქო და რაიონული კომიტეტების, მათი შტატგარეშე განყოფილებებისა და ინსპექტორების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;

— გამოიყენონ დადებითი გამოცდილების გასავრცელებლად როგორც რესპუბლიკური, ისე ზონალური სემინარები, სახალხო კონტროლის აქტივის თათბირები, პერიოდული პრესა, რადიო, ტელევიზია, ბროშურები, ბიულეტენები და სხვ.;

— გამოსაცემად მოამზადონ მეთოდური სახელმძღვანელო, რომელშიც განზოგადებული იქნება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა გამოყენების გამოცდილება;

— განაზოგადონ სახალხო კონტროლის ჯგუფების მიერ საჯაროობის საშუალებათა საქალაქო, სარაიონო და რესპუბლიკური დათვალიერებების პერიოდში დაგროვილი დადებითი გამოცდილება, თვალყური ადევნონ მის დანერგვას ადგილებზე.

კონფერენცია აღნიშნავს კონტროლის საჯაროობის საშუალებათა რესპუბლიკური გამოფენის მაღალ დონეს, მისი ექსპოზიციის

ღრმაშინაარსიანობას, სჯსარგებლოდ თვლის სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების დასახმარებლად გამოიცეს ალბომი, რომელშიც შევა საუკეთესო მასალები დათვალიერების დროს წარმოდგენილ საჯაროობის საშუალებათა არსენალიდან.

*
* *

ვ. ი. ლენინის სიტყვები, იმის შესახებ, რომ მხარი დავუჭიროთ ყველა და ყოველნაირ სიახლეს, რომელთაგანაც ცხოვრება გადაარჩევს ყველაზე ცხოველუნარიანს, სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოებისათვის უნდა იქცეს შამოძრავებელ ძალად.

კონფერენცია გამოთქვამს რწმენას, რომ მისი რეკომენდაციები ხელს შეუწყობენ სახალხო კონტროლის კომიტეტებსა და ჯგუფებს, მათ საჯაროობის სექტორებს სრულყონ მუშაობის ფორმები და მეთოდები, ოპერატიულად აღმოფხვრან ყოველგვარი ნაკლოვანებანი, აამაღლონ კონტროლის საჯაროობის და შესრულების შემოწმების ეფექტიანობა და ხარისხი, მიიზიდონ სახალხო კონტროლის ორგანოებისაკენ მშრომელთა ფართო მასები და საბოლოო ანგარიშით მიაღწიონ იმას, რომ სახალხო კონტროლის ყოველი კომიტეტი, ყოველი რგოლი ნამდვილად სანიმუშო და მაღალავტორიტეტული იქნეს.

შინაარსი

შესავალი 3

I. კონტროლი — ქმედითი, მასობრივი, საჯარო.

ო. მელქაძე. როგორ იბრძვიან საქართველოს სახალხო კონტროლის ორგანოები მასობრივი, ქმედითი და საჯარო კონტროლის ორგანიზაციის ლენინურ პრინციპთა განხორციელებისათვის „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე 5

დ. მარგალიტაძე. სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის ბრძოლის გაძლიერება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა 30

ზ. დავითაშვილი. პრესა — სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში საჯაროობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება 40

დ. ბარათაშვილი. სახალხო კონტროლიორთა ბრძოლა სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად, რუსთაველთა თაოსნობის — „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“, „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“ — ხორცშესასხმელად 45

II. ასე ვაღწევთ ეფექტიანობას.

დ. დოლიძე. საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯაროობის საშუალებათა გამოყენების გამოცდილება „ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შუქზე 53

ჭ. კუბლაშვილი. ფართოდ გამოვიყენოთ საჯაროობის ყველა საშუალება 60

ა. მუავანაძე. საჯაროობა — კონტროლის ორგანიზაციის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საშუალება . . . 68

ბ. ფოცხვერაშვილი. ცხოვრების მოთხოვნათა გათვალისწინებით . . 74

III. შემოქმედებით ძიებაში.

ვ. ჯანჯღავა. მეთოდური კაბინეტების მუშაობის ფორმები და მეთოდები სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების დასახმარებლად 83

ლ. ფანჩულიძე. როგორ ვმუშაობთ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის და ქალაქის სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახალხო კონტროლის ჯგუფების წინადადებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად 93

ვ. უთიაშვილი. მუშაობა მშრომელთა მიღების ორგანიზაციის და შემოსული წერილების განხილვის გასაუმჯობესებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ — მიხედვით 103

ვ. ფოცხიშვილი. კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ოპერატიული და სწორი რეაგირება სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის წარმატების აუცილებელი პირობაა 108

პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციები . 114